



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
დამოუკიდებელი ინსპექტორი

№ 865-03

"13" 11 2020.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების
მართვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის N35-03 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობის 37 კანდიდატის მიმართ 2017 წლის 15 მარტიდან - 2020 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში დისციპლინური დევნის შესახებ ინფორმაციას.

დანართი: 74 ფურცელი.

პატივისცემით,

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	
დამოუკიდებელი ინსპექტორი	
№	40-03
"13"	11 2020

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის მიმართ
არსებული დისციპლინური საჩივრების შესახებ

2017 წლის 15 მარტიდან - 2020 წლის 11 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე გიორგი
შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი





საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 42-03

„13“ 11 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის
დეპარტამენტის უფროსს

ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 34²-ე მუხლის 1 და მე-2 პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, გიგზავნით ინფორმაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ დისციპლინური დევნის შესახებ.

დანართი: 37(ოცდაჩვიდმეტ) ფურცელზე.

ვალერიან გავაშელი

სამოსამართლო ეთიკის
დეპარტამენტის უფროსი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტს

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის მიმართ
არსებული დისციპლინური საჩივრების შესახებ

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და მის მიმართ დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ზომა გამოყენებული არ ყოფილა.

ვალერიან გავაშელი

3. 

სამოსამართლო ეთიკის
დეპარტამენტის უფროსი



საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭო

High Council of Justice of Georgia

№ 44/37-03

„20.11.2020“ წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ თინათინ აბრალავას

ქალბატონო თინათინ,

თქვენი 37-03 წერილის პასუხად გიგზავნით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ მონაწილეობის შესახებ, ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში მოძიებულ ინფორმაციას.

პატივისცემით,

ირაკლი გოცირიძე

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმართულ დავებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.



საქართველოს პროკურატურა
საქართველოს გენერალური პროკურატურა
Prosecution Service of Georgia
Office of the Prosecutor General of Georgia



სსიპ საქართველოს პროკურატურა N74, კვლ: 2 405 141, 2 405 142
მისამართი: სასაბურთალოს რაიონი, თბილისი საქართველო

KABULI0290199620

№13/65607


20 / ნოემბერი / 2020 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლის საგზაობის შეუსაბამო-მართვის
დუპლიკატის უფროსს
ქალბატონ თინათინ აბრამიძეს

მის. ქ. თბილისი, ხეივანის ქ. N12

ქალბატონი თინათინ,

თქვენი 2020 წლის 10 ნოემბრის N1172-03 განცხადების პასუხად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს
მოსამართლეობის კანდიდატების მიმართ დაწარმოებულია ეროვნული თაობაზე გამოტანილი დამატებითების
შეხარება გაეცხადებოთ შესაძლებელია.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
№ 3250-მ 02
-90- 11 2020



რაც შეეხება განცხადებაში მოთხოვნილ სხვა კანდიდატებს, მათ შესახებ ხელმოწევის პროცედურაში მოახდენილი ინფორმაცია არ მოიძიება.

პატივისცემით,

იურიდიული სამსახურების უფროსი

ხალხმწიფი
მსახურის
მომწოდებელი



ნათია კორჭიაკი



საქართველოს უზენაესი სასამართლო
განაჩენი
საქართველოს სახელით

№262აპ-17
კ. კ-ა, 262აპ-17

13 ოქტომბერი, 2017 წელი
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
ნინო გვენეტაძე, პაატა სილაგაძე

სხდომის მდივან – კონსტანტინე თოდრიას
პროკურორ – გელა თებიძის
ადვოკატ - რ. პ-ის

მონაწილეობით განიხილა პროკურორ გელა თებიძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენზე.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

1. ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, კ. კ-ეს, - - - ბრალი დაედო ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

კ. კ. უკანონოდ ინახავდა თავის მიერ უკანონოდ შეძენილ 1.9009 გრამ კანაბინომიმეტურად მოქმედ ქიმიურ ნაერთთა კლასის ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერება „AB-CHMINACA“-ს, რაც 2016 წლის 2 თებერვალს ქ. ბ-ში, თ-ის დასახლებაში, დ-სა და ტ-ის ქუჩების გადაკვეთის ადგილას, დაკავებისას ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

კ. კ. უკანონოდ ინახავდა თავის მიერ უკანონოდ შეძენილ დიდი ოდენობით - 0,03335 გრამ ნარკოტკულ საშუალება „ბუპრენორფინს“, რაც 2016 წლის 2 თებერვალს ქ. ბ-ში, თ-ის დასახლებაში, დ-სა და ტ-ის ქუჩების გადაკვეთის ადგილას დაკავებისას ჩატარებული მისი პირადი ჩხრეკისას ამოიღეს.

2. ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 აგვისტოს განაჩენით კ. კ. ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 11 აგვისტოს განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. კასატორი - აჭარის ა/რ-ის პროკურატურის პროკურორი გელა თებიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის გამამართლებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივებით:

გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ადასტურებენ კ. კ-ის ბრალეულობას. სასამართლომ განაჩენში არასწორი ინტერპრეტაციით გადმოსცა ექსპერტების - თ. გ-სა და ნ. კ-ის ჩვენებები, მათ კატეგორიულად არ განუცხადებიათ, რომ თუ კ. კ. საექსპერტო კვლევის ობიექტს შეეხებოდა, მასზე აუცილებლად დარჩებოდა მისი გენეტიკური პროფილი. სასამართლოს ბრალდების მხარის ყველა მტკიცებულება უნდა შეეფასებინა ერთობლივად და კ. კ-ის მიმართ უპირობოდ უნდა გამოეტანა გამამტყუნებელი განაჩენი.

5. სასამართლო სხდომაზე პროკურორმა გელა თებიძემ ითხოვა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილება და კ. კ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა.

6. ადვოკატი რ. ჰ. არ დაეთანხმა წარმოდგენილ საკასაციო საჩივარს და ითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენის უცვლელად დატოვება.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მისი მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ დასტურდება კ. კ-ის მიერ ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო შექმნა-შენახვისა და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტი, რადგან აღნიშნული ბრალდება ძირითადად ეფუძნება პოლიციის მუშაკების - ა. ს-ის, დ. ც-სა და ნ. მ-ის ჩვენებებს, რომლებიც უტყუარად ვერ ადასტურებენ მის ბრალეულობას, შესაბამისად, არ გვაქვს გამამტყუნებელი განაჩენისთვის საკმარისი, გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, კერძოდ:

2. სასამართლო სხდომაზე ა. ს-ემ განმარტა, რომ მისი, მ-სა და ც-ის გარდა, შემთხვევის ადგილზე სხვა პოლიციელები არ იმყოფებოდნენ, მაშინ როდესაც დ. ც-ემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ მათგან 3-6 მეტრის მოშორებით იდგა პოლიციის ეკიპაჟი, რომელიც, მისი აზრით, იცავდა პერიმეტრს. წინააღმდეგობრივია ასევე პოლიციელების განმარტებები კ. კ-ის დაკავებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ნ. მ-ემ განმარტა, რომ ავტომანქანით მივიდნენ თ-ის დასახლებაში, მე-- სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, იმოდრავეს დაახლოებით 10-15 წუთს, შემდეგ წამოვიდნენ ქვემოთ, ქალაქის მიმართულებით, რადროსაც შენიშნეს და დააკავეს კ.. დ. ც-ის განმარტებით კი პოლიციელებმა გადაკვეთეს რკინიგზის გადასასვლელი და ქალაქიდან თ-ის დასახლების მიმართულებით გაემგზავრნენ, შენიშნეს კ. და მაშინვე დააკავეს.

3. საკასაციო სასამართლოსთვის გაუგებარია და ვერც ბრალდების მხარემ ახსნა კ. კ-ის მყისიერი დაკავების აუცილებლობა მაშინ, როდესაც სამართალდამცავების მიერ მიღებული ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, კ-ეს ხელთ არსებული ნარკოტიკული საშუალება უნდა გაესაღებინა მესამე პირზე.

4. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ, მითუმეტეს, რომ ამას ემატება ბრალდებულის ჩვენებაც, რომელიც სრულიად განსხვავებულად აღწერს თავისი დაკავების ფაქტს, რასაც ადასტურებს ბრალდებულის მეუღლე ე. კ-ეც. ყოველივე ეს ობიექტურ დამკვირვებელში აჩენს ეჭვს, რომელიც არ არის გაქარწყლებული, შესაბამისად, გამამართლებელი განაჩენი კ. კ-ის მიმართ უნდა დარჩეს უცვლელად.

5. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საკასაციო პალატისთვის გაუგებარია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების განაჩენების დასაბუთება - ნარკოტიკული საშუალების შენაფუთზე კ. კ-ის გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობის მოტივაციით კ-ს უდანაშაულობის შესახებ მაშინ, როდესაც საკასაციო პალატამ გ. ვ-ის საქმეზე ერთხელ უკვე გააუქმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი, რომლითაც ვ. სწორედ ანალოგიური საფუძვლით იყო გამართლებული (იხ.საქმე № 96აპ-

17, 10 მაისი, 2017 წელი). აღნიშნულ საქმეში საკასაციო პალატამ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, როცა მოწმე პოლიციელების ჩვენებების სანდოობაში არავითარი ეჭვის საფუძველი არ არსებობს (პოლიციელთა ჩვენებები იყო თანმიმდევრული, სარწმუნო და როგორც ერთმანეთთან, ისე საქმის სხვა მტკიცებულებებთან სრულად თანხვედნილი. მათი ჩვენებები გამყარებული იყო პირადი ჩხრეკის ოქმითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით. ასევე, საქმის მასალების შესწავლის შედეგად ბრალდების მხარისგან საპროცესო მოქმედებების ჩატარებისას რაიმე სახის კანონდარღვევა არ გამოვლენილა), მხოლოდ ის ფაქტი, რომ ამოღებული ნივთიერების შენაფუთზე არ გამოვლინდა პირის გენეტიკური პროფილი - არ წარმოადგენს მისი გამართლების საფუძველს, ვინაიდან ექსპერტთა განმარტებით, შესაძლოა, პირი შეეხო საგანს და მასზე არ დარჩეს მისი გენეტიკური პროფილი.

6. ჩვენ მიერ განსახილველ საქმეზეც დაიკითხნენ გენეტიკური ექსპერტიზის ჩამტარებელი ექსპერტები - თ. გ. და ნ. კ., რომლებმაც დაადასტურეს ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნის სისწორე და მიუთითეს, რომ გამოსაკვლევ ობიექტზე აღმოჩნდა ერთზე მეტი პირის შერეული პროფილი, თუმცა კ. კ-ის გენეტიკური პროფილი მასზე არ აღმოჩნდა. პროკურორის კითხვაზე, ნივთზე ხელის მოკიდების შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა, რომ არ აღმოჩნდეს დნმ-ის მინიმალური კონცენტრაცია, ექსპერტებმა განმარტეს, რომ ეს დამოკიდებულია ინდივიდუალურ სიტუაციაზე და მოცემულ საკითხზე კატეგორიული პასუხის გაცემა არ შეუძლიათ. შეუძლებელია იმის განსაზღვრა, შეეხო პირი ნივთს თუ არა, შეიძლება შეეხო და არ დარჩეს მასალა, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული.

7. ამდენად, სასამართლოთა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ბრალდებულის გენეტიკური პროფილის აღმოუჩენლობა ნივთზე ადასტურებს მის უდანაშაულობას, დაუსაბუთებელია და საკასაციო პალატა მას კვლავაც არ იზიარებს. მეტიც, თუკი სასამართლოები მსგავს პოზიციას განამტკიცებენ, ამით შესაძლოა, წახალისდეს კრიმინალი იმ თვალსაზრისით, რომ ისეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა- შენახვა და ა. შ. ისეთი საშუალებით (მაგ. ხელთათმანებით), რომლის გამოყენების შემთხვევაშიც ნივთზე არ დარჩება პირის გენეტიკური პროფილი, უპირობოდ იქნება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი, რაც, ბუნებრივია, საკასაციო სასამართლოსთვის, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებაზე ზედამხედველი უმაღლესი ორგანოსათვის, მიუღებელია.

8. სააპელაციო სასამართლო გამამართლებელ განაჩენში მიუთითებს პოლიციელების ჩვენებების ნაკლებ მტკიცებულებით ღირებულებაზე, რის დასასაბუთებლადაც იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე - „ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ“ (ECtHR, 11/07/2013, Ochelkov v. Russia, №17828/05) რასთან დაკავშირებითაც საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ საქმეში ევროპულმა სასამართლომ, კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რაც

მდგომარეობდა იმაში, რომ სადავო არ იყო ბატონი ოჩელკოვის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი (რასაც თავად ოჩელკოვი სამართალდამცავებს მიაწერდა), მიუთითა იმ პოლიციელების ჩვენებების ნაკლებ მტკიცებულებით ღირებულებაზე, რომლებსაც ბრალს სდებდა ოჩელკოვი, თანაც იმ ფონზე, რომ პოლიციელების ჩვენებები არ იყო განმტკიცებული არანაირი მტკიცებულებით და ასევე, იყო წინააღმდეგობრივი როგორც ერთმანეთთან, ისე საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ცალსახად თქმა იმისა, რომ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე პოლიციელთა ჩვენებებს იმთავითვე მცირე (ან მეტი) მნიშვნელობა აქვს, არ არის მართებული და არ გამომდინარეობს ევროსასამართლოს მითითებული გადაწყვეტილებიდან. პოლიციელთა ჩვენებების სანდოობა და უტყუარობა უნდა შეფასდეს კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე და მისთვის წინასწარ მტკიცებულებითი წონის მინიჭება გაუმართლებელია.

9. რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე „ვრონჩენკო ესტონეთის წინააღმდეგ“ (ECtHR, 18/10/2013, Vronchenko v. Estonia, №59632/09), რომელიც ასევე მოხმობილია გასაჩივრებულ განაჩენში, როგორც პრეცედენტული გადაწყვეტილება დნმ-ის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებულ საქმეში, რომელიც ეხებოდა სქესობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა შემდეგი: იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა სხვა მტკიცებულებები, მათ შორის - დაზარალებულისგან ამოღებულ ნივთმტკიცებაზე ბრალდებულის დნმ-იც არ აღმოჩნდა, პირის მსჯავრდება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, რომლისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა ბრალდებულს არც პირადად, არც ადვოკატის და არც რაიმე სხვა საშუალებით არ მისცემია, არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. ანუ აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლოს არ მიუთითებია დნმ-ის აღმოუჩენლობის შემთხვევაში სხვა მტკიცებულებების უმნიშვნელობის თაობაზე.

10. ამდენად, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ იმ პირობებში, როდესაც არსებობს მოწმე პოლიციელების თანმიმდევრული, თანხვედნილი ჩვენებები, რომელთა ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის საფუძველი არ არსებობს, ასევე საქმეშია ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმი, რომელიც შედგენილია საპროცესო ნორმების სრული დაცვით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო საპროცესო მოქმედებები ჩატარებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით და პოლიციელთა მხრიდან ბრალდებულის მიმართ რაიმე ინტერესი არ იკვეთება, მხოლოდ ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის დასკვნა, რომ ნივთზე არ აღმოჩნდა ბრალდებულის გენეტიკური პროფილი, თანაც, როდესაც ექსპერტები განმარტავენ, რომ შესაძლოა, ნივთზე შეხების შემთხვევაშიც კი არ დარჩეს გენეტიკური პროფილის კვლევისთვის საჭირო მინიმალური კონცენტრაცია, არ წარმოადგენს უპირობოდ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. პროკურორ გელა თებიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

გ. შავლიაშვილი

მოსამართლეები:

ნ. გვენეტაძე

პ. სილაგაძე



საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი საქართველოს სახელით

საქმე №110აპ-19
ჯ-ი ფ., 110აპ-19

ქ. თბილისი
1 აგვისტო, 2019 წელი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე),
ბესარიონ ალავიძე, პაატა ქათამაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის პროკურორ გიორგი ოსაძის, ასევე – მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-ისა და გ. ტ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 დეკემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ფ. ჯ-ის ბრალი დაედო თაღლითობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ფულადი თანხის დაუფლებაში მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით; თაღლითობის მცდელობაში, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლების მცდელობაში, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით; სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვაში, ე.ი. იმ გარემოებისა და ფაქტის შესახებ ინფორმაციის დამალვაში, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ჩადენილი იმის მიერ, ვინც ვალდებული იყო, მიეწოდებინა ეს ინფორმაცია მოსახლეობისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ-ი, დ. კილომეტრზე, მდებარეობს სამედიცინო დაწესებულება – შპს „ლ.“, რომლის დირექტორიც არის ფ. ჯ-ი. ხსენებულ საზოგადოებას 2014 წლის 21 მაისს გაცემული N- -- სანებართვო მოწმობის შესაბამისად, მოპოვებული ჰქონდა ორგანოთა გადანერგვისა

და ტრანსპლანტაციის ნებართვა. კლინიკის დირექტორმა ფ. ჯ-იმ 2016 წლის დასაწყისში ა-ის რესპუბლიკიდან მოიწვია ქირურგ-ტრანსპლანტოლოგი მ. კ., რომლის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ფ. ჯ-იმ და კლინიკის სხვა თანამშრომლებმა მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით მომხმარებელთა მიზიდვის მიზნით, გაავრცელეს განცხადებები, მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები, რომ თითქოსდა, შპს „ლ-ში“ თ-ის რ-დან მოწვეული ჰყავდათ ტრანსპლანტაციის დარგის სპეციალისტები და ღვიძლით დაავადებული პაციენტებისთვის ტარდებოდა უფასო კონსულტაციები.

2016 წლის 12 თებერვალს გ. ჩ-ემ და კ. კ-მ გამოკვლევების ჩატარებისა და კონსულტაციის მისაღებად მიაკითხეს დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ფ. ჯ-იმ და მისი დავალებით კლინიკის თანამშრომლებმა ნდობის მოსაპოვებლად განუცხადეს, რომ თითქოსდა, კლინიკაში თ-იდან მოწვეული იყო ტრანსპლანტაციის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა ღვიძლის გადანერგვის არაერთი წარმატებული ოპერაცია.

ფ. ჯ-ისათვის ცნობილი იყო, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე როგორც პაციენტების, ისე დონორებისა და მისი ოჯახის წევრებისათვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია იმ რისკების შესახებ, რაც ახლდა ღვიძლის გადანერგვას და ასევე, უნდა წარედგინა ისინი ტრანსპლანტაციის საბჭოს წინაშე და თანხმობა აელო ოპერაციის ჩატარებაზე, თუმცა 2016 წლის 3 მარტს კ. კ-ს, ხოლო იმავე წლის 8 მარტს გ. ჩ-ეს ჩაუტარდა ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია ისე, რომ ეს პაციენტები არ წარუდგინეს ტრანსპლანტაციის საბჭოს, რითაც ფ. ჯ-იმ დაუმალა მათ და მათი ოჯახის წევრებს ის გარემოება და ფაქტი, რომლებიც საფრთხეს უქმნიდა პაციენტთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მიუხედავად იმისა, რომ ქირურგ მ. კ-ს არ გააჩნდა საქართველოს სახელმწიფო სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში, ხოლო თავად კლინიკის დირექტორი ფ. ჯ-ი ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე ვალდებული იყო, ტრანსპლანტაციის საბჭოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია და საბჭოსგან აელო ნებართვა, კონსულტაციებისა და შესაბამისი გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, კ. კ-სა და გ. ჩ-ეს, ფულადი თანხის მიღების მიზნით, ფ. ჯ-იმ და კლინიკის კონკრეტულმა თანამშრომლებმა, რომლებიც მოქმედებდნენ ერთიანი მართლსაწინააღმდეგო განზრახვით, გამოიყენეს სამსახურებრივი მდგომარეობა, მოიპოვეს პაციენტთა ნდობა და მოტყუებით განუცხადეს, რომ თითქოსდა, მათ სასწრაფოდ ესაჭიროებოდათ ღვიძლის გადანერგვა, რის სანაცვლოდაც 2016 წლის 28 თებერვალს შპს „ლ-ს“ დირექტორი ფ. ჯ-ი და მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი კლინიკის თანამშრომლები მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ კ. კ-ის კუთვნილ ფულად თანხას – 99204 ლარს, ხოლო გ. ჩ-ის შემთხვევაში 2016 წლის 7 მარტს, ფ. ჯ-ის დავალებით, ოპერაციის ჩატარებამდე, დაჩქარებული წესით, მოტყუებით გაფორმდა ხელშეკრულება ვალის აღიარების შესახებ, რომლის შესაბამისად, პაციენტ გ. ჩ-ეს

კლინიკის იურისტ გ. ა-სთვის 2016 წლის 10 აპრილამდე უნდა გადაეხადა თანხა – 40 000 აშშ დოლარი.

სახელმწიფო ლიცენზიისა და ნებართვის გარეშე ჩატარებული ღვიძლის გადანერგვის ოპერაციების შედეგად კ. კ. კლინიკაში გარდაიცვალა 2016 წლის 10 მარტს, ხოლო გ. ჩ. – 2016 წლის 15 მარტს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 8 თებერვლის განაჩენით:

ფ. ჯ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ფ. ჯ-ი, – – – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2017 წლის 21 მაისიდან.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 დეკემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის 2018 წლის 8 თებერვლის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

ფ. ჯ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

ფ. ჯ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით, 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე.

ფ. ჯ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2017 წლის 21 მაისიდან.

განაჩენით ფ. ჯ-ის მსჯავრი დაედო გულგრილობაში, ესე იგი საწარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვნად შესრულებაში მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

თ-ი, დ. კილომეტრზე მდებარეობს სამედიცინო დაწესებულება – შპს „ლ.“, რომლის დირექტორიც არის ფ. ჯ-ი. ხსენებულ საზოგადოებას 2014 წლის 21 მაისს გაცემული N-სანებართვო მოწმობის შესაბამისად, მოპოვებული ჰქონდა ორგანოთა გადანერგვისა და ტრანსპლანტაციის ნებართვა. კლინიკის დირექტორმა ფ. ჯ-იმ 2016 წლის დასაწყისში ა-ის რესპუბლიკიდან მოიწვია ქირურგ-ტრანსპლანტოლოგი მ. კ., რომლის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ფ. ჯ-იმ და კლინიკის სხვა თანამშრომლებმა მასმედიისა და სოციალური ქსელების საშუალებით მომხმარებელთა მიზიდვის მიზნით გაავრცელეს განცხადებები, მომზადდა სატელევიზიო სიუჟეტები, რომ თითქოსდა, შპს „ლ-ში“ თ-ის რესპუბლიკიდან მოწვეული ჰყავდათ ტრანსპლანტაციის დარგის სპეციალისტები და ღვიძლით დაავადებული პაციენტებისთვის ტარდებოდა უფასო კონსულტაციები.

2016 წლის 12 თებერვალს გ. ჩ-ემ და კ. კ-მ გამოკვლევების ჩატარებისა და კონსულტაციის მიღების მიზნით მიაკითხეს დასახელებულ სამედიცინო დაწესებულებას, სადაც ფ. ჯ-იმ და კლინიკის სხვა თანამშრომლებმა განუცხადეს, რომ თითქოსდა, კლინიკაში თ-იდან მოწვეული იყო ტრანსპლანტაციის სპეციალისტთა ჯგუფი, რომელსაც გაკეთებული ჰქონდა ღვიძლის გადანერგვის არაერთი წარმატებული ოპერაცია.

ფ. ჯ-ისათვის ცნობილი იყო, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე პაციენტი და დონორები უნდა წარედგინა ტრანსპლანტაციის საბჭოს წინაშე და თანხმობა აელო ოპერაციის ჩატარებაზე, თუმცა 2016 წლის 3 მარტს კ. კ-ს, ხოლო იმავე წლის 8 მარტს გ. ჩ-ეს ჩაუტარდათ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია ისე, რომ არ არსებობდა ტრანსპლანტაციის საბჭოს თანხმობა ორგანოს გადანერგვაზე.

ფ. ჯ-იმ, როგორც შპს „ლ-ს“ დირექტორმა, არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, არ შეამოწმა, რომ მ. კ-ს 2016 წლის მარტის მდგომარეობით არ გააჩნდა საქართველოს სახელმწიფო სერტიფიკატი არცერთ საექიმო სპეციალობაში და 2016 წლის 1 მარტიდან შპს „ლ-ში,“ ორგანოთა გადანერგვის განყოფილებაში, ქირურგის თანამდებობაზე დანიშნა მ. კ., რომელიც მისივე ბრძანებით დაინიშნა შპს „ლ-ში“ ორგანოთა გადანერგვის განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. კლინიკის დირექტორი ფ. ჯ-ი ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე ვალდებული იყო, ტრანსპლანტაციის საბჭოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია და საბჭოსგან მიეღო თანხმობა. მიუხედავად იმისა, რომ არც კ. კ-ის და არც გ. ჩ-ის შემთხვევაში ასეთი თანხმობა არ არსებობდა, ფ. ჯ-ის მითითებით კლინიკა „ლ-ში“ ზემოხსენებულ პაციენტებს ჩაუტარდათ ღვიძლის გადანერგვის ოპერაციები. კ. კ. კლინიკაში გარდაიცვალა 2016 წლის 10 მარტს, ხოლო გ. ჩ. – 2016 წლის 15 მარტს.

ფ. ჯ-ის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებით დაირღვა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

4. თბილისის პროკურატურის საგამომიებო ნაწილის პროკურორი გიორგი ოსაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: ფ. ჯ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (ვ. კ-ის ეპიზოდი), 19,180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით (გ. ჩ-ის ეპიზოდი), 247-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. კასატორის მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო, საქმეში არსებული მტკიცებულებები შეფასებულია საქმის ფაქტობრივი გარემოებებისაგან „აცდენილად“, რაც საპროცესო კანონმდებლობის მთელი რიგი ნორმების დარღვევაა.

5. მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატები - გ. ნ-ი და გ. ტ. საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და ფ. ჯ-ის გამართლებას იმ მოტივით, რომ:

- განაჩენი არის უკანონო; მსჯავრდებულს არ ჩაუდენია და ვერც ჩაიდენდა საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულს;

- ფ. ჯ-ი სამეწარმეო რეესტრის ამონაწერით არის შპს „ლ-ს“ დამფუძნებელი, მასში არის რამდენიმე დეპარტამენტი და მათ შორის კლინიკაც; ამ შემთხვევაში სასამართლომ არ გაითვალისწინა უფლებამოსილებათა გამიჯვნის აუცილებლობა, არ იმსჯელა იმაზე, თუ კონკრეტულად კლინიკის რომელ პასუხისმგებელ პირს ევალებოდა ოპერაციის ჩატარების შესახებ ტრანსპლანტაციის საბჭოს ინფორმირება ან კლინიკის კონკრეტულად რომელი თანამდებობის პირი იყო პასუხისმგებელი, პაციენტებისთვის ეცნობებინა ოპერაციის ჩატარების წინ ჰქონდა თუ არა გაგრძელებული ამ ოპერაციის ჩატარების ნებართვა მ. კ-ს და საერთოდ, გასცა თუ არა ამ ოპერაციის ჩატარებაზე თანხმობა ტრანსპლანტაციის საბჭომ.

სამოტივაციო ნაწილი:

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის საქმის მასალები, შეამოწმა მხარეთა საკასაციო საჩივრების მოტივების საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის ქმედების თავდაპირველი კვალიფიკაციის შეცვლის ნაწილში არ შეესაბამება ფ. ჯ-ის საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და ის უნდა შეიცვალოს

მსჯავრდებულისთვის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით შერაცხული ბრალის შინაარსთან დაკავშირებით. მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის ბრალის გადაკვალიფიცირებული ნაწილი კვლავ უნდა დაკვალიფიცირდეს თაღლითობად დამთავრებული სახით (კ. კ-ის ეპიზოდი) და თაღლითობის მცდელობად (გ. ჩ-ის ეპიზოდი), ამასთან, იმ დაკვალიფიცირებელ გარემოებებში, რომლებიც მითითებულია პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში.

3. საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული ნორმის შინაარსის სწორი განმარტების მიხედვით, თაღლითობის ქმედების შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს, ობიექტური მხრივ, წარმოადგენს დამნაშავეს მიერ დაზარალებულის მოტყუება (შეცდომაში შეყვანა) მისთვის არასწორი, დამახინჯებული, სინამდვილის შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდებით ან სინამდვილის ამსახველი ინფორმაციის დამალვით, მიუწოდებლობით (მაშინ, როდესაც ასეთი ინფორმაციის წარდგენის სამართლებრივი ვალდებულება არსებობს) და ამ გზით დაზარალებულის კუთვნილი თანხისა თუ სხვა ნივთის დაუფლება ან მის ქონებაზე უფლების მიღება. სუბიექტური მხრივ, თაღლითობის აუცილებელ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს მოტყუების გზით დაუფლებული ნივთის (ქონების) მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, რა დროსაც სახეზეა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა, ანუ, როდესაც დამნაშავე არა მარტო ითვალისწინებს, არამედ, ამავე დროს, სურს კიდევაც დაზარალებულისთვის საზიანო მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა (საქართველოს სსკ-ის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი), ამ შემთხვევაში მატერიალური ზარალის სახით. ხოლო, როდესაც დამნაშავე თავისი მიზანმიმართული მოქმედებით ვერ აღწევს მისთვის სასურველი შედეგის დადგომას, სახეზეა თაღლითობის მცდელობა. მოცემულ საქმეში არსებული მტკიცებულებების ობიექტური ანალიზი ადასტურებს, რომ ფ. ჯ-ის ქმედებაში სრული სახით არის წარმოდგენილი თაღლითობის ორივე შემთხვევის მახასიათებელი ყველა ნიშანი, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნები ბრალდების ამ ნაწილშიც იყო სწორი, საფუძვლიანი და დასაბუთებული.

4. ვიდრე შევაფასებდეთ მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის ქმედების თაობაზე არსებულ მტკიცებულებებს, მანამდე განვიხილავთ დაცვის მხარის მიერ ჯერ სააპელაციო საჩივარში, ხოლო შემდეგ მოცემულ საქმეზე ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მიმართ შეტანილ შესაგებელში დასმულ საკითხს – წარმოადგენს თუ არა ფ. ჯ-ი თაღლითობის სუბიექტს, რომლის ჩადენაც მას ბრალად შერაცხა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით. დაცვის მხარის მტკიცებით, ფ. ჯ-ი იყო მხოლოდ შპს „ლ-ს“ დამფუძნებელი და მფლობელი, ის არ იყო კლინიკის დირექტორი და არ მონაწილეობდა მის მართვა-გამგეობაში, ამიტომ მას შეეხება არ ჰქონდა პაციენტებთან, მათ მკურნალობასთან და არც მათთან ფინანსური ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტასთან, რის გამოც ის ვერ ჩაითვლება ამ დანაშაულის სუბიექტად.

5. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, ფ. ჯ-ი თაღლითობის დანაშაულის სუბიექტს წარმოადგენდა, კერძოდ, მტკიცებულებების შესაბამისად, ფორმალურად კლინიკის დირექტორის თანამდებობას ზ. ხ. იკავებდა, მაგრამ კლინიკა „ლ-ში“ ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, მათ შორის პაციენტებთან ურთიერთობაში, ფინანსური საკითხების ჩათვლით, გადაწყვეტილებებს უშუალოდ თვითონ ფ. ჯ-ი იღებდა, როგორც კლინიკის მფლობელი და ფაქტობრივი მმართველი, ხოლო კლინიკის ფორმალური დირექტორიც და სხვა თანამშრომლებიც მის გადაწყვეტილებებს ემორჩილებოდნენ და მისგან მიღებულ მითითებებსა თუ დავალებებს ასრულებდნენ. ასე იყო ზემოხსენებული პაციენტების – კ. კ-ისა და გ. ჩ-ისათვის კლინიკაში ღვიძლის გადანერგვის ოპერაციების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთობების დროსაც. აღნიშნულ გარემოებას ცალსახად ადასტურებს მოწმეების – ზ. ხ-ს, ნ. ნ-ის, თ. ბ-ის, ა. ა-სა და ლ. მ-ის მიერ სასამართლოს წინაშე მიცემული პირდაპირი ჩვენებები.

6. ფ. ჯ-ის მიერ ჩადენილი მოტყუებითი მოქმედებები, რომლებიც მიმართული იყო დაზარალებულების – კ. კ-ისა და გ. ჩ-ის, აგრეთვე მათი ოჯახების წევრების შეცდომაში შესაყვანად, შინაარსობრივი თვალსაზრისით, სხვადასხვა ფორმით იყო გამოხატული. საამისოდ ის მოქმედებდა ერთიანი მართლსაწინააღმდეგო განზრახვით კლინიკა „ლ-ს“ სხვა თანამშრომლებთან ერთად, კერძოდ, ისინი არწმუნებდნენ დაზარალებულებს, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციას გაუკეთებდნენ თ-დან ჩამოსული, გამოჩენილი სპეციალისტები და რომ ასეთი ოპერაციის ჩატარება მათთვის იყო სასწრაფო და გადაუდებელი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა; აღსანიშნავია ისიც, რომ კლინიკა „ლ-ში“ არ იყო უზრუნველყოფილი ყველა აუცილებელი პირობა მსგავსი სირთულისა და სიმძიმის ოპერაციების ჩასატარებლად. ამის შედეგად დაზარალებულები მოკლებულნი აღმოჩნდნენ შესაძლებლობას, შეეფასებინათ კლინიკაში რეალურად არსებული ვითარება და მიეღოთ გააზრებული გადაწყვეტილება – დასთანხმებოდნენ თუ არა სიცოცხლისათვის ძალზე სარისკო ოპერაციის კლინიკა „ლ-ში“ გაკეთებას. ასეთი ქმედება ფ. ჯ-ისა და მასთან საერთო განზრახვით დაკავშირებული, აღნიშნული კლინიკის სხვა თანამშრომლებისა, რომლებიც ამ კლინიკაში სხვადასხვა პოზიციას იკავებდნენ (რომელთა მიმართაც პროკურორის შესაბამისი დადგენილებით საქმე ცალკეა გამოყოფილი), დადასტურებულია მოწმეების – ნ. კ-ისა და ა. ჟ-ს პირდაპირი ჩვენებებით, აგრეთვე – მოწმე ხ. კ-ის არაპირდაპირი ჩვენებით.

7. ის გარემოება, რომ ზემოხსენებული პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ღვიძლის გადანერგვის ოპერაციის ჩატარებაზე მართლსაწინააღმდეგო ხერხებით დაყოლიებას თან ახლდა მათგან დიდი ოდენობით თანხების არა მარტო მოთხოვნა, არამედ ერთ შემთხვევაში მიღებაც, დადასტურებულია იმავე მოწმეების პირდაპირი ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა ფინანსური ხასიათის დოკუმენტური მასალით, რომლებიც ასევე პირდაპირ მტკიცებულებებს წარმოადგენს. დაცვის მხარის განცხადება იმის თაობაზე, რომ პაციენტების ოჯახების წარმომადგენლებისგან

უმუალოდ ფ. ჯ-ის არ მიუღია ოპერაციების საფასურად გადახდილი თანხები, არამედ ისინი დადგენილი წესით კლინიკა „ლ-ს“ ანგარიშზე ჩაირიცხა, ვერ იქნება მიღებული მსჯავრდებულის უდანაშაულოდ მიჩნევის საფუძველად. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ჩადენილი ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციისათვის არ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას – დამნაშავე მოქმედებდა თავისი პირადი სარგებლისათვის, თუ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სასარგებლოდ, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება მოქმედების მიზანსა და ასეთი მოქმედებით შედეგის დადგომას. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სწორედ ფ. ჯ-ი იყო კლინიკა „ლ-ს“ დამფუძნებელი და ფაქტობრივი მმართველი, რომლის ანგარიშზეც შეიტანეს დიდი ოდენობით თანხები დაზარალებულების ოჯახების წევრებმა. ამიტომ იმაზე საუბარი, რომ ქმედების ჩადენისას მსჯავრდებულს პირადი სარგებლის მიღების ინტერესი არ გააჩნდა, საფუძველს მოკლებულია. მითუმეტეს, გასათვალისწინებელია ზემოაღნიშნული მოწმეების პირდაპირ ჩვენებებში მითითებული ის გარემოება, რომ ფ. ჯ-ი პირადად დაელაპარაკა მათ გადასახდელი თანხების თაობაზე და არა მხოლოდ დაელაპარაკა, არამედ ეს თანხები პირადად მისი თანდასწრებით გადასცეს კლინიკის ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს – ა. ქ-ს, რის შემდეგაც მათ მიიღეს ქვითრები ამ თანხების კლინიკის ანგარიშზე ჩარიცხვის შესახებ. გარდა ამისა, მოწმე ე. ბ-ის პირდაპირი ჩვენებით ისიც დგინდება, რომ დაზარალებულ კ. კ-ის ოჯახის მიერ კლინიკის ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან (99 000 ლარი) 75 000 ლარი პირადად ფ. ჯ-იმ გამოიტანა.

8. ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის დასკვნით, ფ. ჯ-ის ქმედებაში წარმოდგენილია თაღლითობის ძირითადი შემადგენლობის არსებობისთვის საჭირო ყველა ნიშანი, რაც შეიძლება, საფუძველად დაედოს მის პასუხისმგებლობას ამ დანაშაულისათვის.

9. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფ. ჯ-იმ, კლინიკის სხვა თანამშრომლებთან ერთად, ერთ შემთხვევაში – პაციენტ კ. კ-ის ეპიზოდში, მისი ოჯახის წევრებისგან რეალურად მიიღო და დაუფლა თანხებს, ხოლო მეორე შემთხვევაში – გამოვლენილია თანხის მიღებისა და დაუფლების მცდელობა, რაც იმით იყო განპირობებული, რომ პაციენტ გ. ჩ-ის ოჯახს არ აღმოაჩნდა ოპერაციის საფასური თანხა, რის გამოც, თანხის სანაცვლოდ, კლინიკის იურისტ გ. ა-სთან გაფორმდა ვალის აღიარების ხელშეკრულება 40 000 აშშ დოლარზე. ვინაიდან ასეთი ხელშეკრულება არ წარმოადგენს არც ფასიან ქალაქს და არც თანხის უმუალოდ მიღებისათვის საკმარის ფინანსურ დოკუმენტს, მიჩნეულ უნდა იქნეს, რომ ამ შემთხვევაში დამნაშავემ ვერ მოახერხა დაზარალებულისგან მოთხოვნილი თანხის მიღება და დაუფლება, რის გამოც თაღლითობა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ბოლომდე ვერ იქნა მიყვანილი.

10. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ დასკვნებს იმის თაობაზე, რომ ფ. ჯ-ის ქმედება არ შეიცავს თაღლითობის ნიშნებს, რადგან თანხა, რომელიც პაციენტ კ. კ-ის ოჯახმა გადასცა კლინიკა „ლ-ს“,

წარმოადგენდა აღნიშნული პაციენტისათვის რეალურად ჩატარებული ოპერაციის საფასურს. აქედან გამომდინარე, მოტყუება და სხვისი კუთვნილი თანხის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლება, რაც თაღლითობის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს, არ მომხდარა. ამიტომ, ის გარემოება, რომ ქირურგ მ. კ-ს მიერ ხსენებული პაციენტისათვის გაკეთებული ღვიძლის გადანერგვის ოპერაციები უშედეგო აღმოჩნდა და პაციენტები გარდაიცვალნენ, ვერ გახდება იმის საფუძველი, რომ მსჯავრდებულის ქმედება თაღლითობად დაკვალიფიცირდეს.

11. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს შემდეგ გარემოებაზე: საქმეში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებით, პაციენტთა (რომლებიც გარდაიცვალნენ) მიმართ ჩატარებული ოპერაციების პირობების შემოწმების შედეგებზე შემდგარი დოკუმენტებითა და სხვა მასალებით დგინდება, რომ პაციენტების მდგომარეობა იმ მომენტისათვის, როდესაც მათ მიმართეს კლინიკა „ლ-ს,“ არ ითხოვდა მათთვის სასწრაფოდ და გადაუდებლად ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებას. მათ შეიძლება ჩატარებოდათ გეგმური ოპერაციები, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობასა და დაავადების მიმდინარეობაზე სამედიცინო დაკვირვების შემდეგ, თუკი ამის შედეგად გამოტანილი დასკვნებით ოპერაციის ჩატარების აუცილებლობა დადგინდებოდა. გარდა ამისა, აღნიშნული მტკიცებულებებით ისიც დგინდება, რომ კლინიკა „ლ-ში“ არ იყო უზრუნველყოფილი ყველა ის პირობა, რომელთა არსებობა აუცილებელია მსგავსი ხასიათისა და სირთულის, პაციენტის სიცოცხლისათვის მაღალი რისკის შემცველი ოპერაციების წინასწარი მომზადების, ჩატარებისა და ასეთი მძიმე პაციენტების ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციისათვის. მიუხედავად ამისა, ფ. ჯ-ი და კლინიკის სხვა თანამშრომლები, მასთან შეთანხმებით, არწმუნებდნენ პაციენტებსა და მათი ოჯახის წევრებს, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ არსებობდა მათთვის გადაუდებელი ოპერაციების ჩატარების აუცილებლობა, რადგან სხვაგვარად მათი დაავადების განვითარების ლეტალური შედეგის თავიდან აცილება ვერ მოხერხდებოდა და რომ ოპერაციებს ჩატარებდა თ-იდან მოწვეული მსოფლიო დონის სპეციალისტი და ა.შ.;

12. აღნიშნულ ვითარებას არაპირდაპირ ადასტურებს ასევე მოწმე ხ. პ-ის ჩვენებაც, რომლის მეუღლე გ. მ-ი დაავადებული იყო ღვიძლის ციროზით. 2015 წლის 3-4 თებერვალს ისინი მივიდნენ კლინიკა „ლ-ში“ კონსულტაციაზე, რის შემდეგაც მათ განუცხადეს, რომ ტრანსპლანტაციის ოპერაცია ჩატარდებოდა ორი კვირის შემდეგ. მაგრამ მათ შეიტყვეს პაციენტ კ. კ-ის გარდაცვალებისა და იმის შესახებ, რომ ქირურგ მ. კ-ს არ გააჩნდა ლიცენზია. ყოველივე ამის გამო ისინი დაექვდნენ და საბოლოოდ უარი თქვეს კლინიკა „ლ-ში“ ოპერაციის გაკეთებაზე. იმავე ჩვენების მიხედვით, გ. მ-ს ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაცია ჩატარდა ერთ წელზე მეტი ხნის შემდეგ, 2016 წლის მაისში, ქ. ბ-ის საავადმყოფოში, კლინიკა „ლ-სგან“ ბევრად განსხვავებულ პირობებში. ეს ოპერაცია ჩატარდა გეგმურად, ხოლო კლინიკა „ლ-ში“ კი უნდა ჩატარებულიყო სასწრაფოდ, გადაუდებლად – ორ კვირაში, თანაც არასათანადო პირობებში, რაც ძალიან დიდ საფრთხეს შეუქმნიდა პაციენტის სიცოცხლეს. ყოველივე

აღნიშნული ფ. ჯ-ის მიერ, ასევე ხელქვეითების საშუალებით კეთდებოდა სრულიად მიზანმიმართულად, პაციენტებისა და მათი ოჯახების წევრების შეცდომაში შესაყვანად, ზემოაღნიშნული ოპერაციების ჩატარებაზე მათ დასაყოლიებლად და მათგან დიდი ოდენობით თანხების სწრაფად მისაღებად.

13. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ თაღლითობის ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს ისეთი შემთხვევები, როდესაც მედიცინის მუშაკი ან სამედიცინო დაწესებულების მესვეურები პაციენტს უნიშნავენ არასაჭირო მკურნალობას, უსვამენ არასწორ დიაგნოზს, რათა მძიმედ წარმოაჩინონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, უნიშნავენ თითქოსდა აუცილებელ ან გადაუდებელ ოპერაციას, როცა რეალური ვითარება ამას არ მოითხოვს, ანდა მკურნალობას უნიშნავენ ან ქირურგიულ ოპერაციას უტარებენ პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანს იმ მიზნით, რომ ასეთი პაციენტისგან მიიღონ შესაბამისი თანხები მისი მკურნალობის ან ჩატარებული ოპერაციის საფასურის სახით. ის გარემოება, რომ მიღებული თანხების სანაცვლოდ პაციენტს რეალურად ჩაუტარდა ოპერაცია ან გაეწია სხვა სახის მკურნალობა, რაზეც აქცენტს აკეთებს სააპელაციო სასამართლო, ვერ შეცვლის აღნიშნული ქმედების სამართლებრივ სტატუსს, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში თითქოსდა საჭირო მკურნალობის ან ოპერაციის ჩატარება მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარ ხერხს წარმოადგენს დაზარალებულის შეცდომაში შესაყვანად და ამ უკანასკნელის კუთვნილი თანხის ან ქონებრივი უფლების მოსაპოვებლად. თაღლითობის ანალოგიური შემთხვევები სამედიცინო დარგის გარდა, სავსებით შესაძლებელია, შეგვხვდეს აგრეთვე საქმიანობის სხვა სფეროებშიც, მაგალითად, მშენებლობის, გარკვეული სახის ტექნიკური მომსახურებისა და განათლების სფეროშიც კი. ყველა ასეთ შემთხვევაში ჩადენილი ქმედების თაღლითობად კვალიფიკაციას ვერ გამორიცხავს ის გარემოება, რომ დამნაშავემ მის მიერ დაუფლებული სხვისი თანხის ან სხვა ნივთის სანაცვლოდ გარკვეული მომსახურება ან სხვა საქმიანობა გაუწია დაზარალებულს, რადგან არ არსებობდა მისი საჭიროება და ეს უკანასკნელი გამოყენებულია მხოლოდ დაზარალებულის მოტყუების საშუალებად, ანდა უკვე ჩადენილი მოტყუების შესანიღბად.

14. როგორც ცნობილია, საკუთრების უფლების ხელმყოფი ქმედებებისა და მათ შორის – თაღლითობის შემადგენლობის ფარულ, მაგრამ აუცილებლად ნაგულისხმევ სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს ანგარებითი მოტივი. მოცემულ შემთხვევაში ფ. ჯ-ი ანგარებით რომ მოქმედებდა, ამ გარემოებას ადასტურებს საქმეში არსებული მტკიცებულებები. ასეთი მოტივის არსებობას განაპირობებდა კლინიკა „ლ-ში“ არსებული მძიმე ფინანსური მდგომარეობა, რამაც ფ. ჯ-ის უბიძგა კლინიკაში წამოეწყო ძვირად ღირებული, მძიმე ოპერაციების დაჩქარებულ ვადებში ჩატარება, რათა ამ გზით სწრაფად ამოეღო დიდი ოდენობით თანხები პაციენტებისგან, მიუხედავად იმისა, რომ კლინიკას საამისოდ საჭირო პირობები და შესაძლებლობები არ გააჩნდა, რაც მისთვის კარგად იყო ცნობილი. ამ გარემოებაზე პირდაპირ მიუთითებს მოწმე ნ. ნ-ის ჩვენება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოც თავის განაჩენში საკმაოდ მკაფიოდ უთითებს ამ გარემოებაზე, თუმცა მისი გამოყენებით იმის

დასაბუთებას, რომ მსჯავრდებული მოქმედებდა არა დაზარალებულთა მოტყუების, არამედ – კლინიკის ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, პალატა ვერ დაეთანხმება და აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში აუცილებელია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს ქმედების ჩადენისას სუბიექტის მამოძრავებელი მოტივი და ამ მოტივის არსებობის განმაპირობებელი ფაქტორები. განხილულ შემთხვევაში კლინიკა „ლ-ში“ შექმნილი ფინანსური პრობლემები და მათი გადაწყვეტის ინტერესი არა მოქმედების მოტივად, არამედ ამ უკანასკნელის განმსაზღვრელ ფაქტორებად უნდა იქნეს მიჩნეული, ხოლო მოტივი, რამაც ფ. ჯ-ის უბიძგა პაციენტების კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების დაუფლებისკენ, იყო ანგარებითი, რომლის გავლით ჩამოყალიბდა სწორედ ამ თანხების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, ამის მისაღწევად კი მან აირჩია მართლსაწინააღმდეგო გზა. ასეთია ფ. ჯ-ის მიერ ჩადენილი ქმედების შინაგანი ბუნება, რაც საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებითაა დადასტურებული.

15. საკასაციო პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ფ. ჯ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის პირველი ნაწილით დაკვალიფიცირებას (გულგრილობა, ესე იგი კერძო ორგანიზაციაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულება მისდამი დაუდევარი დამოკიდებულების გამო, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია). სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ: ფ. ჯ-ი, რომელიც იყო შპს „ლ-ს“ დამფუძნებელი და ფაქტობრივი მმართველი და გააჩნდა წარმომადგენლობის უფლებამოსილება, გულგრილად მოეკიდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, კერძოდ, გ. ჩ-ისა და კ. კ-სთვის ტრანსპლანტაციის ოპერაციის ჩატარებამდე არ შეამოწმა, მის მიერ მოწვეულ ექიმს – მ. კ-ს ჰქონდა თუ არა სახელმწიფოს მიერ მინიჭებული სერტიფიკატი – ოპერაციული მკურნალობის წარმოების ნებართვა. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულით არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესი, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ყველას აქვს უფლება, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან ოფიციალურ დოკუმენტს. მოცემულ შემთხვევაში პაციენტებს - კ. კ-სა და გ. ჩ-ეს ჰქონდათ უფლება, მიეღოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ ღვიძლის ტრანსპლანტაციის ოპერაციას უკეთებდა ა-იდან მოწვეული ექიმ-ტრანსპლანტოლოგი, რომელსაც არ გააჩნდა ოპერაციის ჩასატარებლად სახელმწიფოს მიერ გაცემული სათანადო ლიცენზია, რის შესახებაც ინფორმაცია მათთვის არავის მიუწოდებია. ამასთან, ფ. ჯ-ის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებასა და გულგრილ დამოკიდებულებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ ხსენებული პირებისთვის ოპერაციის ჩატარების მომენტისთვის დაწესებულებას მოპოვებული არ ჰქონდა ორგანოს გადანერგვაზე ტრანსპლანტაციის საბჭოს მიერ გაცემული თანხმობა.

16. სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ პოზიციას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და აღნიშნავს, რომ განზრახი დანაშაულის გაუფრთხილებელ დანაშაულზე გადაკვალიფიცირება საჭიროებს სპეციფიკურ დასაბუთებას, მათ შორის – გაუფრთხილებელი დანაშაულის კონკრეტული სახის მითითების ნაწილში. ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის პირველ ნაწილში, მსგავსად ამავე კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილისა, დამნაშავის მხრივ სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზეა მითითებული, ვერ განიმარტება ისე, რომ ასეთი ქმედება მხოლოდ დაუდევრობით ჩადენილ დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს, რადგან აღნიშნული ნორმების დისპოზიციებში საუბარია სამსახურებრივი მოვალეობისადმი და არა – ამგვარი დანაშაულის შედეგისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზე. ამიტომ ორივე დასახელებული გაუფრთხილებელი დანაშაული შეიძლება ჩადენილ იქნეს როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობით; ვერ დავეთანხმებით ასევე საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემადგენლობაში მითითებული ნიშნის – „სახელმწიფო ინტერესების“ – ისეთ ფართო გაგებას, რომ მასში მოიაზრებოდეს ნებისმიერ კერძო ან საჯარო სფეროში ჩადენილი ქმედებით ადამიანის ამა თუ იმ უფლებისა თუ თავისუფლების ხელყოფა. პალატა აღნიშნავს, რომ ამგვარი მიდგომით საქართველოს სსკ-ის 220¹-ე, 342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებსა და ყველა სხვა გაუფრთხილებელ დანაშაულს შორის ზღვრის წაშლის საფრთხე წარმოიშობა; ანდა შესაძლებელია, პირის მიერ ნებისმიერი გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისას მისი ქმედება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 220¹-ე ან 342-ე მუხლებით, რადგან საქართველოს სსკ-ით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა არაპირდაპირ ყოველთვის აზიანებს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს. ამიტომ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც სსკ-ის 220¹-ე მუხლის, ასევე 342-ე მუხლის პირველ ნაწილში შემადგენლობის ნიშნად მითითებულ – „სახელმწიფოს კანონიერ ინტერესებში“ იგულისხმება მხოლოდ ის კონკრეტული სახელმწიფო ინტერესები, რომლებსაც უშუალოდ შეეხო პირის მიერ ჩადენილი ქმედება.

17. ამრიგად, საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობისა და ამ მტკიცებულებებით უდავოდ დადასტურებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადგენილად მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა ფ. ჯ-იმ ჩაიდინა თაღლითობა მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, კერძოდ, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით. აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოებებიდან თითოეულის არსებობა დასტურდება საქმეში არსებული კონკრეტული მტკიცებულებებით: ჯგუფთან ერთად შეთანხმებულ მოქმედებაზე მითითებულია მოწმეების – ნ. კ-ისა და ა. ჟ-ს ჩვენებებში; ის გარემოება, რომ მსჯავრდებული მოქმედებდა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დადგენილია მოწმეების – ნ. კ-ის, ა. ჟ-ს, ნ. ნ-ის, თ. ქ-ისა და სხვათა ჩვენებებით, აგრეთვე – საქმეში არსებული დოკუმენტური მასალებით; მისი ქმედება რომ

მიმართული იყო დიდი ოდენობით თანხების დაუფლებისაკენ, დადასტურებულია მოწმეების – ნ. კ-ის, ა. ჟ-სა და სხვათა ჩვენებებით, აგრეთვე – საქმეში წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტებით.

18. განხილული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა არ ეთანხმება დაცვის მხარის საჩივრის მოთხოვნას მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის უდანაშაულოდ ცნობისა და გამართლების თაობაზე, რადგან ასეთ მოთხოვნას არ გააჩნია დასაბუთებული საფუძველი, რის გამოც აღნიშნული საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. რაც შეეხება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას იმ ნაწილში, რომ ფ. ჯ-ის ქმედება ასევე დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით, როგორც სიცოცხლისათვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვა, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებებით ფ. ჯ-ის ქმედებაში არ იკვეთება ამგვარი დანაშაულის ნიშნები, რის გამოც ამ ნაწილში საკასაციო პალატა ერთმნიშვნელოვნად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, როგორც სრულფასოვნად დასაბუთებულსა და კანონიერს. ამიტომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ ნაწილობრივ.

19. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის მიერ ჩადენილია თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის (ფულადი თანხის) დაუფლება მოტყუებით, პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებითა და დიდი ოდენობით, რის გამოც მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის პირველი ნაწილიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებზე. აღნიშნული დანაშაული მან ჩაიდინა ორ ეპიზოდად, ერთხელ – დამთავრებული სახით (დაზარალებულ კ. კ-სთან მიმართებით), ხოლო მეორე – მცდელობის სახით (პაციენტ გ. ჩ-ესთან მიმართებით), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ორივე ეპიზოდი მოცული იყო ფ. ჯ-ის ერთიანი კონკრეტული განზრახვითა და საერთო გადაწყვეტილებით, მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ორი დანაშაულის ერთობლიობასთან, არამედ – ერთიან, განგრძობად დანაშაულთან, რა დროსაც წინმსწრები დამთავრებული დანაშაული ფარავს დაუმთავრებელ დანაშაულს. ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ერთი, დამთავრებული თაღლითობა, ჩადენილი ზემოთ მითითებულ მაკვალიფიცირებელ გარემოებებში.

20. მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრისას საკასაციო პალატას, მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულთათვის მიყენებული ზიანის მოცულობის გათვალისწინებით, მიაჩნია, რომ მის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა. რაც შეეხება სასჯელის ზომას, იმის გათვალისწინებით, რომ მსჯავრდებული წარსულში

ხასიათდება დადებითად, არის პროფესორი, რომელსაც გაწეული აქვს ნაყოფიერი სამედიცინო საქმიანობა მრავალი წლის განმავლობაში, საკასაციო პალატას შესაძლებლად მიაჩნია, რომ ფ. ჯ-ის სასჯელად განესაზღვროს მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სანქციით დადგენილი მინიმალური ზომა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის პროკურორ გიორგი ოსაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების – გ. ნ-ისა და გ. ტ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 დეკემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება;
4. მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 220¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და მე-3 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 6 (ექვსი) წლით თავისუფლების აღკვეთა;
5. მსჯავრდებულ ფ. ჯ-ის სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს დაკავების დღიდან – 2017 წლის 21 მაისიდან;
6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2018 წლის 20 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;
7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

გ. შავლიაშვილი

მოსამართლეები:

ბ. ალავიძე

3. ქათამაძე



საქართველოს უზენაესი სასამართლო განაჩენი საქართველოს სახელით

№346აპ-19
უ-ი რ, 346აპ-19

1 ნოემბერი, 2019 წელი
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი შავლიაშვილი (თავმჯდომარე)
პაატა ქათამაძე, ბესარიონ ალავეძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვახტანგ ნიქაბაძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მარტის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად რ. უ-ს ბრალად წარედგინა:
 - ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი;
 - სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთა;
 - ძალადობით პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით;
 - ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება, შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება.

აღნიშნული დანაშაულები გამოიხატა შემდეგში: 2016 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 22:00 საათზე, ზ-ს რაიონის სოფელ ი-ი გამავალ ცენტრალურ ავტომაგისტრალზე, შელაპარაკების ნიადაგზე, თ--ს სახელმწიფოს მოქალაქემ, მთვრალმა რ. უ-მა, სახისა და თავის არეში ხელის რამდენჯერმე დარტყმით სცემა ვ. გ-ს, რომელმაც განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება, ჯანმრთელობის მოუშლელად.

თ-ს სახელმწიფოს მოქალაქე რ. უ-ი ნ. გ--ა და შვილთან, 13 წლის მ. გ--თან ერთად, დროებით ცხოვრობდა ქ. ზ-ი, კ-ს ქუჩის პ-ი ჩიხის N--ში. აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობენ ასევე ნ. გ-ს სრულწლოვანი შვილები პირველი ქორწინებიდან თავიანთ ცოლ-შვილთან ერთად. 2016 წლის 13 ივლისს, დაახლოებით 12:00 საათზე, რ. უ--ი ხმამაღლა გამოხატავდა აგრესიას ნ. გ--ს რძლებისა და მცირეწლოვანი შვილიშვილების მიმართ. შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდა მათ და აგინებდა. აღნიშნულის გამო, ნ. გ-ს რძალი - ნ. ბ-ი (ე--ე), დახმარების აღმოჩენის მიზნით, ტელეფონით დაუკავშირდა პოლიციას. შეტყობინების საფუძველზე ადგილზე გამოცხადდნენ ზესტაფონის შს რაიონული სამმართველოს თანამშრომლები - დ. ნ., ზ. კ-ო და რ. ლ--ე. მათ რ. უ--ს მოუწოდეს დამშვიდებისკენ და სთხოვეს თავი შეეკავებინა აგრესიული მოქმედებისგან. რ. უ-ი პოლიციის თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა და მათი კანონიერი საქმიანობის შეწყვეტისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის მიზნით, ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელ დ. ნ-ს. მას მუშტი დაარტყა სახეში, ასევე ხელით ჩამოკაწრა კისრის არე, რითაც დ. ნ-მ მიიღო სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. ასევე, რ. უ-მა, წინააღმდეგობის გაწევს დროს, დ. ნ--ს შემოახია პოლიციელის ფორმა. საბოლოოდ, პოლიციელებმა ერთობლივი ძალისხმევით აღკვეთეს რ. უ-ის ძალადობა და დააკავეს შემთხვევის ადგილზე.

2016 წლის 5 მაისს ს--ს სახელმწიფო საზღვრის ს-ს გამტარი პუნქტის გავლით, თ--ს სახელმწიფოს მოქალაქე რ. უ-მა, მის მიერვე დამზადებული ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გამოყენებით, მ. უ-ის დემოგრაფიული მონაცემებითა და ყალბ დოკუმენტში ჩაკრული რ. უ-ის ფოტოსურათით, თ-დან უკანონოდ გადმოკვეთა ს--ს სახელმწიფო საზღვარი და შემოვიდა ს-ი.

ასევე, თ--ს რესპუბლიკის მოქალაქე რ. უ--მა, ს-ს სახელმწიფო ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის მიზნით, დაამზადა ყალბი პირადობის მოწმობა. კერძოდ, თავისი ძმის - მ. უ-ის პირადობის მოწმობაში, რომელშიც მითითებული იყო ამ უკანასკნელის ანკეტური მონაცემები, ჩააკრა თავისი ფოტოსურათი. ამის შემდეგ, 2016 წლის 5 მაისს, ს-ს სახელმწიფო საზღვრის ს--ს გამტარი პუნქტის გავლით, რ. უ--მა, მის მიერვე დამზადებული ყალბი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გამოყენებით, მ. უ--ის სახელით, უკანონოდ გადმოკვეთა ს-ს სახელმწიფოს საზღვარი და შემოვიდა ს-ი. რ. უ-ი ს-ი ყოფნის პერიოდში, 2016

წლის 5 მაისიდან - 2016 წლის 13 ივლისამდე, ცხოვრობდა ქ. ზ-ი, კ--ს ქუჩის 3-ი ჩიხის N--ში მდებარე სახლში ნ. გ--თან ერთად. ამ სახლში რ. უ-ი პირადად ინახავდა მის მიერვე დამზადებულ ზემოაღნიშნულ ყალბ პირადობის დამადასტურებელ მოწმობას. 2016 წლის 12 ივლისს, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას, მოწმის სახით გამოკითხვისას, რ. უ--მა ზემოაღნიშნული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წარუდგინა ზესტაფონის შს რაიონული სამმართველოს გამომძიებელს და მას თავი გააცნო მ. უ-ად.

2. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 დეკემბრის განაჩენით რ. უ--ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (იმ ნაწილში, რომელიც ეხება ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებას) წარდგენილ ბრალდებებში.

რ. უ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა:

- საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;
- საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;
- საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება) - თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ რ. უ--ს (დანაშაულთა ერთობლიობით) სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით.

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მარტის განაჩენით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 დეკემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

4. ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორი ვახტანგ ნიქაბაძე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, რ. უ--ის საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის

362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებას) წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნობას.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

1. საკასაციო პალატამ, შეისწავლა მსჯავრდებულ რ. უ--ის საქმის მასალები, შეამოწმა ბრალდების მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქმის მასალების შესწავლით ირკვევა, რომ რ. უ-ს გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრი დაედო: ს-ს სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით; გამოყენების მიზნით, ყალბი პირადობის მოწმობის შენახვისა და გამოყენებისათვის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

3. მსჯავრდებულ რ. უ-ის მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენა დადასტურებულია კანონიერი, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, ამასთან, ამ მსჯავრთან დაკავშირებით არც დაცვის მხარე აცხადებს რაიმე პრეტენზიას.

4. იმავე განაჩენით რ. უ-ი გამართლდა მის მიმართ წარდგენილი ბრალის იმ ნაწილში, რომლის მიხედვით, მან ჩაიდინა ცემა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ რასაც არ მოჰყოლია საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია). რ. უ-ი გამართლდა ასევე ბრალის იმ ეპიზოდში, რომლის მიხედვით, მან ჩაიდინა ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება მისი გამოყენების მიზნით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

5. საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას გამოყენების მიზნით ყალბი პირადობის მოწმობის დამზადების თაობაზე წარდგენილი ბრალის ნაწილში რ. უ-ის გამართლებასთან დაკავშირებით, რადროსაც, საქმის გარემოებებთან ერთად, მართებულად იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დებულებით.

6. ამავე დროს, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს პოზიციას საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალის ნაწილში რ. უ-ის გამართლებასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლო თავის სამართლებრივ დასაბუთებაში აღნიშნავს, რომ რ. უ-ის მიერ დაზარალებულ ვ. გ-ის მიმართ ძალადობის (ცემის) ჩადენაზე მიუთითებს მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულება, კერძოდ, ამ უკანასკნელის ჩვენება. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მსჯავრდებულის მიერ ცემის ჩადენა, არ მოიპოვება. მართალია, საქმეში არსებობს მტკიცებულებები, რომელთა თანახმად, თითქოს, რ. უ-მა სცემა ვ. გ-ს, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები მიუთითებენ მხოლოდ ასეთი ქმედების ჩადენის ვარაუდზე, რაც არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას გულისხმობს, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს ბრალდებულის მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენაში.

7. როდესაც საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულ ვ. გ-ის მიმართ ძალადობის (ცემის) ნაწილში მსჯავრდებულ რ. უ-ის ბრალის დასადასტურებლად არ არსებობს უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები, ითვალისწინებს შემდეგ გარემოებებს: საქმეში, გარდა დაზარალებულის პირდაპირი ჩვენებისა, არსებობს ასევე სხვა სარწმუნო მტკიცებულებებიც, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ისეთი ობიექტური მტკიცებულება, როგორცაა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ის სხეულებრივი დაზიანებები, რაც მსჯავრდებულმა ძალადობრივი ქმედებით მიაყენა დაზარალებულს. ეს არის სასამართლოში გამოკვლეული და უტყუარად აღიარებული მტკიცებულება, რომელიც საპროცესო კანონის სრული დაცვითაა მოპოვებული და არავითარი ეჭვი არ არსებობს მისი შესაძლო სიყალბის თაობაზე.

8. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე: საქმეში არსებული მასალების მიხედვით, შემთხვევა მოხდა ზ-ს რაიონის სოფელ ი-ი, 2016 წლის 12 ივლისს, საღამოს, დაახლოებით 22:00 საათზე, რომლის შესახებ შეტყობინება პოლიციის ზესტაფონის რაიონულ სამმართველოში შედის და სამართლებრივი რეაგირება იწყება მაშინვე – 22:33 საათზე. იმავე ღამეს, – 23:50–დან 13 ივლისის 00:45 საათამდე პერიოდში, ჩატარდა ვ. გ-ის გამოკითხვა დაზარალებულის სახით, რა დროსაც მან დეტალურად აღწერა მის მიმართ რ. უ-ის მიერ ჩადენილი ძალადობა და მისი ცემის ფაქტთან დაკავშირებული გარემოებები. გამომძიებელს დაუყოვნებლივ გამოაქვს დადგენილება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დანიშვნის

შესახებ და დაზარალებული იგზავნება ექსპერტიზის ჩასატარებლად. აღნიშნული ექსპერტიზაც იმავე ღამეს ტარდება – 03:55 საათიდან, რომლის საფუძველზეც გაიცა შესაბამისი დასკვნა დაზარალებულ ვ. გ-ის სხეულზე აღმოჩენილი მსუბუქი ხარისხის დაზიანებების შესახებ, ცემისთვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნებით. საექსპერტო დასკვნაში მითითებულია, რომ აღმოჩენილი დაზიანების ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება დროის იმ პერიოდს, როდესაც შემთხვევა მოხდა. ამასთან, საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოებაც: საქმეში წარმოდგენილი გამომძიებლის დადგენილებით დაზარალებულად ცნობილი ვ. გ-ის შესაძლო ალკოჰოლურ თრობაზე შესამოწმებლად დაინიშნა ექსპერტიზა, რომელიც ჩატარდა 2016 წლის 13 ივლისს, ღამით, 04:53 საათიდან.

9. ყველა ზემოაღნიშნული გარემოებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების ანალიზით უტყუარად დგინდება შემდეგი: მომხდარი შემთხვევიდან სულ ცოტა დროის გასვლის შემდეგ დაზარალებულს მუდმივი კონტაქტი აქვს სამართალდამცავ ორგანოებთან, მის მიმართ ჩატარებული ექსპერტიზების დასრულებამდე, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ვ. გ-ს სხეულზე დაზიანებები მიეღო სხვა დროს, სხვა ადგილზე და არა მსჯავრდებულთან, არამედ სხვა პირთან კონფლიქტის შედეგად. ამ გარემოებას, გარდა დაზარალებულის პირდაპირი ჩვენებისა, გამორიცხავს ასევე საქმეში არსებული მოწმეების – ნ. გ--სა და ზ. ს-ს არაპირდაპირი ჩვენებები, რომელთა შინაარსი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ შემოწმდეს დაზარალებულ ვ. გ-ის პირდაპირი ჩვენების საფუძვლიანობა და უტყუარობა. ამავე დროს, ალკოჰოლურ თრობაზე ექსპერტიზის დასკვნა გამორიცხავს იმის შესაძლებლობასაც, რომ დაზარალებულ ვ. გ-ს თავისით, სიმთვრალის შედეგად მიეღო ზემოაღნიშნული სხეულზე დაზიანებები.

10. მიღებული დასკვნიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ: ძალადობრივი ქმედების ჩადენის ზემოთ აღწერილ და სხვა მსგავს ვითარებაში (მათ შორის განზრახ ან გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისა თუ სხვადასხვა ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევებშიც), როდესაც საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულება, ფაქტი ან მონაცემი, რომელიც შეიძლება საფუძველი გახდეს გონივრული ეჭვისთვის, რომ დაზარალებულს შესაძლოა, დაზიანებები მიეღო სრულიად სხვა ვითარებაში, სხვა დროს, სხვა პირისგან და არა ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მიერ მის მიმართ ჩადენილი ძალადობის შედეგად, სასამართლო-სამედიცინო თუ სხვა სახის (მაგალითად, ბიოლოგიური) ექსპერტიზის დასკვნა, როდესაც ის პირდაპირ და ობიექტურად ასახავს დამნაშავეს მიერ ჩადენილი ძალადობის კვლევსა და შედეგებს, იძენს პირდაპირი მტკიცებულების მნიშვნელობას და დაზარალებულის (მოწმის) თუნდაც ერთ პირდაპირ ჩვენებასთან, ასევე სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებთან (მათ შორის - არაპირდაპირ ჩვენებებთან) ერთად ქმნის

მტკიცებულებათა ისეთ ერთობლიობას, რაც სავსებით საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დაცვით გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. ხოლო ამგვარი საკითხის გადასაწყვეტად რაღაც ერთიანი, უნივერსალური ტრაფარეტის დადგენა და გამოყენება არც მიზანშეწონილია და არც შესაძლებელი. მეტიც, ასეთი მცდელობის შემთხვევაში შესაძლოა, მართლმსაჯულების განხორციელებისას გაუმართლებელი სამართლებრივი შეცდომები მივიღოთ.

11. ამასთან, საკასაციო პალატა დამატებით განმარტავს, რომ იმ საკითხის შეფასება და გადაწყვეტა – ესა თუ ის მტკიცებულება წარმოადგენს თუ არა პირდაპირ ან არაპირდაპირ მტკიცებულებას, ანდა უტყუარად ცნობილი მტკიცებულებების ერთობილობა საკმარისია თუ არა საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების მისაღებად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე, უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევისადმი ინდივიდუალური მიდგომით, კონკრეტული ფაქტების, გარემოებებისა და მომხდარი შემთხვევის კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით. მსგავსი საკითხების გადაწყვეტისას ნებისმიერი შემთხვევისათვის მხოლოდ ზოგადი ნორმატიული მოთხოვნებია სავალდებულო, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. მაგრამ კონკრეტული შემთხვევის განხილვისას, ცალკეული მტკიცებულებისა თუ მტკიცებულებათა ერთობლიობის სტატუსის განსაზღვრა მთლიანად სასამართლო შეფასების საკითხია, ისევე როგორც ეს ხდება მტკიცებულების უტყუარობის შეფასებისას.

12. ამასთანავე, საკასაციო პალატა აღნიშნავს იმასაც, რომ, ცხადია, მსგავს შემთხვევაში და ვითარებაშიც, თუკი საქმეში მოიპოვება მონაცემი გონივრული და საფუძვლიანი ეჭვისათვის იმის თაობაზე, რომ მოწმე (დაზარალებული), რომელიც პირდაპირ ჩვენებას იძლევა, შესაძლოა, ცრუბოდეს ან სასამართლო ექსპერტმა ყალბი დასკვნა გასცა, შეუძლებელი და გამორიცხულია სამართლებრივი დასკვნის გამოტანა პირის ბრალეულობაზე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მტკიცებულებების უტყუარობის, სანდოობის კრიტერიუმს და არა მათი საკმარისობის საკითხს. ეს უკანასკნელი თავის მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როდესაც სასამართლო დარწმუნდება ბრალდების მტკიცებულებების უტყუარობაში, რის შემდეგაც მან უნდა იმსჯელოს: საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა არის თუ არა საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად ისეთი სტანდარტით, რომელიც გამორიცხავს მის მიმართ გონივრული ეჭვის არსებობის შესაძლებლობას.

13. საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს ეჭვი არ გამოუთქვამს იმის თაობაზე, რომ რომელიმე მოწმის ჩვენება შესაძლოა, იყოს არასწორი, ანდა სასამართლო ექსპერტიზების დასკვნები

- არაობიექტური. მაგრამ სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები მხოლოდ ვარაუდის დონეზე ადასტურებს რ. უ--ის ბრალეულობას ძალადობის ნაწილში, და ამ საფუძველზე დამყარებული სამართლებრივი შეფასება მისი უდანაშაულობის თაობაზე, მოკლებულია კანონიერ და დასაბუთებულ საფუძველს. მსჯავრდებულ რ. უ-ის საქმეში არსებული მტკიცებულებები, რომლებიც ბრალდების მხარემ წარმოადგინა და გამოკვლეულია სასამართლოში საპროცესო ნორმების სრული დაცვით, სავსებით აკმაყოფილებს შესაბამისი სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით, რაც საჭიროა გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს აგრეთვე, რომ ოჯახური ძალადობის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ უკვე დამკვიდრებული პრაქტიკით დაზარალებულის ან სხვა მოწმის ერთი პირდაპირი ჩვენება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნასა და არაპირდაპირ ჩვენებებთან ან სხვა არაპირდაპირ მტკიცებულებებთან ერთად, მათი უტყუარობის შემთხვევაში, საკმარის საფუძველდაა მიჩნეული მოძალადე მსჯავრდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის დონეზე (მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის: 2018 წლის 1 მაისის №614აპ-17 გადაწყვეტილება გ. ქ-ს მსჯავრდების საქმეზე, აგრეთვე, 2019 წლის 8 ნოემბრის №409აპ-19 გადაწყვეტილება მსჯავრდებულების – გ. გ-სა და მ.კ-ს საქმეზე). მსგავსი კატეგორიის საქმეების განხილვისას და მათ თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებისას საკასაციო პალატა სრულად იზიარებს და ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებში მოცემულ, პრეცედენტული მნიშვნელობის მითითებებს მტკიცებულებების რელევანტურობის განსაზღვრასთან დაკავშირებით სასამართლოს კომპეტენციისა და განაჩენის დასაბუთებულობასთან მიმართებით სასამართლოს ვალდებულებების თაობაზე (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: Barbera, Messegue, Jabardo v. Spain. განაცხადი: no. 10588/83, 10589/83, 10590/83. 1998 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება, პუნქტი 68; Popov v. Russia. განაცხადი: no. 26853/047 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტი 188; Suominen v Fin Finland. განაცხადი: no. 37801/97. 2003 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება, პუნქტი 34; Van de Hurk v. Netherlands. განაცხადი: no. 16034/90. 1994 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, პუნქტი 61 და სხვა).

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამდე: ბრალდების მხარის წარმომადგენლის, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვახტანგ ნიქაბაძის საკასაციო საჩივარი იმ ნაწილში, რომლითაც ითხოვს რ. უ-ის მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 125-

ე მუხლის პირველი ნაწილის (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) საფუძველზე მის მიერ დაზარალებულ ვ. გ-ის ცემის გამო და ამ დანაშაულისათვის მის მიმართ შესაბამისი სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრას, უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ: რ. უ-ი ცნობილ უნდა იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში, რაც გამოიხატა: ზ--ს რაიონის სოფელ ი--ი 2016 წლის 12 ივლისს, დაახლოებით 22.00 საათზე, მის მიერ ვ. გ--ის ცემაში, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამ დანაშაულისთვის მას სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა - 1000 ლარი, რაც საქართველოს სსკ-ს 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უნდა შთანთქმას აღნიშნული განაჩენით მისთვის განსაზღვრულმა ყველაზე მკაცრმა სასჯელმა.

16. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორ ვახტანგ ნიქაბაძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

რ. უ--ი ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც ეხება ყალბი პირადობის მოწმობის დამზადებას;

რ. უ--ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს:

საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2016 წლის 14 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) - ჯარიმა 1000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ;

საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 2 წლით;

საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ყალბი პირადობის მოწმობის შენახვა გამოყენების მიზნით და გამოყენება) - თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქას ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, რ. უ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 წლით;

მსჯავრდებულ რ. უ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყოს განაჩენის აღსრულების მიზნით დაპატიმრების მომენტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო - 2016 წლის 13 ივლისიდან 2016 წლის 22 ივლისის ჩათვლით;

3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2019 წლის 7 მარტის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე

გ. შავლიაშვილი

მოსამართლეები:

პ. ქათამაძე

ბ. ალავიძე



საქმე №113აგ-16
ც-ის. 113აგ-16

თბილისი
2 ნოემბერი, 2016 წელი

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის განსხვავებული აზრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინებაზე მსჯავრდებულ ს. ც-ს მიმართ

1. ს. ც-ს სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, არ ვეთანხმები რა ჩემი კოლეგა მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, თავს ვალდებულად მივიჩნევ, დავრჩე განსხვავებულ აზრზე და წერილობით ჩამოვაცალიბო ჩემი სამართლებრივი პოზიცია, კერძოდ:

2. საკასაციო პალატის ჩემი კოლეგა მოსამართლეების მოსაზრებით, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მოქმედი - 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმებით, ხოლო დასაშვებობის ეტაპის გადალახვის შემთხვევაში საქმის განხილვისას გამოყენებულ უნდა იქნეს ის კოდექსი, რომლითაც კონკრეტული მსჯავრდებულის საქმეზე მიმდინარეობდა წარმოება და მიღებულ იქნა გასაჩივრებული განაჩენი. შესაბამისად, რადგან მსჯავრდებულ ს. ც-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვა წარმართულია ძველი - 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, ხოლო სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 31 მარტის განაჩენი გამოტანილი აქვს საქართველოს 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ჩემი კოლეგების მოსაზრებით - სახეზეა საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და 563-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) გათვალისწინებული დარღვევა, რაც მოცემულ შემთხვევაში განაჩენის გაუქმების საფუძველია, რის გამოც საქართველოს სსსკ-ის 310-ე, 314-ე მუხლებით (ამჟამად მოქმედი რედაქცია), სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განაჩენი ს. ც-ს მიმართ გაუქმდა, ხოლო სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად, რათა სააპელაციო სასამართლოში საქმეზე არსებული მტკიცებულებების გამოკვლევა წარიმართოს და განაჩენი გამოტანილ იქნეს საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. ჩემი კოლეგები აღნიშნული დასკვნის საფუძველად განჩინებაში უთითებენ შემდეგ გარემოებებზე:

4. საქართველოს მოქმედი სსსკ-ის (2009 წლის 9 ოქტომბრის კანონი) მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ანალოგიური დათქმა ძველ - საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, კერძოდ, ამ კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში გამოიყენება სისხლის სამართლის საპროცესო კანონი, რომელიც მოქმედებს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. ასევე, ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმეებზე სისხლის სამართლის პროცესი გრძელდება საქართველოს 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

5. მიმაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განაჩენი კანონიერია, მათ შორის - 2009 წლის 9 ოქტომბრის საპროცესო კოდექსის გამოყენების ნაწილშიც და შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსამართლეები არასწორად განმარტავენ მოქმედ და წინამორბედ საპროცესო კოდექსების ნორმებს, როგორც ახლად გამოვლენილ გარემოებათა, ისე საპროცესო კოდექსის დროში მოქმედების ნაწილებში, კერძოდ:

6. საზოგადოდ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედება არის რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელიც პრაქტიკაში სწორად და მეტ-ნაკლებად უმტკივნეულოდ დამკვიდრებისათვის საჭიროებს სხვადასხვა სახის საკანონმდებლო დათქმების დადგენას. ვინაიდან, 2009 წლის 9 ოქტომბრის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ახალი რეგულაციები და ეს წესები პირველ „მსუსხავ ეფექტს“ სწორედ მიმდინარე (დაწყებულ) სისხლის სამართლის საქმეებზე იქონიებდა, ამიტომ კანონმდებელმა შესაბამისი დათქმა დააწესა მოქმედი სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის სახით, რომლის საშუალებითაც ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებული სისხლის სამართლის საქმეები დარჩა 1998 წლის 20 თებერვლის მოქმედების ფარგლებში, რათა თავიდან აცილებულიყო, უკვე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მყოფი საქმეების ახალი საპროცესო წესების გამოყენებით გამოწვეული პრაქტიკული თუ სამართლებრივი სირთულეები.

7. შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებული ტერმინი - „პროცესი გრძელდება“ ლოგიკურ და აშკარა შესაბამისობაშია იმ პრაქტიკულ და სამართლებრივ რეალობასთან, რაც ახალი საპროცესო კოდექსის ამოქმედებისას წარმოიშობოდა მანამდე დაწყებულ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმეებზე.

8. თუმცა, სრულიად უადგილოა იმავე კონტექსტში მოქმედი სსსკ-ის XXVII თავით გათვალისწინებული წესის (ახლად გამოვლენილ გარემოება გამო განაჩენის გადასინჯვის წესი) მოაზრება, ვინაიდან აღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ და მხოლოდ დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე (რომლებზედაც დასრულებულია სამართალწარმოება სამივე ინსტანციაში, ან აღარ გასაჩივრდა სააპელაციო ან საკასაციო ინსტანციებში).

9. მოცემულ შემთხვევაში, ს. ც-ს მიმართ დასრულებულია სასამართლო განხილვა საკასაციო ინსტანციის ჩათვლით და შესაბამისად ახლად გამოვლენილ გამო მისი გადასინჯვა ვერ მიიჩნევა „პროცესის გაგრძელებად“. ამიტომ აქ გამოყენებულ უნდა იქნეს მოქმედი საპროცესო კოდექსის 310 -ე-314-ე მუხლები, რომლებიც იმპერატიულად ადგენენ საქმის განხილვას მოქმედი საპროცესო კოდექსის საფუძველზე, კერძოდ:

10. საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლი განსაზღვრავს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის წესს. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მას შემდეგ, რაც ამავე კოდექსის 313-ე მუხლის საფუძველზე შუამდგომლობა დაშვებული იქნება არსებითად განსახილველად, საქმის არსებითი განხილვა ტარდება სააპელაციო სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას მოქმედი ნორმების შესაბამისად. ამავე (სსსკ-ის 314-ე) მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საჩივარს განიხილავს ამ კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნული ნორმის შინაარსი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს იმაზე, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეს განიხილავენ ამ კოდექსით - ანუ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

11. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სამართალწარმოების ინსტანციურობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს როგორც გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესაძლებლობას, ასევე ადგენს საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების დასრულების წესს, რათა იგი არ იყოს „უსასრულო“. უკვე დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეებზე კი, სისხლის საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით უშვებს განაჩენის გადასინჯვის შესაძლებლობას. ამიტომ საპროცესო კოდექსი XXVII თავის სახით გვთავაზობს სპეციალურ ნორმათა ერთობლიობას (ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესს), რომლითაც დადგენილია განხილვის პროცედურული წესი (სსკ-ის 314-ე მუხლის 1-ლი ნაწილი); განისაზღვრება იმ გარემოებათა ძალზედ კონკრეტული ჩამონათვალი, რომელთა გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელი ხდება განაჩენის გადასინჯვა; ასევე, როგორც განსხვავებული სამართლებლივი ბუნების მატარებელ ნორმათა ერთობლიობას, მას დაუკავშირდა სპეციალური საპროცესო დათქმები, მაგალითად:

12. საქართველოს მოქმედი სსსკ-ის 250-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების შესაბამისად, ბრალდების მხარე სარგებლობს ბრალდებაზე უარის თქმის უფლებით ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში განაჩენის გამოტანამდე, გარდა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვისა. თუკი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოებას პროცესის გაგრძელებად მიიჩნევდა, მაშინ არალოგიკური ხდება ნორმის დათქმა, ბრალდების მოხსნის ინსტიტუტის საპროცესო დანიშნულების გათვალისწინებით.

13. ზემოაღნიშნულს ადასტურებს ასევე ის გარემოებაც, რომ საქმის არსებით განხილვაში მონაწილეობა მოსამართლეს არ უზღუდავს უფლებას, მონაწილეობდეს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვაში (იხ. სუსგ №17აგ-16, №416აგ-15, №28აგ-15, 76აგ-15). იმ შემთხვევაში, თუ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოებას მივიჩნევთ პროცესის გაგრძელებად იმ შინაარსით, რაც სსსკ-ის 329-ე მუხლში

დეეს, მაშინ აცილების ყველა ის საფუძველი, რომლებიც ვრცელდება საქმის არსებითად განმხილველ მოსამართლეზე - მათ შორის მოცემულ საქმის განხილვაში მონაწილეობა - ვრცელდება ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განმხილველ მოსამართლეზეც, რაც ნიშნავს იმას, რომ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმეთა უმრავლესობა როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო პალატის მიერ სასამართლოს უკანონო შემადგენლობით განხილულად უნდა ჩაითვალოს, რაც არალოგიკურია.

14. ამიტომ, ზემოაღნიშნული ნორმების გაანალიზების, ასევე ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის წესის პრაქტიკული დანიშნულებისა და მისთვის (ამ წესისთვის) დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით, აშკარაა, რომ მასზე უპირობოდ ვერ გავრცელდება საქართველოს სსსკ-ის პროცედურული ხასიათის ყველა ზოგადი თუ სპეციალური ნორმა, მათ შორის - საქართველოს სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილი, როგორც ამას ჩემი კოლეგები განმარტავენ.

15. სსსკ-ის XXVII თავით გათვალისწინებული საქმისწარმოების სპეციფიკურობა თავად საკასაციო პალატის მიერ გაკეთებული განმარტებიდანაც დასტურდება, მასში მითითებულია: „ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვისას განაჩენი უნდა გადაისინჯოს ახლად გამოვლენილი გარემოების ფარგლებში, ახალი მოცემულობისა და საქმეში არსებული დანარჩენი მტკიცებულებების ურთიერთქმედების კონტექსტში.“ „მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს უნდა შეეფასებინა, თუ რა სახის გავლენა მოახდინა დ. კ-ს მიმართ 2008 წლის 6 თებერვლის გამამტყუნებელმა განაჩენმა წინაგანმხილველი სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, ანუ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის ნაწილის მხედველობაში მიუღებლად შეეფასებინა საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა საკმარისობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შესაბამისად, ახალი მტკიცებულებებიც (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დაშვებულიყო და გამოკვლეულიყო მხოლოდ ახლად გამოვლენილი გარემოების კონტექსტში“ (83აგ-14, 2015 წლის 13 მარტის განაჩენი. მოსამართლეები: გ.შავლიაშვილი, პ.სილაგაძე, მ.ოშხარელი). ანუ აღნიშნულ საქმეში ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის და მტკიცებულებათა შეფასების მასშტაბები შეზღუდულია სწორედ ახლად მოპოვებული (გამოვლენილი) მტკიცებულების საქმის შედეგზე შესაძლო ზემოქმედების გონივრული ფარგლებით.

16. აღსანიშნავია ისიც, რომ მითითებული საკითხების გათვალისწინებით, საკასაციო პალატამ ამ საქმეზე (83აგ-14) ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო პროცესი წარმართა საქართველოს მოქმედი სსსკ-ის გამოყენებით და ძალაში დატოვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება, რომელიც ასევე მოქმედ სსსკ-ის ნორმებს ეფუძნებოდა.

17. ასევე, 2016 წლის 21 ოქტომბერს საკასაციო პალატამ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განიხილა საქმე დ. შ-ს (102აგ-16, მოსამართლეები: გ.შავლიაშვილი, ნ. გვენეტაძე, პ.სილაგაძე) მიმართ, სწორედ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე - 3140- ე მუხლების გამოყენებით, სწორედ ამ კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებულ სისხლის სამართლებრივი დევნის საქმეზე. საგულისხმოა, რომ პალატამ აღნიშნული საქმე განიხილა იმავე შემადგენლობით, რომელშიც დღეს უმცირესობაში აღმოვჩნდი.

18. ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის განხილვის წესზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც, რომლის 2016 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების (საქმეზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური

წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის კანონი) მე-10 მუხლის მე-3 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე) სამოტივაციო ნაწილის მე-8 პუნქტში მითითებულია: „2009 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი სრულად განსაზღვრავს როგორც განცხადების დასაშვებობის, ისე მისი არსებითი განხილვის წესებს და ამავე დროს ადგენს იმ სტანდარტს, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობს განაჩენის გადახედვისას. ანუ 2009 წლის საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით სააპელაციო სასამართლო ატარებს განხილვას, მათ შორის ახლად აღმოჩენილი გარემოების კონტექსტში იკვლევს ახალ მტკიცებულებებს და, შედეგად, აფასებს, თუ რა სახის გავლენა მოახდინა ახლად აღმოჩენილმა გარემოებამ მიღებულ განაჩენზე, ახლად აღმოჩენილი გარემოების გათვალისწინებით (მოცემულ შემთხვევაში საქმეში არსებული ირიბი ჩვენებების ამორიცხვით), იქნებოდა თუ არა იგივე გადაწყვეტილება მიღებული, კვლავ იარსებებდა თუ არა გამამტყუნებელი განაჩენის მიღების საფუძველი. შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, განაჩენის გადასინჯვის წარმოების ფარგლებში სასამართლო საერთოდ არ იყენებს 1998 წლის საპროცესო კოდექსის ნორმებს.“

19. გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი შეუსაბამობებისა, ჩემი კოლეგების მსჯელობა საქართველოს სსსკ-ის 329-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, ქმნის სხვა პროცედურულ უხერხულობასაც, კერძოდ:

20. მოცემულ საქმეზე (ს. ც-ს მიმართ, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ) ჩემმა კოლეგებმა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი როგორც მოქმედი, ისე 1998 წლის საპროცესო კოდექსის ნორმების გამოყენებით გააუქმეს განჩინებით მაშინ, როდესაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების წესი ასეთ შესაძლებლობას არ ითვალისწინებს. მოქმედი საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენზე საკასაციო პალატას გამოაქვს განაჩენი, რომლითაც აუქმებს მას და ადგენს ახალ განაჩენს, ან ცვლის, ან უცვლელად ტოვებს მას. სხვა ალტერნატიულ ვარიანტს მოქმედი საპროცესო კანონი საკასაციო სასამართლოს არ სთავაზობს. რაც შეეხება 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსის ნორმებს (რომელიც მოქმედ კოდექსთან ერთად გამოიყენეს ჩემმა კოლეგებმა გადაწყვეტილების მიღებისას), ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გაუქმების წესს ისიც არ ითვალისწინებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან 1998 წლის 20 თებერვლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თავად იყო შუამდგომლობის განმხილველი პირველი და ბოლო ინსტანცია.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საქართველოს სსსკ-ის 329-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოქმედება არ ვრცელდება ამავე კოდექსის XXVII თავით გათვალისწინებულ წესზე. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მარტის განაჩენი ს. ც-ს მიმართ, ახლად გამოვლენილ გარემოებათა განაჩენის გადასინჯვის თაობაზე - კანონიერია და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი.

მოსამართლე:

გიორგი შავლიაშვილი

2.11.2016



N626აპ.-17
ბ. ა. 626აპ.-17

ქ. თბილისი
29 მარტი, 2018 წელი

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის განსხვავებული აზრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა
პალატის 2018 წლის 29 მარტის განაჩენზე მსჯავრდებულ ა. ბ-ის მიმართ

1. სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის ჩემმა კოლეგა მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ა. ბ-ის მიმართ იყო უკანონო, ვინაიდან ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მთლიანად აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის მოთხოვნას და ერთობლივად სავსებით საკმარის საფუძველს ქმნის გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისა და ა. ბ-ის დამნაშავედ ცნობისათვის.

2. მიმაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 4 ოქტომბრის გამამართლებელი განაჩენი ა. ბ-ის მიმართ იყო კანონიერი და არ არსებობდა მისი გაუქმების საფუძველი, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მოწმეების მიერ სასამართლო განხილვისას მიცემული პირდაპირი ჩვენებები ვერ აკმაყოფილებს მტკიცების პროცესისათვის სავალდებულო - უტყუარობის კრიტერიუმს. საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებები კი არ არის საკმარისი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით პირის დამნაშავედ ცნობისათვის.

3. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში პირის ბრალდება ეფუძნება მხოლოდ ერთგვაროვან მტკიცებულებებს. ესენია მოწმეთა ჩვენებები, რომელთაგან პირდაპირი მტკიცებულებები (რომელსაც დაეყრდნო გამამტყუნებელი განაჩენი) გამოძიებამ მოიპოვა შემთხვევიდან 11 წლის შემდეგ. შესაბამისად, ასეთი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლოებმა უნდა გამოიყენონ მტკიცებულებათა უტყუარობის

შემოწმების გაცილებით მაღალი სტანდარტი, ვიდრე იმ საქმეებზე მსჯელობისას, რომელთაც ასეთი მახასიათებელი არ გააჩნიათ (იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც, გარდა მოწმეთა ჩვენებებისა, არსებობს ექსპერტიზის დასკვნები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები, ამოცნობის დოკუმენტური მტკიცებულებები და სხვ.).

4. აქედან გამომდინარე, ჩემთვის ა. ბ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე, მასთან დაკავშირებული ამ და სხვა (რომლებზეც ქვემოთ გვექნება საუბარი) სპეციფიკური საპროცესო-სამართლებრივი გარემოებების გამო, იძენს გაცილებით მეტ მნიშვნელობას, ვიდრე ერთი კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეა. მოცემულ საქმეზე ჩემი პოზიცია სწორედ საპროცესო - სამართლებრივი ასპექტებიდან გამომდინარეობს და მიზნად ისახავს იმას, რომ საკასაციო პალატამ არ დაადგინოს მტკიცებულებათა უტყუარობის შეფასების ისეთი სტანდარტი, რომელმაც შესაძლოა, სამომავლოდ ხელი შეუწყოს უდანაშაულო პირ(ებ)ის მსჯავრდების რისკების გაზრდას.

5. თავად ის ფაქტი, რომ საქმეზე 2004 წელს დაწყებული წინასწარი გამოძიება იყო არასაკმარისი და ზერელე - ნათელია, ვინაიდან საქმეზე, მართალია, დაიკითხა რიგი მოწმეებისა, ასევე შესრულდა რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება, მაგრამ არ ჩატარებულა ისეთი სავალდებულო და რელევანტური საპროცესო მოქმედებები, როგორებიცაა: საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, ფოტოსურათით ამოცნობა (თუნდაც მოწმე ნ.ქ-სთან, იმის დასადგენად კვიპიანი ბიჭი იყო თუ არა ა.ბ.) და სხვა. შემდეგი წლების განმავლობაშიც - 2015 წლამდე საქმეს, ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად, არსებითად არაფერი შემატებია. ამ დროიდან საქმეზე ახალი მოწმეების გამოჩენით, მართალია, აქტიურად განახლდა გამოძიება - მათ მისცეს პირდაპირი ჩვენებები, მაგრამ ა.ბ-ის ბრალდების დამადასტურებელი სხვა სახის მტკიცებულება (მაგ: დოკუმენტური, ნივთიერი - სხვადასხვა საქმეზე ასეთი შეიძლება იყოს: სატელეფონო ზარების ნუსხა, მოწმის მიერ მითითებული კონკრეტული ადგილიდან მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულება, ან დნმ-ის ექსპ.დასკვნა და სხვ.) საქმეში არ მოიპოვება. ამიტომ სასამართლოს საბოლოო დასკვნაც მხოლოდ მოწმეთა ჩვენებების ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს.

6. აქედან გამომდინარე, მოწმეების: შ.შ-ის, გ. მ-სა და ლ. ბ-ის ჩვენებების სანდოობის შესაფასებლად სრულიად ლეგიტიმურია კითხვები იმის შესახებ, თუ რატომ არ მიაწოდეს მათ თავის დროზე გამოძიებას ეს ინფორმაცია; რატომ არც ერთ მათგანს არ გაუჩნდა სურვილი, მისულიყო და დახმარება გაეწია დაჭრილი მეგობრისათვის; ასევე, შემთხვევის ადგილზე მყოფმა ვერც ერთმა სხვა მოწმემ რატომ ვერ დაინახა ზემოაღნიშნული პირები; გასაანალიზებელია მოწმეებთან დაკავშირებული ისეთი ობიექტური გარემოებებიც, რომლებმაც შესაძლოა, მათ დაინტერესებაში დაგვაეჭვოს - მხედველობაში მაქვს შ. შ-სა და გ. მ-ის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ერთ საკანში ჯდომის ფაქტი; აგრეთვე შესაფასებელია, რამდენად არსებითი ხასიათისაა საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული სხვა წინააღმდეგობები.

7. მეტიც, დაცვის მხარე გამოთქვამს ეჭვს იმის შესახებ, რომ შ. და მ. საერთოდ არ იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე და ისინი შესაძლოა, გარკვეული შეღავათის სანაცვლოდ იძლევიან ბრალდების მხარისათვის საჭირო ჩვენებებს. სააპელაციო პალატა კი აღნიშნავს, რომ შ.შ-ის, გ.მ-სა და ლ.ბ-ის მიერ მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებული საკითხები, ასევე მათი წარსულისა და სხვა პიროვნული მახასიათებლის გათვალისწინებით, დაბალი წონის მატარებელი და დამაჯერებლობას მოკლებული მტკიცებულებებია. ისინი არ არის ურთიერთთავსებადი სხვა მტკიცებულებებთან, რის გამოც არ უნდა იქნეს გამოყენებული ა. ბ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველად.

8. შესაბამისად, საკასაციო პალატამ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა უტყუარობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა გააანალიზოს სწორედ ზემოთ მითითებული საკითხები.

9. საამისოდ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, თავდაპირველად მოვიყვანო მტკიცებულებათა ბაზა სრულად, რათა ქვემოთ განვითარებულ მსჯელობაში შესაფასებელი ეპიზოდები და დეტალები მეტად თვალსაჩინო იყოს:

9.1. დაზარალებულის უფლებამონაცვლე გ. ო-ის ჩვენების თანახმად, 2004 წლის 27 ოქტომბერს უფროსი შვილისგან - კ. ო-სგან შეიტყო უმცროსი ვაჟის - დ. ო-ის დაჭრის შესახებ. მიუხედავად მცდელობისა, დ. ვერ გადაარჩინეს. იმ პერიოდში ყველამ იცოდა, რომ მკვლელი იყო ქ-ლი ა. ბ.. მანვე განმარტა, რომ თვითმხილველთან პირადად არ უსაუბრია, თუმცა ყველა ამბობდა, რომ ა. ბ-მ მოკლა მისი შვილი.

9.2. სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული მოწმე მ. მ-ის ჩვენებით ირკვევა, რომ 2004 წლის 27 ოქტომბერს რძლისაგან შეიტყო, რომ მისი შვილი - დ. ო-ი იყო დაჭრილი და მოთავსებული იყო რ-რ საავადმყოფოში. იგი მაშინვე წავიდა საავადმყოფოში, სადაც შეიტყო, რომ დ. ოპერაციის დროს გარდაიცვალა. მოგვიანებით შეიტყო, რომ მისი შვილის მკვლელობა ჩაიდინა ა-მა ა. ბ-ემ, რომელთანაც დ-ს ტელეფონის გამო მოსვლია შელაპარაკება. დანამდვილებით არ ახსოვს, თუ ვინ უთხრა აღნიშნულის შესახებ, თუმცა მოწმის განმარტებით, მაშინ ყველა ამას ამბობდა.

9.3. სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მოწმე კ. ო-მა განაცხადა, რომ 2004 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს საათებში, დაუკავშირდნენ საავადმყოფოდან და უთხრეს, რომ მისი ძმა - დ. ო-ი იყო დაჭრილი და რ-რ საავადმყოფოში იმყოფებოდა. შემდგომ ხალხისგან შეიტყო დამნაშავეს - ა. ბ-ის შესახებ, რომელსაც მობილური ტელეფონის გამო მოუხდა შელაპარაკება მის ძმასთან. მისთვის მისი ძმის არცერთ მეგობარს არ უთქვამს, რომ შეესწრნენ მკვლელობის ფაქტს.

9.4. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე ჯ. მ-ის ჩვენებით დგინდება, რომ ა. ბ-ეს არ იცნობს. დ. ო-ს იცნობდა და მისი ახლო მეგობარი იყო. 2004 წლის 27 ოქტომბერს იმყოფებოდა კ-ის გამზირზე არსებულ „ბირჟაზე“, ა. ნ-თან ერთად. ბინდებოდა, როცა

დ. ო-ი მივიდა მათთან და სთხოვა ტელეფონზე დარეკვა, მაგრამ ტელეფონი არ ჰქონდათ, თუ ანგარიშზე - თანხა, ვერ იხსენებს, რის გამოც დ. გადავიდა მოპირდაპირე მხარეს, სლოტკლუბ „გ-კენ“. ის და ნ-ი დარჩნენ იმავე ადგილზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ა-მა დაიძახა, რომ დ. ჩხუბობსო, მან წამიერად გაიხედა იმ მხარეს და შენიშნა, რომ დ-ს დახმარება სჭირდებოდა, თან გაიქცნენ იმ მიმართულებით. ა. ნ. ცოტა წინ გარბოდა, თვითონ ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად გასულიყო მანქანების ნაკადში. შუა ხაზზე რომ დადგა, გაიგონა ა. ნ-ის დ-თვის ნათქვამი - ჯ-სთან მიდი, მე იქით გავიქცევიო. გვერდზე რომ მიიხედა, დაინახა დ. ო-ი, რომელმაც უთხრა, დაჭრილი ვარო, მან ხელი მოჰკიდა და გადმოიყვანა გზაზე, გააჩერა მანქანა და წაიყვანა საავადმყოფოში. მივიდნენ რ-რ საავადმყოფოში, საიდანაც გამობრუნდა ეზოში, რათა ბიჭები ენახა და ოჯახის წევრებისთვის გაეგებინებინა, თუმცა, როგორც შეიტყო, ოჯახის წევრებმა უკვე იცოდნენ. შემდგომში პანაშვიდებზე იყო საუბარი, რომ დ. ო-ს მობილური ტელეფონის გამო მოუხდა შეკამათება წარმოშობით ა-ლ ა. ბ-სთან. მოწმე ჯ. მ-მა ასევე განმარტა, რომ იცნობდა დ. ო-ის მეგობრებს - შ. შ-სა და გ. მ-ეს. მომხდარი ფაქტის დროს მას ისინი იქ არ უნახავს. ასევე არ დაუნახავს ლ. ბ-ი. მთელი ამ დროის განმავლობაში მისთვის არავის უთქვამს, რომ შეესწრო მომხდარ ფაქტს და თვითმხილველი იყო.

9.5. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ა. ნ-მა განმარტა, რომ დ. ო-ს იცნობდა სკოლიდან და იყვნენ ახლო მეგობრები. 2004 წლის 27 ოქტომბერს ის და ჯ. მ-ი იდგნენ კ-ის გამზირზე, სახაჭაპურესთან. მათთან მივიდა დ. ო-ი და ტელეფონზე დარეკვა სთხოვა. მან უპასუხა, რომ ანგარიშზე თანხა არ ჰქონდა, რის შემდეგაც ო-ი გატრიალდა და გადავიდა გზის მეორე მხარეს „გ-თან“. რადგან თვითონაც უნდოდა ტელეფონზე დარეკვა, იფიქრა, რომ თუ ო-ი მოძებნიდა ტელეფონიან ადამიანს, თავადაც მივიდოდა და სთხოვდა დარეკვას, ამიტომ აკვირდებოდა მას. დაინახა, რომ ო-ი ვიღაცას ელაპარაკებოდა, კონკრეტულად ყურადღება არ მიუქცევია. ერთ-ერთი გახედვის დროს დაინახა, რომ „ჭიდაობდნენსავით“, თუმცა არ ჩათვალა, რომ საქმე სერიოზულად იყო. შემდეგი გახედვის დროს კი დაინახა, რომ ო-ი წაიქცა. იგი გაიქცა დასახმარებლად. ვინაიდან მანქანები მოძრაობდნენ, გაუჭირდა გადასვლა, დაახლოებით შუა გზაზე შემოხვდა დ. ო-ი, რომელსაც ხელი ჰქონდა მიდებული და თქვა - დაჭრილი ვარო. მან დ. ო-ს უთხრა, რომ მისულიყო ჯ. მ-თან, თავად კი დამჭრელს გამოედევნებოდა, რათა გაეგო, ვინ იყო. გადავიდა მეორე მხარეს, შეიხედა „კ-იც“, თუმცა საეჭვო ვერავინ დაინახა და დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე. იქ უკვე აღარავინ დახვდა და წავიდა რ-რ საავადმყოფოში. მოწმის განმარტებით, მასთან და ჯ. მ-თან ერთად სხვა არავინ ყოფილა, არც გარშემო შეუნიშნავს ვინმე ნაცნობი. იმ პირს, რომელიც დ. ო-ს ესაუბრებოდა, არ იცნობდა და მისი სილუეტიც კი არ დაამახსოვრდა. შემდგომში გადმოცემით შეიტყო, რომ ეს დანაშაული ვიღაც ა-ლ ბიჭს ჩაუდენია. შ. შ-სა და გ. მ-ეს არ იცნობს. ასევე არ იცნობს დ. კ-სა და ნ. გ-ს. გ. ბ-სა და ა. ა-ს იცნობს, თუმცა იმ მომენტში მასთან ერთად არ ყოფილან. ლ. ბ-ს შემდგომში შეხვედრია, თუმცა ამ თემაზე არ უსაუბრიათ.

9.6. მოწმის სახით დაკითხულმა ნ. გ-მა სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ა. ბ-ს იცნობს, ვინაიდან ცხოვრობდნენ ერთ კორპუსში, ერთ სადარბაზოში და იყვნენ მეზობლები. ეზოში ხვდებოდა ხოლმე მას და თამაშობდნენ ფეხბურთს. იგი კომუნიკაბელურობით არ გამოირჩეოდა, იყო ემოციური, ზედმეტ სახელად ეძახდნენ „ა-ოს“. დ. ო-ს არ იცნობდა. 2007 წლის 27 ოქტომბერს, სალამოს, დაახლოებით 19 საათზე, დედამ გააგზავნა აფთიაქში, რომელიც მდებარეობს მ-ის მოპირდაპირე მხარეს, გ-ას გამზირზე. როდესაც ჩამოვიდა ეზოში, შეხვდა ა. ბ. და ჰკითხა, თუ სად მიდიოდა, რაზედაც უპასუხა, რომ მიდიოდა აფთიაქში. ა-მა უთხრა, მეც იქით მოვდივარო და წავიდნენ. როგორც ახსოვს, კეპი ეფარა, დანა მის ხელში არ შეუმჩნევია. გზაში ა-ი ტელეფონზე საუბრობდა. როდესაც მივიდნენ სლოტკლუბ „გ-თან“, სადაც ამჟამად არის „-- ბანკი“, ა-ს შეხვდა ვიღაც პირი, რომელთანაც დაიწყო დამაბული საუბარი, თავად არ შეჩერებულა, გადაკვეთა ქუჩა და შევიდა აფთიაქში, სადაც გაჩერდა დაახლოებით 10–15 წუთს. როცა აფთიაქიდან გამოვიდა და ქუჩაზე გადმოდიოდა, სლოტკლუბის წინ შენიშნა ხალხმრავლობა. თვითონ წავიდა სახლისკენ. გზაში შეხვდა დ. კ., რომელმაც უთხრა, რომ „ა-ომ“ დაჭრა „უ-სა“. ა. ბ. იქ აღარ უნახავს. როდესაც სახლთან მივიდა, სადარბაზოსთან შეხვდა ა. ბ-ის და, რომელმაც ჰკითხა, სად არის „ა-ო“, რაზედაც უპასუხა, რომ არ იცოდა. შემდეგ ჰკითხა – ვინ დაჭრა „ა-ო“, რაზედაც ასევე უარყოფითი პასუხი გასცა. იმ დღის შემდეგ ა. ბ. აღარ უნახავს. შემდეგ დღეებში მისთვის ცნობილი გახდა, რომ „უ-სა“ ყოფილა მისივე უბნელი დ. ო.. მოწმემ ასევე განმარტა, რომ სახაჭაპურე იყო აფთიაქის გვერდით, 2–3 მეტრში. ახლომახლო ვინმე ნაცნობი, გარდა დ. კ-სა, არ შეუმჩნევია. იმ პერიოდში მამამისი იყო პოლიციის თანამშრომელი, თუმცა ოჯახის წევრებისთვის არაფერი უთქვამს, რადგან არ ჩათვალა საჭიროდ. აღნიშნულის თაობაზე საერთოდ არავისთან არ უსაუბრია, გარდა გამომძიებლისა, როდესაც ჩვენება მისცა 2016 წელს.

9.7. სასამართლო სხდომაზე დაკითხული მოწმე შ. შ-ის ჩვენებით დგინდება, რომ იცნობდა ა. ბ-ეს, თუმცა ურთიერთობა არ ჰქონია. გ. მ-ეს იცნობს ბავშვობიდან და მასთან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს. ბავშვობიდან იცნობდა ასევე დ. ო-ს და მეგობრობდა მასთან. 2004 წლის 27 ოქტომბერს გ. მ-სთან ერთად იმყოფებოდა პ-ის ქუჩაზე, „გ-ის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ინციდენტის მოპირდაპირე მხარეს. იქნებოდა სალამოს საათები, როდესაც შენიშნა დ. ო-ი და ა. ბ.. იყო რაღაც ჩოჩქოლი. დაინახა, თუ როგორ მოუქნია ა. ბ-მ საგნიანი ხელი დ. ო-ს და დაარტყა გულმკერდის არეში, რის გამოც ო-ი წაბარბაცდა. შემდეგ დაინახა, რომ ა-ს ხელში ეჭირა დანა და ისევ დაარტყა ო-ს წელს ქვევით. მანამდე იქ ა. ბ. არ შეუნიშნავს, არც მათი საუბრის თემა გაუგია. მოწმემ განმარტა, რომ დანის დარტყმის მომენტში მოშორებით შენიშნა ნ. გ-ი. მოწმის განმარტებით, მანამდე გაიხედა სახაჭაპურისკენ, სადაც შენიშნა ჯ. მ., ა. ა-ი და ბ-ი, შეიძლება სხვებიც ყოფილიყვნენ, მაგრამ არ ახსოვს. დაინახა, თუ როგორ გადარბოდა ქუჩაზე ჯ. მ-ი, ალბათ, მისაშველებლად. თვითონ დაიბნა და არ იცოდა, რა ექნა, გაუცნობიერებლად მოქმედებდა, გადაკვეთა ქუჩა და გეზი აიღო შემთხვევის ადგილიდან მარჯვნივ, მაღაზია „დ-კენ“, თუ რატომ, ვერ ხსნის. შემდეგ კი სახლში წავიდა. ა. ბ. იქ აღარ დაუხახავს. დ. ო-ის გარდაცვალების თაობაზე მისთვის ცნობილი გახდა მოგვიანებით, როგორც ახსოვს, მეორე დღეს. კონფლიქტის მიზეზად რამდენიმე

ვერსია სახელდება. ერთი ვერსიით - მიზეზი იყო ტელეფონზე დარეკვა, მეორე ვერსიით გაჟღერდა, რომ ბ. გარდაცვლილს სთხოვდა მოგებულ ფულს. აღნიშნულის შემდეგ ა. ბ. აღარ უნახავს, როგორც ამბობდნენ, იგი დედამისის გავლენიანი მეგობრების დახმარებით გააპარეს საქართველოდან და აარიდეს პასუხისმგებლობას. ოჯახის წევრებისთვის მომხდარის თაობაზე არ მოუყოლია. როგორც ახსოვს, არავისთვის უამბია ამ მკვლელობის შესახებ. შესაძლოა, გასვენებაში ისაუბრეს ბიჭებმა, ზუსტად არ ახსოვს. თერთმეტი წელია, იმყოფება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საიდანაც 2015 წელს მომხდარის თაობაზე შეატყობინა პროკურატურას და მისცა ჩვენება. კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა ამდენი წლის შემდეგ ჩვენების მიცემა, მოწმემ განმარტა: „ერთ-ერთ მკვლელობის საქმეზე, რომელზეც ვიცოდი, რაც მოხდა, გარდაცვლილის დედამ მომადახა, შენ ხომ იცი, რაც მოხდაო და თქვიო, ამან მოახდინა ჩემზე რალაცნაირად გავლენა და გადავწყვიტე ამ საქმეზეც მეთქვა სიმართლე.“ სასჯელს იხდის ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისთვის, მოსახდელი დარჩა 14 წელი.

9.8. მოწმის სახით დაკითხულმა გ. მ-ემ განმარტა შემდეგი: იცნობს ა. ბ-ეს, რომელთანაც ერთად ბავშვობაში თამაშობდა ფეხბურთს. დ. ო-აც იცნობს, რომელთანაც ძმაკაცობდა ბავშვობიდან. იცნობს ასევე შ. შ-ეს, რომელიც არის მისი ბავშვობის მეგობარი. 2004 წლის 27 ოქტომბერს შ. შ-სთან ერთად იმყოფებოდა კ-ის გამზირზე, მ-ის ქუჩის კვეთაზე, სახაჭაპურის მხარეს, სადარბაზოსთან, რა დროსაც სლოტკლუბ „გ-ის“ წინ დაინახეს ა. ბ. და დ. ო-ი. ისინი მათგან დაშორებული იქნებოდნენ დაახლოებით 30–40 მეტრით. თავიდან ისინი საუბრობდნენ, რაც შემდეგ გადაიზარდა ჩხუბში. ამ დროს ა. ბ-ემ დ. ო-რს სხეულის ზემო ნაწილში დაარტყა დანა, რის შემდეგაც დ. ო-ი ჩაიკეცა და ფორთხვით წავიდა ტროტუარისკენ. ა. ბ. კვლავ მივარდა მას და მეორედ დანა დაარტყა ფეხში. ამ დროს მან და შ. შ-ემ გადაკვეთეს გზა, შ-სთვის ყურადღება აღარ მიუქცევია და არ იცის, სად წავიდა, თვითონ კი დაიწყო ა. ბ-ის ძებნა, რომელიც ვერ იპოვა და წავიდა სახლში. მოწმე გ. მ-ის განმარტებით, სახაჭაპურესთან, ბირჟაზე, მან შეამჩნია ნაცნობები - ა. ა-ი, ბ-ი და ჯ. მ-ი. ჯ. იდგა მისგან დაახლოებით 10 მეტრში. როგორც ახსოვს, მიმდებარე ტერიტორიაზე ნახა ნ. გ-ი, რომელმაც მოუყვა ჩხუბის დეტალები, უთხრა, რომ დანის დარტყმის დროს იქვე იყო. დამატებით კითხვაზე მოწმემ განმარტა, რომ მან მ. ქ-საგან გაიგო, რომ ნ. გ-მა დაინახა ო-სა და ბ-ეს შორის ჩხუბის დეტალები. იმ დღეს მიმდებარე ტერიტორიაზე ლ. ბ-ი არ შეუნიშნავს. მოწმემ ასევე განმარტა, რომ იმ დროს, როდესაც მან და შ. შ-ემ გამომძიებელს ჩვენებები მისცეს, ორივე იხდიდა სასჯელს და ისხდნენ ერთ საკანში. მანამდე პოლიციისათვის მომხდარის თაობაზე არ უცნობებია, ვინაიდან იცოდა, რომ ა. ბ-ის დედას ჰყავდა ხელისუფლებაში გავლენიანი პირები და შეეშინდა. ნასამართლევი არის ოთხჯერ, ბოლო დანაშაულზე დაახლოებით ერთი წლის წინ გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და გათავისუფლდა. დაცვის მხარის კითხვაზე მოწმემ განმარტა, რომ იგი სხვა მკვლელობის საქმეზეც არის თვითმხილველი მოწმე. ა. ნ-ს არ იცნობდა. ჯ-სგან იცის, რომ ნ-ი არ იცნობდა ბ-ეს, არც ჯ. არ იცნობდა, პანაშვიდებზე სულ იყო ამ თემის განხილვა. იმ მომენტში დ. კ. იქ არ დაუნახავს. მერე უთხრა დ-მა, რომ იმ დროს ტრიალებდა ტერიტორიაზე და დაინახა, როგორ დაარტყა ბ-ემ დანა ო-ს.

9.9. მოწმის სახით დაკითხულმა ლ. ბ-მა აჩვენა, რომ ა. ბ-ეს იცნობდა, თუმცა ახლო ურთიერთობა არ ჰქონია. დ. ო-ს იცნობდა და ჰქონდა ახლო ურთიერთობა, რადგან ერთ სკოლაში სწავლობდნენ. 2004 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს, გამოვიდა სახლიდან და უნდა შეხვედროდა მეგობარ გოგონას ხ-ის ქუჩაზე. გამოიარა ი-ის ქუჩაზე, სადაც ვერავინ ნახა. შემდეგ ეზოთი გადავიდა კ-ის ქუჩაზე, გადაკვეთა ქუჩა და ელოდებოდა სამარშრუტო ტაქსის. მოწმის განმარტებით, იგი დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში იდგა „ჯ-ის“ ოფისის წინ და იყურებოდა სლოტკლუბ „გ-ის“ მხარეს, სადაც, დაახლოებით 20–25 მეტრში შენიშნა დ. ო-ი და ა. ბ., რომლებიც ერთმანეთს დაძაბულად ესაუბრებოდნენ, თუმცა საუბრის თემა არ გაუგონია. შემდეგ დაიწყო დიპტილოგია, რადროსაც ა. ბ-ემ დანა დაარტყა დ. ო-ს, რომელიც ჩაიკეცა. ეს ყველაფერი მისთვის მოულოდნელი იყო, დაიბნა და სასტუმრო „ა-კენ“ შეტრიალდა, დაახლოებით 10–15 წამში ისევ მოიხედა და დაინახა ო-ი, რომელიც ქუჩას კვებდა. უცებ ბევრი ხალხი შეგროვდა და ზუსტად ყველაფერი აღარ ახსოვს. დაინახა მხოლოდ ის მომენტი, როდესაც დ. ო-ს მანქანაში სვამდნენ, თუ ვინ სვამდა, არ ახსოვს. ო-ი რომ ჩაიკეცა და ბორძიკით დაიწყო ქუჩის გადაკვეთა, ბ. იქ აღარ დაუნახავს. ნ. გ-ი თავიდან შენიშნა, თუმცა დიპტილოგიის დროს იქ აღარ შეუმჩნევია. დაახლოებით ნახევარი წუთის განმავლობაში ტაქსით დატოვა ის ადგილი. შემდეგში გავრცელდა ვერსია, რომ დ. ო-სა და „ა-ს“ ტელეფონის გამო მოუვიდათ კამათი. მოწმის განმარტებით, მას სურვილი არ გასჩენია, მისულიყო დ. ო-თან, ვინაიდან დაიბნა და მოერიდა იმ ადგილს. შ. შ-სა და გ. მ-ეს იცნობს, მაგრამ ადგილზე არ შეუმჩნევია. დ. კ-ეს შეიძლება იცნობს, მაგრამ ვერ იხსენებს, ვისზეა საუბარი. მომხდარის თაობაზე არც ოჯახში და არც მეგობრებთან არ უსაუბრია, საგამომიებო ორგანოდანაც არავინ დაჰკავშირებია. პირველად გამოძიებას ჩვენება მისცა 2015 წელს, როცა გამოძიებელმა დაიბარა დაკითხვაზე. წარსულში რამდენჯერმეა ნასამართლევი და იყო ძებნილი.

9.10. სააპელაციო პალატის სხდომაზე გამოქვეყნებული მოწმე დ. კ-ის მიერ 2015 წლის 18 მარტს მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ს-ის ქუჩა №--ში მდებარე კერძო სახლის ერთ–ერთ ოთახში. მატერიალური გაჭირვების გამო მ-ს ქუჩაზე თხოულობს მოწყალებას. დ. ო-ს დაჭრამდე რამდენიმე ხნით ადრე იდგა პოკერკლუბის შესასვლელთან. ამ დროს კლუბში იმყოფებოდა დ. ო. მასთან ერთად იყო მისი მეგობარი გ-ი, როგორც იცის, ეს ბიჭი იყო ვაკელი. ამ დროს პოკერკლუბში შევიდა მათ უბანში მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც იყო რაიონიდან. იგი მივიდა დ. ო-თან, რომელიც თამაშობდა პოკერის აპარატებზე და გამოიყვანა ქუჩაში. თვითონ მათგან დაშორებული იყო რამდენიმე ნაბიჯით. ამ ბიჭს, რომელმაც დ. ო-ი გამოიყვანა გარეთ, ეძახდნენ „ა-ოს“. მას ესმოდა „ა-სა“ და დ. ო-ის საუბარი. „ა-ომ“ ჰკითხა, თუ როდის აპირებდა მისთვის ე.წ. „თავანის“ ჩაბარებას, რაზეც დ. ო-მა უპასუხა, რომ რამდენიმე თვეში ჩააბარებდა თავანს. მათ არ დაუკონკრეტებიათ თავანის სახით რა თანხა ჰქონდა მისაცემი დ. ო-ს „ა-სთვის“. საუბრის შემდეგ დ. ო-ი და „ა-ო“ მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ამ საუბრიდან რამდენიმე ხნის შემდეგ იმყოფებოდა ისევ პოკერკლუბის მიმდებარე ტერიტორიაზე. კლუბში შესული იყო დ. ო-ი. დაინახა, რომ კლუბში შევიდა და მასთან მივიდა „ა-ო“. მან კვლავ გამოიყვანა დ. ო-ი გარეთ და

მოსთხოვა თავანის ჩაბარება, რაზეც დ. ო-მა უთხრა, რომ არ ჰქონდა ფული და ვერ ჩააბარებდა თავანს. ამისთვის უნდა მიეცა დრო. ისინი საუბრობდნენ განმარტოებით, იდგნენ პოკერკლუბის წინ, ტროტუარზე. თვითონ ამ დროს იდგა მათგან რამდენიმე მეტრის მოშორებით. მათ შორის დაიძაბა ვითარება, ისინი საუბრობდნენ ხმამაღლა. ამ კამათის დროს „ა-ომ“ დაარტყა სახეში დ. ო-ს, რის შემდეგაც მათ ერთმანეთს დაუწყეს ცემა. მათი ჩხუბი გაგრძელდა რამდენიმე წამს, რის შემდეგაც დ. ო-ი კოჭლობით გაიქცა გზაზე, გ-ას ქუჩის მოპირდაპირე მხარეს. ქუჩაზე გადასვლისას მას ტროტუარიდან აგინებდა „ა-ო“, ასევე დ. ო-იც აგინებდა მას. „ა-ო“ მალევე გაიქცა პ-ის ქუჩაზე. მას ეცვა რუხი ფერის შარვალი, მუქი ფერის ნაჭრის ქურთუკი და თავზე ეხურა „კეკვა“. იმ ადგილზე, სადაც დ. ო-ი და „ა-ო“ ჩხუბობდნენ, სისხლის წვეთები მოგვიანებით მოწმინდა პოკერკლუბის თანამშრომელმა ქალმა, რომლის სახელი და გვარი არ ახსოვს. დ. ო-ი გადარბოდა გზაზე, როდესაც გააჩერა მუქი ფერის, როგორც ახსოვს, „ო-ის“ მარკის ავტომანქანა. დ. ო-ი მანქანაში ჩასვა, როგორც ახსოვს, ორმა ბიჭმა, რომლებმაც წაიყვანეს დაჭრილი. ეს ბიჭები სხვა დროს არ უნახავს. როდესაც დ. ო-ი და „ა-ო“ ჩხუბობდნენ, დაინახა, რომ პ-ის ქუჩის მეორე მხრიდან მ-ის მხარეს გადმოიბრინა ნ-ამ, „ა-ოს“ მეგობარმა. როდესაც ის გადმოვიდა ქუჩაზე, ამ დროს „ა-ო“ და დ. ო-ი უკვე გაიქცნენ. ამ ჩხუბს ასევე შეესწრნენ პ-კლუბის დაცვის თანამშრომლები - მ. და ფ-ი. მას შემდეგ, რაც ყველაფერი ჩაწყნარდა, ფ-ს ჰკითხა, თუ რა მოხდა, რაზეც ფ-მა უთხრა, რომ შელაპარაკება მოუხდათ ერთმანეთში, დ. ო-ი დაჭრესო. ამ შემთხვევას ასევე შეესწრო პოკერკლუბის გვერდით არსებული მაღაზიის თანამშრომელი ქალი ნ., ასევე ახსოვს სასურსათო მაღაზიის მეპატრონე ახალგაზრდა ბიჭი ზ.. დ. ო-ის დაჭრის შემდეგ შემთხვევის ადგილზე დაახლოებით ნახევარ საათში მივიდა პოლიცია. მოგვიანებით უბანში მცხოვრებლებისგან გაიგო, რომ დაჭრილი დ. ო-ი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

9.11. მოწმის სახით დაკითხული ზ. მ-ის ჩვენებით დგინდება, რომ ა. ბ-ეს არ იცნობს. 2004 წელს მ-სა და პ-ს ქუჩების კუთხეში მამამისს ჰქონდა სასურსათო მაღაზია, რომლის გვერდითაც იყო სლოტკლუბი. 2004 წლის 27 ოქტომბერს, საღამოს, მანქანა გააჩერა მაღაზიასთან, დაახლოებით 10–15 მეტრში. ამ დროს შემოესმა გინების ხმა. გაიხედა და დაინახა, რომ ერთი ადამიანი დაიდრა პ-ის, მეორე კი - მ-ის მიმართულებით. ერთმა ჩქარი ნაბიჯით გაიბრინა. ისინი ერთად მყოფები არ დაუნახავს, არც სახეზე დაუნახავს. ახსოვს, რომ მ-ის ქუჩისკენ მიმავალი პირი აგინებდა პ-სკენ გადამსვლელს. მას ხელში ეჭირა ტელეფონი, რომლის ეკრანი ანათებდა, ეს უნდა ყოფილიყო „-“ მოდელის ტელეფონი. ის პირი, რომელიც გზას კვეთდა, არ ახსოვს, საით წავიდა, ყურადღება არ მიუქცევია. არც ის ახსოვს, კოჭლობდა თუ არა. მ-ის ქუჩისკენ მიმავალს რომ ვინმე გამოსდევნებოდა, არ შეუნიშნავს, არ ყოფილა ეს მოვლენა მისი დაკვირვების საგანი.

9.12. სასამართლო სხდომაზე მოწმე ბ. ჯ-ემ განმარტა, რომ 2004 წლის 27 ოქტომბერს გადაადგილდებოდა პ-ის გამზირზე თავისი კუთვნილი ა/მანქანა „-“, სახ. №--. იყო საცობი და ნელა მოძრაობდა, იმყოფებოდა გ-ას გამზირზე მდებარე მაღაზია „რ-სთან“, როდესაც შეამჩნია ორი ბიჭი და ერთი გოგო. მათ შორის ერთ-ერთი ბიჭი დაჭრილი იყო, რომელიც შუაში იდგა ბიჭსა და გოგოს შორის. მან დაჭრილი პირი მანქანაში, უკანა

სავარძელზე მოათავსა, ხოლო მისი თანმხლები პირი წინა სავარძელზე დაჯდა, რის შემდეგაც წავიდნენ რ-რ საავადმყოფოში.

9.13. სასამართლო სხდომაზე გამოიკვლიეს მოწმე მ. ლ-ს ჩვენების ადგილზე შემოწმებისა და შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი, რომლის თანახმად, 2004 წლის 27 ოქტომბერს, დაახლოებით 19 საათზე, იმყოფებოდა მაღაზია „კ-ს“ საწყობში, რა დროსაც შემოესმა ჩხუბი ქუჩიდან. გავიდა და დადგა კართან. დაინახა, რომ საშუალო სიმაღლის, მისთვის უცნობი, დაახლოებით 18 წლის ბიჭი იდგა ტროტუარზე კიდესთან, მისკენ ზურგით, ეხურა მუქი ფერის „კეპი“ და აგინებდა გ-ას გამზირზე გადამსვლელ, მისთვის უცნობ სამ ახალგაზრდა ბიჭს. გინება და მუქარა გაგრძელდა დაახლოებით 2-3 წუთს, რის შემდეგაც „კეპიანი“ მიბრუნდა და გაიქცა მ-ის მიმართულებით. ის სამი ბიჭი კი გადავიდა გამზირზე, სადაც გააჩერეს მანქანა და წაიყვანეს ვ-ას მიმართულებით.

9.14. სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნდა მოწმე ნ. ქ-ის ჩვენებები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი გამოვიდა მაღაზიიდან და წავიდა გასტრონომში. მაღაზიის კარის წინ შენიშნა ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც საუბრობდა მობილურზე. როგორც შემდეგ გაიგო, ეს ბიჭი დ. ო-ი იყო. მას მიუახლოვდა 20 წლამდე ასაკის ბიჭი, შავქურთუკიანი და შავკეპიანი, რომელმაც კატეგორიულად მოსთხოვა ო-ს დამარეკინეო. ო-მა ასევე კატეგორიულად უთხრა, არაო. ამ ბიჭმა ლანძღვით დაუწყო ლაპარაკი - სადარბაზოში აგიყვანო. ო-მა უთხრა, წამო, გავიდეთო. ამ დროს ჩაუარა და გადავიდა მაღაზიაში. დაბრუნდა დაახლოებით 5 წუთში და გაიგო, რომ ო-ი იყო დაჭრილი მუცელში, თუმცა იქვე მყოფმა ახალგაზრდა ბიჭმა, რომელიც მათხოვრობს, უთხრა, რომ ო-ი მძიმედ არ უნდა ყოფილიყო დაჭრილი, ვინაიდან თავისი ფეხით გადავიდა გზაზე. მეორე კი, რომელიც ეკამათებოდა ო-ს, გაქცეულა მ-ის სიღრმისკენ. ამ ბიჭს, რომელიც ესაუბრა, თუ არ ცდება, ჰქვია დ. კ.. დამჭრელის აღწერა არ შეუძლია. კამათისას, რასაც შეესწრო, ერთმანეთისთვის სახელით არ მიუმართავთ. „კეპიანს“ ჩვეულებრივი თბილისური აქცენტი ჰქონდა.

9.15. მ. კ-ის გამოკითხვის ოქმით დასტურდება, რომ იგი სპეციალობით არის სკოლამდელი აღზრდის მეთოდისა და პედაგოგიკის სპეციალისტი. ის იცნობდა თ. მ-ას, რომელსაც ჰყავდა დაახლოებით 17 წლის შვილი, რომელმაც არ იცოდა წერა-კითხვა. მას თ. მ-ამ სთხოვა, რომ მოემზადებინა მისი შვილი - ა. ბ. და ესწავლებინა მისთვის წერა-კითხვა. ის ა. ბ-ს ამეცადინებდა 6 თვის განმავლობაში, 2003 წლის ბოლოდან 2004 წლის დასაწყისამდე. ამ პერიოდში ა. ბ-ეს ვერ ასწავლა წერა-კითხვა, იგი საერთოდ ვერ იმახსოვრებდა, რასაც უხსნიდა და ელაპარაკებოდა, ვერ იმახსოვრებდა დავალებებს. ა. ბ-ემ ექვსი თვის მანძილზე ძლივს შეძლო თავისი გვარის დაწერა. მან ვერ ასწავლა ა. ბ-ეს ელემენტარული ლექსიც, რომელსაც ძალიან იოლად ითვისებენ საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ა. ბ-ემ ვერ ისწავლა ასევე ათის ფარგლებში ანგარიში, ვერ წერდა თანმიმდევრულად ციფრებს. ა. ბ-ეს ძალიან მოსწონდა და თამაშობდა პატარა, დაახლოებით 3-5 წლამდე ასაკის ბავშვების სათამაშოებით. მას არ შეეძლო დამოუკიდებლად ცხოვრება, რამდენადაც არ იცოდა ელემენტარული

ცხოვრებისეული მოქცევა. მისივე განმარტებით, როდესაც ერთ დღეს ა. ბ-ის სამეცადინოდ მივიდა, იგი სახლში მარტო დახვდა, რა დროსაც გაზის სუნი იგრძნო. როდესაც სამზარეულოში შევიდა, ნახა, რომ გაზქურის ყველა ონკანი ღია იყო, ხოლო ა. ბ. ჩაბნელებულ და ფარდაჩამოფარებულ ოთახში მარტო იჯდა.

9.16. მოწმე ნ. კ-ის გამოკითხვის ოქმის თანახმად, ა. ბ. იყო მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლე ქ-ის - საჯარო სკოლაში. ა. ბ. ბუნებით იყო ძალიან კარგი ბავშვი, თუმცა ადვილად „გამოდიოდა წყობილებიდან“. მას უფრო არ შეეძლო სწავლა, ვიდრე არ უნდოდა. ჰქონდა ურთიერთობის პრობლემა. ა. ბ. მისი მოსწავლე იყო მე-8 კლასამდე, შემდეგ ის გავიდა სკოლიდან. თავისი გონებრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, მას უნდა ესწავლა ინკლუზიური სწავლების პროგრამით.

9.17. სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის №-- დასკვნის თანახმად: „ა. ბ-ეს აღენიშნება მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა (კოდი – F-70.0). მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს ა. ბ-ეს აღენიშნებოდა მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა და მას შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შერაცხადობა). ა. ბ-ის ფსიქიკურ აშლილობას ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით ა. ბ-ეს შეუძლია, ანგარიში გაუწიოს თავს, უხელმძღვანელოს მას, მისცეს ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს საგამომიებო და სასამართლო მოქმედებებში. ა. ბ-ეს აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი. ა. ბ. იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, დაავადებული არ არის. ა. ბ-ეს აქვს ფსიქიკური ნაკლი, რაც ხელს უშლის მის მიერ საკუთარი დაცვის განხორციელებას. ა. ბ. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით იძულებით მკურნალობას ან არანებაყოფლობით სტაციონარულ- ფსიქიატრიულ დახმარებას არ საჭიროებს.“

9.18. ამბულატორიული სასამართლო ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის №--დასკვნის თანახმად, ამჟამად შ. შ-ს აღენიშნება არაფსიქოზული დონის ფსიქიკური აშლილობა – ორგანული პიროვნული აშლილობა (კოდი – --). აღნიშნულ ფსიქიკურ აშლილობას ახასიათებს ქრონიკული მიმდინარეობა. 2004–2005 წლებში შ. შ-ეს რაიმე ფსიქიკური აშლილობა, რის გამოც ვერ გაუწევდა ანგარიშს თავის მოქმედებას და ვერ განაგებდა მას, არ აღენიშნებოდა. 2004–2005 და 2014–2015 წლებში შ. შ-ეს არ ჰქონდა და დღეის მდგომარეობითაც არ აქვს ისეთი ფსიქიკური ნაკლი, რის გამოც არ შეეძლო და არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო და საგამომიებო მოქმედებებში. მეხსიერების იმგვარი პრობლემები, რის გამოც შესაძლოა, სწორად ვერ დაიმახსოვროს და გაიხსენოს ესა თუ ის მოვლენა, შ. შ-ეს არ აქვს.

9.19. ექსპერტმა ა. ტ-ემ სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას დაადასტურა მის მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნების სისწორე და განმარტა, რომ ა. ბ-ეს

თავდაპირველად ჩაუტარდა ამბულატორიული ექსპერტიზა, რის შემდეგმაც საჭირო გახდა სტაციონარულად დაკვირვება. შემდეგ ჩატარდა სტაციონარული ექსპერტიზა; მოხდა დაკვირვება; გამოკვლეულ იქნა სისხლის სამართლის საქმის მასალები, წარმოდგენილ იქნა ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნაც; საბოლოოდ დადგინდა, რომ მას აღენიშნება მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა, კოდი --. მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს მას ასევე აღენიშნებოდა ეს ფსიქიკური პათოლოგია, მას შეეძლო, გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის. მისი ფსიქიკური აშლილობა ატარებს ქრონიკულ ხასიათს. არ არის დაავადებული ისეთი ფსიქიკური დაავადებით, რაც ხელს უშლის სასჯელის მოხდას. რაც შეეხება შ. შ-ეს, მოწმის განმარტებით, დასმული იყო შეკითხვები – იყო თუ არა იგი დაავადებული ფსიქიკურად 2004–2005 წლებში და 2014–2016 წლებში და დღეის მდგომარეობით ჰქონდა თუ არა ფსიქიკური ნაკლი, ასევე მახსოვრობის პრობლემები. შ. შ. ამბულატორიულად გამოიკვლიეს. დასკვნა იყო ასეთი: შ. შ-ეს აქვს არაფსიქოზური დონის ფსიქიკური აშლილობა, კოდი – --. მას მითითებულ წლებში არ ჰქონდა რაიმე ფსიქოზური დაავადება, რომ ვერ გაეწია ანგარიში თავისი მოქმედებისთვის და ასეთი არც დღეის მდგომარეობით არ აქვს. რაც შეეხება მის შერაცხადობას, კვლევის საგანი არ ყოფილა, რადგან მას ბრალი არ ჰქონდა წარდგენილი. ადვოკატის კითხვაზე ექსპერტმა განმარტა, რომ კოდი -- ნიშნავს მსუბუქ გონებრივ ჩამორჩენილობას და ა. ბ-სთან მიმართებით შეესაბამება 12–13 წლის ასაკს.

9.20. სასამართლო–სამედიცინო ექსპერტიზის 2004 წლის 27 ოქტომბრის №-- დასკვნის მიხედვით (უდავო მტკიცებულება), დ. ო-ის სიკვდილის უშუალო მიზეზია ნაჩხვლეტ–ნაკვეთი ჭრილობა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, შემავალი გულმკერდის ღრუში, მარცხენა ფილტვისა და გულის დაზიანებით, რასაც შედეგად მოჰყვა მასობრივი სისხლდენა და ორგანიზმის მწვავე სისხლნაკლებობის განვითარება.

10. რაც შეეხება მტკიცებულებათა უტყუარობის შესაფასებლად გასაანალიზებელ პირველ საკითხს - რომ ჩვენებები, რომლებსაც დაეყრდნო გამამტყუნებელი განაჩენი, მიცემულია შემთხვევიდან 11 წლის შემდეგ - ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო: ჩემი კოლეგა მოსამართლეების მოსაზრებით, გაუმართლებელია მტკიცებულებათა სანდოობის შეფასებისას განმსაზღვრელი მნიშვნელობა მივანიჭოთ მომხდარი ფაქტიდან ჩვენების მიცემამდე გასულ დროს. მე ვეთანხმები ჩემი კოლეგების აღნიშნულ ზოგადი ხასიათის განმარტებას, ვინაიდან, საკასაციო პალატას ჩვენივე შემადგენლობით, არაერთ საქმეზე დაუდგენია განაჩენი წლების შემდეგ მიცემული ჩვენებების საფუძველზე. თუმცა, მოცემულ საქმეში პირდაპირი ჩვენებების გაზიარების პრობლემა დაკავშირებულია არა დროის ფაქტორთან, არამედ - მის შეუთავსებლობასთან საქმის სხვა გარემოებებთან, კერძოდ:

11. მოწმეები: შ. შ., გ. მ. და ლ. ბ. თავიანთ ჩვენებებში გამოძიებასთან დროულად ართანამშრომლობის მიზეზად ასახელებენ ყოფილ ხელისუფლებაში ა.ბ-ის დედის გავლენიანი მეგობრების საკითხს. უფრო ზუსტად, მათი მხრიდან შესაძლო შურისძიების შიშის ფაქტორს.

12. ამ საკითხთან დაკავშირებით, საკასაციო პალატის ჩემი კოლეგა მოსამართლეების პოზიციას, რომ ა) შიშის ფაქტორზე მეტად, აქ მნიშვნელოვანია მათი ასაკი, ვინაიდან აღნიშნული მოწმეები იმ დროს იყვნენ 14-15 წლისანი და ამ ასაკში არ მოეთხოვებოდათ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და მართლშეგნების მაღალი დონე; ამასთან, იმ დროს ქვეყანაში იყო მძიმე კრიმინოგენული ვითარება და გამოძიებას ჩვენებები მისცეს უკვე ზრდასრულ ასაკში; ბ) თანაც, დ. ო-ის ოჯახისათვის ისედაც იმავე დღეს გახდა ცნობილი სავარაუდო მკვლელის შესახებ.

13. აღსანიშნავია, რომ მოწმეები თავიანთ ჩვენებებში საერთოდ არ მიუთითებენ ასაკობრივ ფაქტორზე (რამაც, სავარაუდოდ, განაპირობა მათი დუმილი), არამედ ისინი ერთმნიშვნელოვნად ასახელებენ ა. ბ-ის დედის მეგობრულ კავშირს მაშინდელი ხელისუფლების გავლენიან პირებთან და ამასთან დაკავშირებულ შიშის ფაქტორს. შესაბამისად, ჩემი კოლეგების შეფასება მეტ-ნაკლებად განსხვავდება მოწმეთა განმარტებისაგან.

14. ამასთან, გაუგებარია 2012 წელს საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, რატომ დუმდნენ ისინი კიდევ 3 წლის განმავლობაში - 2015 წლამდე. ამ დროს ხომ უკვე მოხსნილი იყო როგორც ასაკობრივი, ისე ზემოთ მითითებული გარემოებებით გამოწვეული შიშის ფაქტორები.

15. რაც შეეხება ჩემი კოლეგების მხრიდან მოწმეთა გაუთქმელობის მოტივად, დამატებით იმ ფაქტორის მოშველიებას, რომ ოჯახმა იმავე დღეს ისედაც იცოდა სავარაუდო მკვლელის შესახებ, ვფიქრობ, ეს ეწინააღმდეგება მათსავე პოზიციას, ვინაიდან, თუკი ყველამ ისედაც იცოდა მკვლელის ვინაობის შესახებ, მაშინ გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო დიდი სამოქალაქო გაბედულების ან განსაკუთრებული მართლშეგნების გამოვლენის მაგალითი მათი მხრიდან გარდაცვლილის ოჯახისთვის რეალური ინფორმაციის მიწოდება.

16. სხდომებზე შ. შ-ე მთელი დაკითხვის პერიოდში სასამართლოს ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციებს აწვდიდა. მან განმარტა, რომ მოწმის სახით პირველად იკითხებოდა. თუმცა ჩვენების ბოლოს დაავიწყდა აღნიშნული და დაცვის მხარის კითხვაზე, თუ რამ განაპირობა მის მიერ ჩვენების მიცემა 11 წლის შემდეგ, აღნიშნა, რომ ერთ-ერთ მკვლელობის საქმეზე, რომელზეც იცოდა, რაც მოხდა და იკითხებოდა, გარდაცვლილის დედამ სთხოვა ეთქვა სიმართლე, რამაც მასზე გავლენა მოახდინა და გადაწყვიტა ამ საქმეზეც ეთქვა სიმართლე.

17. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: თუკი 11 წლის შემდეგ უცხო ქალის ერთმა სიტყვამ (სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ნათქვამმა) გადააწყვეტინა ა.ბ-ის სისხლის სამართლის საქმეზე თანამშრომლობა, იმავე დღეებში, პანაშვიდებზე ყოფნისას, რატომ არ უამბო ყველაფერი თავისი უახლოესი მეგობრის ჭირისუფალ ოჯახს, რომელთაც, რა თქმა უნდა, გარდა მკვლელის ვინაობისა, აინტერესებდათ ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა დეტალი.

18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოწმეების: შ.შ-ის, გ. მ-ისა და ლ.ბ-ის განმარტებები გამოძიებასთან 11 წლის შემდეგ თანამშრომლობის საკითხთან დაკავშირებით, არის აშკარად არალოგიკური და არადადამაჯერებელი, რის გამოც არ ვეთანხმები ჩემი კოლეგა მოსამართლეების პოზიციას ამ განმარტებების გაზიარების ნაწილში.

19. რაც შეეხება უტყუარობის შესაფასებლად გასაანალიზებელ შემდეგ კომპონენტს - მტკიცებულებებთან (ჩვენებებთან) დაკავშირებული წინააღმდეგობების საკითხს - აქ აღსანიშნავია, რომ ეს წინააღმდეგობები გამოკვეთილია და სამივე ინსტანციის სასამართლო მსჯელობს პრაქტიკულად ერთსა და იმავე მოცემულობის ირგვლივ. განსხვავება მხოლოდ შეფასების ნაწილშია. პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ აღნიშნული წინააღმდეგობები არსებითი ხასიათისაა და ამიტომ არ გაიზიარეს ეს მტკიცებულებები, ხოლო ჩემს კოლეგა მოსამართლეებს მიაჩნიათ, რომ ჩვენებებს შორის არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები არ არსებობს და მოწმეების: შ.შ-ის, გ.მ-ის და ლ.ბ-ის ჩვენებების უტყუარობა არავითარ ეჭვს არ იწვევს. ჩემს კოლეგებს აღნიშნულ შეფასებაშიც ვერ დავეთანხმები შემდეგ გარემოებათა გამო:

20. როგორც შ. შ-ე თავის ჩვენებაში აღნიშნავს, იგი გ. მ-ესთან ერთად იმყოფებოდა სლოტკლუბ „გ-ის“ მიმდებარედ, მოპირდაპირე მხარეს, რა დროსაც შენიშნა რაღაც ჩოჩქოლი. დაინახა, თუ როგორ დაარტყა დანიანი ხელი ა. ბ-ემ დ. ო-ს ორჯერ. შემდეგ ნახა, თუ როგორ გადარბოდა ქუჩაზე ჯ. მ-ი, ალბათ, მისაშველებლად. თავად შემთხვევის ადგილისკენ არ წასულა, დაიბნა და გეზი აიღო ხელმარჯვნივ, მაღაზია „დ-სკენ“. შემდეგ კი სახლში წავიდა. მეორე დღეს გაიგო დ. ო-ის გარდაცვალების შესახებ. შ. შ-ის განმარტებით, მანამდე შეიხედა სახაჭაპურეში, სადაც შენიშნა ჯ. მ-ი, ა. ა-ი და ბ-ი. ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე გ. მ-მაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დაჭრის შემდეგ მან გადაკვეთა ქუჩა და წავიდა ა. ბ-ის მოსაძებნად, თუმცა ვერ იპოვა და სახლში წავიდა. დ.ო-ის დაჭრამდე სახაჭაპურესთან, ბირჟაზე, შენიშნა ნაცნობები - ჯ. მ-ი, ა. ა-ი, ა-ე და ბ-ი. დაჭრის შემდეგ ქუჩას თითქმის ერთდროულად კვეთდნენ თავად და ჯ. მ-ი. მოწმე ჯ.მ-ი კი, რომელმაც, როგორც საქმის მასალებითაა დადასტურებული, ნამდვილად გადაკვეთა ქუჩა და მივიდა დაჭრილთან, კატეგორიულად უარყოფს შ. შ-ისა და გ. მ-ის შემთხვევის ადგილის მიმდებარედ დანახვის ფაქტს.

21. აღსანიშნავია ასევე შ. შ-ისა და გ. მ-ის მითითება, რომ შემთხვევამდე, სახაჭაპურესთან შენიშნეს ჯ. მ-ი, ა. ას-ი, გ. ა-ე და გ. ბ-ი, მაშინ, როცა მოწმეებმა - ჯ. მ-მა და ა. ნ-მა ერთმნიშვნელოვნად განმარტეს, რომ ამ დროს მათთან ერთად სხვა პირები, მათ შორის - ა-ი და ბ-ი, არ ყოფილან.

22. ამ გარემოებას ჩემი კოლეგები სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევენ და აღნიშნავენ, რომ ა. ნ-მა არ გამოიციხა შ. შ-ისა და გ.მ-ის მათ სიახლოვეს ყოფნის ფაქტი, მაშინ, როდესაც როგორც ჯ. მ-ი, ისე ა.ნ-ი

შინაარსობრივად ნამდვილად გამორიცხავენ ზემოაღნიშნულ ფაქტს. ისინი არ ადასტურებენ ობიექტურად, მოწმეთა მიერ აღწერილ გარემოებებში, მათი განლაგების, მათი მოქმედებების გათვალისწინებით, სხვა ნაცნობების იქ ყოფნას. მხოლოდ ბრალდების მხარის არაერთჯერადი შეკითხვის შემდეგ აღნიშნა ა. ნ-მა, რომ გარშემო შეიძლება კიდევ ვინმე ყოფილიყო, რაც არ ახსოვს. მიმაჩნია, რომ ა.ნ-ის ჩვენებასთან დაკავშირებული ჩემი კოლეგების ინტერპრეტაცია არ გამომდინარეობს მოწმის ჩვენების სულისკვეთებიდან და არ უნდა განიმარტოს იმ მნიშვნელობით, რომ თითქოს მ-ისა და ნ-ის სიახლოვეს იმყოფებოდნენ შ-ე და მ-ე და ნ-მა, მართალია, ვერ დაინახა, მაგრამ დაუშვა მათი იქ ყოფნის შესაძლებლობა.

23. ამ საკითხთან მიმართებით არ ვეთანხმები ჩემი კოლეგების კიდევ ერთ შეფასებას, როდესაც აღნიშნავენ, რომ ჯ.მ-ისა და ა.ნ-ის მიერ მათ სიახლოვეს ნაცნობების ვერდანახვა სრულიად ბუნებრივია, რადგან გონებაში მათ უფრო მეტად შემორჩათ თავიანთ მეგობართან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაცია, ვიდრე -სხვა, მეორეხარისხოვანი გარემოებები (როგორცაა ნაცნობების დანახვა). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ შეფასებას ისინი აკეთებენ მხოლოდ ჯ. მ-ისა და ა.ნ-ის შესახებ და არა ასევე შ. შ-ისა და გ.მ-ის მიმართაც, რომლებიც ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებოდნენ (ჯ.მ-სა და ა.ნ-ის მსგავსად ხედავდნენ კონფლიქტის ფაქტს, დ.ო-ი მათი მეგობარიც იყო და მთელი კონცენტრაცია კონფლიქტისკენ უნდა ჰქონოდათ ასევე მიმართული) მაგრამ, მიუხედავდ ამისა, მათ რატომღაც მაინც კარგად დაინახეს ჯ.მ-იცა და ა. ნ-იც.

24. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ აღწერილ ეპიზოდებში არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები აშკარაა.

25. ჩემი კოლეგების პოზიციის მიხედვით - მოცემულ საქმეში პირდაპირ ჩვენებებთან დაკავშირებული შეუსაბამობები ვერ იქნება ხელის შემშლელი გარემოება მათი გაზიარების თვალსაზრისით, ვინაიდან, მიუხედავად ამგვარი შეუსაბამობებისა, მთავარი ისაა, რომ მოწმეთა პირდაპირი ჩვენებები ერთობლივად ადასტურებენ ძირითად და ყველაზე არსებით ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, მათი მოსაზრებით, თვითმხილველი მოწმეების ჩვენებების შეფასება იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდნენ ისინი მომხდარი დანაშაულის შემდეგ, ანდა რას ჰყვებიან, არა ფაქტის მონაწილე პირთა მოქმედებების, არამედ - შემთხვევის დროს სხვა პირების იქ ყოფნა-არყოფნის შესახებ, ამ შემთხვევაში მიზანშეუწონელია.

26. საკასაციო პალატას არაერთხელ განუმარტავს, რომ მოწმეთა ჩვენებები, როგორც წესი, ვერ იქნება იდენტური და ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ყოველი ადამიანი ინდივიდუალურად აღიქვამს მოვლენას. ასევე გასათვალისწინებელია მტკიცებულებების ფორმირების პირობები, კერძოდ: ხილვადობა, ხალხმრავალი ადგილი, მანძილი მოწმესა და შემთხვევის ადგილს შორის, ასევე შემთხვევიდან გასული დრო და ა.შ., რაც სხვადასხვა მოწმის ჩვენებას შორის არსებულ არაარსებით წინააღმდეგობებს სრულიად ლოგიკურად ხსნის. თუმცა, როდესაც ა.ბ-ის ბრალდების

საქმეში თავად მოწმის ჩვენება შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და არალოგიკურ ინფორმაციას და ამავდროულად, იგი ეწინააღმდეგება სხვა მოწმეთა ჩვენებებსაც, რასაც ემატება ისეთი საყურადღებო გარემოებები, როგორც არის 11 -წლიანი დროის პერიოდი, ხანგრძლივი პატიმრობისას ერთ საკანში ყოფნა - მიმაჩნია, რომ სწორედ ამ დროს უნდა შემოწმდეს დეტალურად ყველა გარემოება, მათ შორის - დანაშაულის შემდეგ განვითარებული მოვლენები, თვითმხილველთა მოქმედებები და სხვა მრავალი დეტალი. ამიტომ ვერ დავეთანხმები ჩემს კოლეგებს იმ საკითხშიც, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში მოწმეების მიერ ძირითად ფაქტობრივ გარემოებებზე მითითება საკმარისია ამ ჩვენებების გაზიარებისა და გამოყენებისათვის.

27. ჩემი პოზიციის მართებულობის დასადასტურებლად მოვიხმობ რამდენიმე მაგალითს უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების პრაქტიკიდან:

27.1. საკასაციო პალატის №570აპ-16 გადაწყვეტილებით (მოსამართლეები: გ. შავლიაშვილი, პ. სილაგაძე, ნ. გვენეტაძე), ტ. პ-ი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-4 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში იმ არგუმენტებზე დაყრდნობით გამართლდა, რომ პოლიციელების ჩვენებები (რომელთა თანახმადაც, ისინი შემთხვევის ადგილთან სწორედ იმ დროს იმყოფებოდნენ, როდესაც ბრალდებული აფთიაქის კიბიდან ყუთით ხელში ჩამორბოდა და მისი აფთიაქში ყოფნის ფაქტი სადავო არ იყო) არ იყო უტყუარი, კერძოდ: მას შემდეგ, რაც პოლიციელებმა ტ.პ-ი საექვო პირად მიიჩნიეს და მისი შეჩერება გადაწყვიტეს, ბრალდებულის სირბილის მიუხედავად, მოწმე პოლიციელმა ვ. გ-მა განმარტა, რომ მას უკან გაჰყვა (მოწმე პოლიციელმა დ.ს-მა თავის მხრივ მიუთითა, რომ ვ. გ-ი ბრალდებულს სრაფი ნაბიჯით აედევნა), ამასთან, პოლიციელებმა არ დაუძახეს ბრალდებულს მაშინაც კი, როდესაც იგი ორმხრივი გასასვლელის მქონე სადარბაზოში შედიოდა (საიდანაც კვალის დაკარგვის ალბათობა იზრდებოდა). კვალის დაკარგვის შემდეგ აღნიშნულმა პოლიციელებმა არ უხმეს დამხმარე ძალას, არც რაციით გადასცეს ამის შესახებ და ასევე დამაჯერებლად ვერ ახსნეს, თუ დანაშაულის შემდეგ ბრალდებულის სახლში მისვლა-არმისვლის ფაქტი რატომ არ გადაამოწმეს.

ანუ, მიუხედავად იმისა, რომ მოწმე პოლიციელები პრაქტიკულად შეესწრნენ დანაშაულის ფაქტს და ძირითად ფაქტობრივ გარემოებას (რომ ტ.პ-ი, ყუთით ხელში, აფთიაქის კიბეზე ჩამორბოდა) ერთგვაროვნად გადმოსცემდნენ, საკასაციო პალატამ, მათი ჩვენებები მაინც არ გაიზიარა სწორედ მათი ქმედებების არალოგიკურობისა და დანაშაულის შემდეგი ეპიზოდების აღწერისას გამოკვეთილი შეუსაბამობების მოტივით;

27.2. კ.კ-ე - №262აპ-17 (საქმე განხილულია იგივე შემადგენლობით). აღნიშნული პირი ნარკოტიკულ დანაშაულში გამართლდა, სამი მოწმე პოლიციელის ჩვენებების წინააღმდეგობრიობისა და მათი ქცევის არალოგიკურობის გამო, კერძოდ: მოწმე ს-ემ განმარტა, რომ მ-ისა და ც-ის გარდა შემთხვევის ადგილზე სხვა არავინ იყო, მაშინ, როდესაც ც-ემ დაბეჯითებით განაცხადა, რომ მათგან 3-6 მეტრის მოშორებით იდგა პოლიციის ეკიპაჟი, რომელიც, მისი აზრით, იცავდა პერიმეტრს. ასევე შეუსაბამო იყო

მათი ჩვენებები კ-ის დაკავების ნაწილშიც - მ-ე აღნიშნავდა, რომ მანქანით მივიდნენ თ-ის დასახლებაში, მე-10 სახლის მიმდებარედ, იმოდრავეს 10-15 წუთი, შემდეგ წავიდნენ ქვემოთ, ქალაქის მიმართულებით, რა დროსაც შენიშნეს და დააკავეს კ-მე. ც-ის განმარტებით კი - პოლიციელებმა გადაკვეთეს რკინიგზის გადასასვლელი და ქალაქიდან თ-ის დასახლების მიმართულებით გაემგზავრნენ, შენიშნეს კ-ე და მაშინვე დააკავეს. ამასთან, მოწმეებმა ვერ ახსნეს კ-ის მყისიერი დაკავების აუცილებლობა, მაშინ, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ბრალდებულს მის ხელთ არსებული ნარკოტიკი უნდა გაესაღებინა მესამე პირზე.

საგულისხმოა, რომ სამივე პოლიციელი მიუთითებდა კ-ისაგან ნარკოტიკული ნივთიერების ამოღების ფაქტზე (ანუ ძირითად ფაქტობრივ გარემოებაზე);

27.3. ც.ზ-ე - №397აპ-14 (მოსამართლეები: პ.სილაგაძე, გ. შავლიაშვილი, მ.ოშხარელი). ც.ზ-ემ დ. მ-ს ჯერ მუშტი ჩაართვა ხელში, ხოლო შემდეგ ჩანთა - თავსა და გულმკერდის არეში, რის შედეგადაც მიაყენა მსუბუქი ხარისხის დაზიანება ჯანმრთელობის მოუშლელად. მიუხედავად იმისა, რომ მოწმეები დანაშაულებრივ ფაქტს ადასტურებდნენ, განსხვავებულად აღწერდნენ განვითარებულ მოვლენებს, მაგალითად: დაზარალებულის განმარტებით, მისი ცემის შემდეგ ც.ზ-ე წავიდა სვეტიცხოვლის შესასვლელისკენ, ხოლო მ. ხ-ის განმარტებით, ზ-ე გაემართა საპირისპირო მიმართულებით; დაზარალებულის განმარტებით, მისი ცემის შემდეგ უცხო პირებმა მისცეს დამამშვიდებელი წამალი, ხოლო მოწმე ხ-ის ჩვენებით, დაზარალებულს წამალი თავად ჰქონდა და სხვისგან არ მიუღია და სხვ.

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ ერთობლივად აღებული ეს წინააღმდეგობები დამაჯერებლობასა და სანდოობას უკარგავს მათ ჩვენებებს და ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, რის გამოც პალატამ ისინი არ გაიზიარა და ბრალდებული ზ-ე გაამართლა.

28. მსგავსი არაერთი პრაქტიკული მაგალითის მოყვანა შეიძლება ჩვენზე შემადგენლობით განხილული საქმეებიდან, მაგრამ ახლა უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა არსებითი მნიშვნელობისა შეიძლება იყოს ის შეუსაბამობები, რომლებიც იკვეთება ა.ბ-ის საქმის დეტალებში და რომლებიც, ჩემი კოლეგების მოსაზრებით, ვერ იქნება ხელის შემშლელი შ. შ-ის, გ. მ-ისა და ლ. ბ-ის ჩვენებების გაზიარების საკითხში, ხოლო ჩემი მოსაზრებით, ისინი ნიადაგს აცლის ამ ჩვენებათა სანდოობას:

29. მოწმე ლ. ბ-მა განმარტა, რომ ხუთი წუთის განმავლობაში იდგა „ჯ-ის“ ოფისის წინ და იყურებოდა სლოტკლუბ „გ-ის“ მხარეს, რა დროსაც 20-25 მეტრში შენიშნა დ. ო-ი და ა. ბ-ე, რომლებიც ერთმანეთში დაძაბულად საუბრობდნენ. ამ დროს დაინახა, თუ როგორ დაარტყა ა. ბ-ემ დანა დ. ო-ს, რა დროსაც ეს უკანასკნელი ჩაიკეცა, თავად კი დაიბნა და სასტუმრო „ა-სკენ“ შეტრიალდა, 10-15 წამში ისევ მოიხედა და დაინახა, თუ როგორ კვეთდა ქუჩას დ. ო-ი. სურვილი არ გასჩენია, მისულიყო დ. ო-თან, რასაც

დაბნეულობით ხსნის. დაახლოებით ნახევარი წუთის შემდეგ ტაქსით დატოვა იქაურობა. მომხდარის შესახებ არავისთან არაფერი უთქვამს და პირველად გამოძიებას ჩვენება 2015 წელს მისცა.

30. მოწმის ასეთი განმარტება მისი დანაშაულის შემდეგი ქმედების შესახებ თავშივე უკარგავს დამაჯერებლობას მის ჩვენებას, ვინაიდან დაინახა, თუ როგორ დაარტყეს დანა მის მეგობარს და იმის ნაცვლად, რომ დაინტერესებულიყო მომხდარით და დახმარება გაეწია დაჭრილისთვის, სასტუმრო „ა-სკენ“ შეტრიალდა, შემდეგ კი საერთოდ დატოვა შემთხვევის ადგილი.

31. ასევე ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ბ-ის განმარტებით, ის ფაქტობრივად სახაჭაპურის მოპირდაპირე მხარეს იმყოფებოდა და წესით, იგი ჯ. მ-ს უნდა შეემჩნია, რასაც მ-ი უარყოფს და აღნიშნავს, რომ ბ-ი არ დაუნახავს ისევე, როგორც არ დაუნახავს არც შ-ე და არც მ-ე.

32. ლ. ბ-ის მსგავსად, შ.შ-ის განმარტებაც სრულიად არაბუნებრივად და არადამაჯერებლად გამოიყურება იმ ნაწილში, სადაც იგი აღნიშნავს, რომ დაბნეულობის გამო არ მივიდა დაჭრილი დ. ო-ის დასახმარებლად. სახლში წავიდა და აღარ უკითხავს დაჭრილი მეგობრის ამბავი, მან მხოლოდ მეორე დღეს გაიგო დ.ო-ის გარდაცვალება და ეს მაშინ, როდესაც მთელი დაკითხვის მანძილზე ხაზს უსვამდა თავისი და დ. ო-ის მეგობრობის ამბავს და იმას, თუ როგორი განსაკუთრებულად კარგი პიროვნება იყო იგი და როგორ განიცდიდა მის გარდაცვალებას.

33. მოწმე შ.შ-ე ასევე მიუთითებს, რომ დანის დარტყმის მომენტში დ.ო-ისა და ა.ბ-სგან ცოტა მოშორებით შენიშნა გ-ი, რასაც გ-ი უარყოფს და მისი განმარტება, თავის მხრივ, სრულად შეესაბამება დ. კ-ის ჩვენებას, სადაც იგი მიუთითებს, რომ გ-მა რომ გადმოიღებინა, ესენი (ო-ი და -ე) უკვე გაქცეულები იყვნენო.

34. გ.მ-ის განმარტებით, ის, რომ ჩხუბი მოხდა მობილურის თაობაზე, იცის ნ.გ-ისგან, რომელმაც უთხრა, რომ აფთიაქიდან გამოსვლის შემდეგ დაინახა, თუ როგორ კამათობდნენ ა.ბ-ე და დ.ო-ი და დანის დარტყმის დროსაც იქვე იყო. სრულიად არადამაჯერებელია მ-ის აღნიშნული განმარტება, რადგან გ-მა სასამართლოს სხდომაზე განმარტა, რომ საერთოდ არ იცნობს მ-ეს და თანაც, ამ თემაზე საერთოდ არავისთან უსაუბრია.

35. მოწმე გ-მა ასევე განმარტა, რომ აფთიაქიდან როდესაც გამოვიდა, შემთხვევა უკვე მომხდარი იყო, რასაც ადასტურებს დ. კ-ეც, რომელიც ჩვენებაში აღნიშნავს, რომ გ-მა როცა გადმოიღებინა, ბ-ე და ო-ი უკვე გაქცეულები იყვნენო. ჩვენების დასასრულს მ-ემ საერთოდ შეცვალა თავისივე მოწოდებული ინფორმაცია და მიუთითა, რომ ვინმე ქ-სგან შეიტყო, რომ გ-მა დაინახა ჩხუბის დეტალები.

36. აქ მოყვანილი ფაქტების გარდა, მოწმეების: შ.შ-ის, გ. მ-ისა და ლ. ბ-ის სასამართლოში მიცემულ ჩვენებებთან დაკავშირებით, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოები ყურადღებას უთმობენ სხვა შეუსაბამობებსაც, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამ მაგალითების ანალიზიც საკმარისია არსებითი წინააღმდეგობების ნათელი სურათის წარმოსაჩენად.

37. მართალია, მოწმის ჩვენება მის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაციაა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში საინტერესოა შ. შ-ის, გ. მ-ისა და ლ. ბ-ის მიერ გამოძიებისთვის მიწოდებული ინფორმაციაც, კერძოდ:

38. შ. შ-ემ გამოძიებას განუმარტა, რომ დაინახა, როგორ გამოვიდა სლოტკლუბიდან დ. ო-ი, რომელსაც უკან მოჰყვებოდა „ა-ო“. დაჭრის ფაქტის დანახვის შემდეგ გადაწყვიტა, გაჰვიდებოდა ბ-ეს და გაიქცა მისი მიმართულებით, მაგრამ სანამ პ-ის ქუჩა გადაკვეთა, დაეკარგა თვალთახედვის არედან. ჯ-იმ მოუყვა შემდეგ დაჭრილი ო-ი როგორ გადმოიყვანა გზაზე, გააჩერა გამვლელი მანქანა და წაიყვანა საავადმყოფოში.

39. შ. შ-ის თანასაკნელმა გ. მ-ემ გამოძიებას მიაწოდა შემდეგი ინფორმაცია: დაინახა პოკერკლუბიდან როგორ გამოვიდნენ ო-ი და ბ-ე. დაჭრის ფაქტის შემდეგ ის და შ-ე გაეკიდნენ ბ-ეს, მაგრამ სანამ გზა გადაკვეთეს, ა-ი შევარდა ეზოში.

40. ლ. ბ-მა კი შემდეგი შინაარსის ჩვენება მისცა: შემთხვევის ადგილზე უცებ შეიკრიბა ხალხი და ისიც წავიდა იმ მიმართულებით. დაინახა, რომ ო-ი რამდენიმე ბიჭმა ჩასვა მანქანაში. როცა „პ-თან“ მივიდა, იქ შეკრებილი ხალხი საუბრობდა, რომ დაჭრილი ო-ი უბნელმა ბიჭებმა წაიყვანეს საავადმყოფოში.

41. ბუნებრივია, ასეთი ტიპის განმარტებები, რომ მათ დაინახეს დაჭრის ფაქტი და წავიდნენ შემთხვევის ადგილისკენ, არის ლოგიკური ქცევა და დამაჯერებლობას შესძენდა მათ ჩვენებებს, თუმცა სასამართლოში მათ შეცვალეს ჩვენებები, კერძოდ: შ-ემ და ბ-მა მოიმიზეზეს დაბნეულობა და მიუთითეს, რომ გაეცალნენ იქაურობას. აქედან გამომდინარე, ლოგიკური ხდება ეჭვი იმის შესახებ, რომ თუკი ზემოხსენებული მოწმეების მიერ შემოთავაზებული ვერსია განვითარდებოდა იმგვარად, რომ ისინი გაემართებოდნენ შემთხვევის ადგილისაკენ, მაშინ გამოძიებასა და სასამართლოში მოუწევდათ უფრო კონკრეტულ კითხვებზე პასუხების გაცემა, მაგალითად: რა სურათი დახვდათ იქ? ვინ იყვნენ შემთხვევის ადგილზე? რა მოიმოქმედეს მათ და ასე შემდეგ. ამასთან, ისინი აუცილებლად უნდა შეემჩნიათ იმ პირებს, რომელთა შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტი უდავოდ დასტურდება (რაც სადავო გახდა სწორედ მ-ის შემთხვევაში, როცა მან მიუთითა, რომ ფაქტობრივად ჯ-სთან ერთად კვეთდა ქუჩას, რაც უარყო ჯ. და კატეგორიულად განმარტა, რომ იქ მ-ე არ დაუნახავს), შესაძლებელია, ზემოაღნიშნულმა მოწმეებმა ამიტომაც აირჩიეს შემთხვევის ადგილიდან განრიდების მოგონილი ვერსია.

42. როგორც აღვნიშნე, დაცვის მხარე გამოთქვამს ეჭვს შ. შ-ისა და გ.მ-ის მიერ გამოძიებასთან შეთანხმებული ჩვენების მიცემის შესახებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ მოსაზრებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია და ვერც რაიმე მტკიცებულებას წარმოადგენდა ბრალდების მხარე იმის სამტკიცებლად, რომ რაიმე უკანონო გარიგებას არ სთავაზობდა აღნიშნულ მოწმეებს. ამიტომ ამ ნაწილში ვეთანხმები საკასაციო პალატის მოსამართლეებს, თუმცა ეს არ გამორიცხავს მაღალ ალბათობას, რომ შ.შ-ესა და გ.მ-ეს, პირადი მოტივებიდან გამომდინარე, პოზიციები შეეთანხმებინათ არა, მაგალითად, ბრალდების მხარესთან, არამედ - ერთმანეთთან და შემდეგ შეთანხმებული, შემთხვევის ადგილზე ყოფნის მოგონილი, მცდარი ვერსია მიეწოდებინათ გამოძიებისათვის.

43. ზემოაღნიშნული საკითხების გაანალიზების შედეგად მიმაჩნია, რომ მოწმეების: შ. შ-ის, გ. მ-ისა და ლ. ბ-ის ჩვენებები არ უნდა იქნეს გაზიარებული და არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, ვინაიდან ისინი ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს.

44. რაც შეეხება საქმეში წარმოდგენილ სხვა მტკიცებულებებს და მათი საკმარისობის საკითხს:

45. მოწმეები - ჯ. მ-ი და ა. ნ-ი მიუთითებენ მხოლოდ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ დაინახეს დ. ო-ის კონფლიქტი მათთვის უცხო პირთან. შესაბამისად, მათი ჩვენებები არ შეიცავს ინფორმაციას ა.ბ-ის ბრალეულობასთან დაკავშირებით.

46. მოწმეების - მ. ლ-ის, ზ. მ-ისა და ნ. ქ-ის ჩვენებები ასევე მიუთითებენ მხოლოდ ორ პირს შორის არსებულ კონფლიქტზე და რაიმე ინფორმაციას, რაც ბრალდებულის იდენტიფიცირების საშუალებას მოგვცემდა, ისინი არ გვაწვდიან. მეტიც, მოწმე ნ. ქ-ის განმარტებით, პირს, რომელიც დ. ო-ს ეკამათებოდა, ჰქონდა ჩვეულებრივი თბილისური აქცენტი, მაშინ, როდესაც ა. ბ-ე იყო ა-დან და თ-ში ახალი გადმოსული იყო საცხოვრებლად (დაახლოებით ერთი წლის). ამასთან, მისი იმჟამინდელი ინტელექტუალური განვითარების დონე შეესაბამებოდა 9-12 წლის ბავშვის ასაკს (რასაც ასევე ადასტურებენ მოწმეები - მ. კ-ი და ნ. კ-ე). ჩნდება კითხვა, თუ რამდენად შეეძლო მას კამათის დროს ესაუბრა ჩვეულებრივი, თბილისური აქცენტით.

47. ნ. გ-ის ჩვენების ის ნაწილი კი, სადაც აღნიშნავს, რომ დ. კ-ისგან შეიტყო რომ „ა-ომ“ დაჭრა „უ-ა“-ერთმნიშვნელოვნად ირიბი მტკიცებულებაა (ვინაიდან ნ. გ-ი სასამართლოს აწვდის ინფორმაციას, რომელიც სხვა პირისგან მოისმინა), რის გამოც, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილების თანახმად, არ აკმაყოფილებს უტყუარობის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტანდარტს და ვერ იქნება გაზიარებული, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში არ დაკითხულა ინფორმაციის წყარო - დ. კ-ე.

48. აღსანიშნავია, რომ დ. კ-ის ჩვენება არსებითი მნიშვნელობისაა საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით ა. ბ-ის მსჯავრდების საკითხის გადასაწყვეტად, ვინაიდან იგი ერთადერთი პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც მიუთითებს პერსონალურად ა. ბ-ის მიერ დ. ო-ის მკვლელობის ფაქტზე. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია, რომ ეს ჩვენება გარკვეულ ეპიზოდებში არსებითად ეწინააღმდეგება სხვა მტკიცებულებებს, კერძოდ:

49. დ. კ-ის გამოძიებაში მიცემული ჩვენებით დგინდება, რომ დ. ო-ი მეგობართან ერთად იმყოფებოდა პოკერკლუბში და თამაშობდა აპარატზე. ამ დროს პოკერკლუბში შევიდა „ა-ო“, გარეთ გამოიყვანა დ. ო-ი და მოსთხოვა ე.წ. „თავანის“ ჩაბარება, რა დროსაც მათ შორის დაიწყო ჩხუბი. ჩხუბის დასრულების შემდეგ იმ ადგილზე შენიშნა სისხლის ლაქები. აღნიშნული ჩვენებიდან გამომდინარე, თვალშისაცემი წინააღმდეგობაა, ერთი მხრივ, მოწმეების - ჯ. მ-ის, ა. ნ-ისა და ნ. გ-ის და მეორე მხრივ - დ. კ-ის ჩვენებებს შორის. ჯ. მ-ი და ა. ნ-ი განმარტავენ, რომ დ. ო-ი მათთან მივიდა ტელეფონზე დარეკვის თხოვნით, უარის მიღების შემდეგ კი გადავიდა „გ-ის“ მხარეს იმ იმედით, რომ ვინმე ტელეფონიანს იპოვიდა. ვინაიდან ნ-საც უნდოდა დარეკვა, აკვირდებოდა დ. ო-ს, რა დროსაც დაინახა უცნობ პირთან მოკამათე დ. ო-ი. ამ განმარტებიდან გამომდინარე, დ. ო-ი სლოტკლუბში სათამაშოდ არ ყოფილა.

50. დ. კ-ის ჩვენება ასევე ეწინააღმდეგება მოწმე ნ. გ-ის ჩვენებას, რომელიც აცხადებს, რომ აფთიაქში მიმავალს, ეზოში შეხვდა ა. ბ-ე და ერთად წავიდნენ გ-იას გამზირისკენ. სლოტკლუბ „გ-თან“ ა. ბ-ეს შეხვდა ვიღაც პირი, რომელთანაც დაიწყო დამაბული საუბარი, თავად არ გაჩერებულა და გადავიდა აფთიაქში. როდესაც იქიდან გამოვიდა, სლოტკლუბის წინ შენიშნა ხალხმრავლობა. შემდეგ შეხვდა დ. კ-ე და უთხრა - „ა-ომ“ დაჭრა „უ-ო“, ანუ ნ. გ-ი აცხადებს, რომ გზაში ერთად მიმავლებს შეხვდათ პირი, რომელთანაც ა. ბ-ემ კამათი დაიწყო, ხოლო დ. კ-ე განმარტავს, რომ ა. ბ-ე სლოტკლუბში შევიდა და აპარატზე მოთამაშე დ. ო-ი გარეთ გამოიყვანა. თუკი დ. ო-ი სლოტკლუბში იყო და თამაშობდა, იგი ნ. გ-თან ერთად მიმავალ ა. ბ-ეს ვერ შეხვდებოდა.

51. დ. კ-ის ჩვენებას ეწინააღმდეგება ასევე სხვა მოწმეთა ჩვენებებიც, კერძოდ: მისი ჩვენების მიხედვით, კამათის მიზეზი იყო ა. ბ-ის მიერ დ. ო-ისათვის მოთხოვნილი ე.წ. „თავანი“. სხვა მოწმეები კი (მაგალითად, ნ. ქ-ე) აცხადებენ, რომ ჩხუბი მოხდა არა თავანთან დაკავშირებით, არამედ - ტელეფონზე დარეკვის გამო.

52. ჩემი კოლეგების მოსაზრებით, მკვლელის ჩაცმულობის აღწერის ნაწილში მოწმეები - დ. კ-ე და ნ. ქ-ე მსგავს ჩვენებებს იძლევიან და ამითაც დასტურდება ის ფაქტი, რომ მკვლელი ა. ბ-ეა. ხოლო რაც შეეხება კონფლიქტის დაწყების თემას, რომელსაც განსხვავებულად აღწერენ აღნიშნული მოწმეები, ესეც ბუნებრივია, ვინაიდან კონფლიქტი გამოიწვია მობილურ ტელეფონზე დარეკვის სურვილმა და ამ ფაქტს, ნ. ქ-ის გარდა, სხვა მოწმეებიც ადასტურებენ. ხოლო „თავანი“, როგორც კონფლიქტის დაწყების მიზეზი, მოწმე დ. კ-ეს შესაძლოა, შეცდომით იმიტომ დაამახსოვრდა, რომ შემთხვევიდან დიდი დროა გასული და უბრალოდ, ასე დარჩა მეხსიერებაში, ნ. ქ-ემ კი ჩვენება შემთხვევიდან მალევე მისცა და მას უკეთესად ამიტომ ემახსოვრებოდა.

53. ვერ დავეთანხმები ჩემი კოლეგების ზემოაღნიშნულ მსჯელობას და ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა გამოვყო ორი გარემოება: ერთი, რომ კონფლიქტის მიზეზის აღწერის ნაწილში ამ მოწმეთა ჩვენებებს შორის წინააღმდეგობა არსებითია, ვინაიდან აღნიშნული მოწმეები ასახელებენ არა მხოლოდ კონფლიქტის თემას, არამედ ამ თემის შინაარსსაც გადმოსცემენ დეტალურად, რაც, ჩემი აზრით, გამორიცხავს დროის ფაქტორის გავლენით დ.კ-ის მიერ საკითხის არასწორად აღქმის ვერსიას. კერძოდ: დ. კ-ე ამ ნაწილში იძლევა შემდეგ ჩვენებას: მე მესმოდა „ა-ა“ და დ. ო-ის საუბარი. „ა-მ“ დ. ო-ს ჰკითხა, თუ როდის აპირებდა ე.წ. „თავანის“ ჩაბარებას, რაზეც დ. ო-მა უპასუხა, რომ რამდენიმე თვეში ჩააბარებდა. მათ არ დაუკონკრეტებიათ „თავანის“ სახით რა თანხა ჰქონდა ჩასაბარებელი დ. ო-ს „ა-სათვის.“

54. ხოლო ნ. ქ-ე იმავე სიტუაციას აღწერს ასე: „უცნობმა ახალგაზრდა ბიჭმა დ. ო-ს კატეგორიული ტონით მოსთხოვა ტელეფონზე დარეკვა, რასაც ო-მა მიუგო ასევე კატეგორიული ტონით, რომ არ დაარეკვინებდა. ახალგაზრდა ბიჭმა დაუწყო ო-ს ლანძღვით ლაპარაკი „რას ჰქვია, არ დამარეკვინებ, სადარბაზოში გაგიყვანო“ და დაემუქრა გინებით, რასაც დ. ო-მა უპასუხა „წამოდი, გავიდეთ“.

55. და მეორე გარემოება - ვეთანხმები ჩემი კოლეგების პოზიციას იმ ნაწილში, რომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს კონფლიქტის დაწყების მიზეზს, რადგან ფაქტია, რომ კონფლიქტი რეალურად არსებობდა. მაგრამ აქ უნდა აღვნიშნო, რომ კონფლიქტის მიზეზის გაანალიზება მნიშვნელოვანია ჩვენებების შეფასების მიზნებისათვის, ანუ მთავარია ის, თუ რომელი ჩვენება უნდა გაიზიაროს სასამართლომ: დ. კ-ის - რომელიც ეწინააღმდეგება ნ. გ-ისა და სხვა მოწმეების ჩვენებებს, სადაც ისინი განსხვავებულად აღწერენ დ. ო-ისა და დამნაშავის შეხვედრის მომენტს, თუ ნ. ქ-ის - რომელიც დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ ო-თან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდას ჰქონდა ჩვეულებრივი, თბილისური აქცენტი.

56. მოწმე დ.კ-ე ასევე უთითებს, რომ შემდეგ „ა-ო“ გაიქცა კ-ის გამზირზე, მან თავზე ჩამოიფარა „კეპი“ და ისე გარბოდა. საქმეზე დაკითხული თითქმის ყველა მოწმე კი ადასტურებს, რომ ა. ბ-ე წავიდა არა კ-ის გამზირზე, არამედ -მ-ის ქუჩის მიმართულეებით.

57. მიუხედავად იმისა, რომ დ.კ-ის სასამართლოში გამოქვეყნებული ჩვენება პირდაპირი მტკიცებულებაა, რომელიც მიუთითებს ა.ბ-ზე, როგორც დანაშაულის ჩამდენ პირზე, იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად, ვინაიდან დაცვის მხარეს არც გამოძიების ეტაპზე და არც სასამართლო განხილვის დროს არ ჰქონია დ. კ-ის გამოკითხვის, დაკითხვის ან მისი ჩვენებების გაპროტესტების ადეკვატური საშუალება, რაც ძალზე მნიშვნელოვანი იქნებოდა სასამართლოსთვის სხვა მოწმეების ჩვენებებთან დაკავშირებული შეუსაბამობების გასაანალიზებლად. მხარის მიერ დასმულ კითხვებს ამ დროს შეუძლია, არა მხოლოდ მოწმეთა სანდოობის შეფასების საკითხზე მოახდინოს გავლენა, არამედ ნათელი

მოჭვინოს ისეთ გარემოებას, რომელიც წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით სასამართლოს საბოლოო დასკვნაზე მოახდენდა გავლენას.

58. მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლება უნდა იქნეს გაგებული შეჯიბრებითობის პროცესის ჭრილში, რაც სამართლიანი სასამართლოს კონცეფციაში დევს და გულისხმობს, რომ მოსარჩელეს მიეცეს მოწმის განცხადების ან ჩვენების ნებისმიერ ასპექტში შედავების შესაძლებლობა. აქ მნიშვნელოვანია ასევე ზეპირობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სასამართლოს უშუალო კონტაქტს პირებთან, რომლებიც ჩვენებას იძლევიან პროცესზე, კერძოდ, ბრალდებული უნდა დაუპირისპირდეს მოწმეს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევის მანერასა და სანდოობაზე ყურადღებით დაკვირვება.

59. საქმეზე, Al-Khawaja და Tahery გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა ვინაიდან მეორე განმცხადებელი (ბატონი ტაჰერი) მოკლებული იყო შესაძლებლობას, შეემოწმებინა T-ს ჩვენების სანდოობა ჯვარედინი დაკითხვით, ასევე, ვინაიდან T ერთადერთი მოწმე იყო, რომელმაც მოისურვა და შეძლო ეთქვა, თუ რა ნახა, განმცხადებელს კი არ შეეძლო მოეწვია სხვა მოწმე, რომელიც დაუპირისპირდებოდა ამ ჩვენებას.

60. და ბოლოს: ა. ბ-ის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მოწმეების: შ. შ-ის, ლ. ბ-ისა და გ. მ-ის ჩვენებები არ უნდა იქნეს გაზიარებული, ვინაიდან ვერ გაქარწყლდა ეჭვი მათი შემთხვევის ადგილზე ყოფნის ფაქტთან დაკავშირებით და ისინი არ აკმაყოფილებს უტყუარობისა და სანდოობის მტკიცებით სტანდარტს; ასევე არ უნდა იქნეს გაზიარებული დ. კ-ის ჩვენებაც, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი მტკიცებულებაა, ვერ მოხერხდა მისი უშუალოდ და ზეპირად დაკითხვა, სხვა ჩვენებებთან დაკავშირებული, არსებითი შეუსაბამოების ახსნის მიზნით; ხოლო რაც შეეხება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებს, ისინი არ მიუთითებენ პერსონალურად ა. ბ-ის ბრალეულობაზე, რის გამოც არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. შესაბამისად, პირის მიმართ წარდგენილი ბრალის დასადასტურებლად, ზემოაღნიშნული სტანდარტის მტკიცებულებათა ბაზის გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრება უზენაესი სასამართლოს აქამდე დადგენილი პრაქტიკის ერთმნიშვნელოვნად საწინააღმდეგოდ, მიმაჩნია, რომ ხელს შეუწყობს უდანაშაულო პირ(ებ)ის მსჯავრდების რისკების გაზრდას და შეუსაბამოა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთანაც, რომლის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას. სსსკ-ის 82-ემუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ

ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სსსკ-ის 259-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

61. გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის თაობაზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომაც 2015 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებაში, რომელშიც აღნიშნა: გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცებულებითი სტანდარტი უზრუნველყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვას, არსებითად ამცირებს უსამართლო და დაუსაბუთებელი გამამტყუნებელი განაჩენის საფრთხეს, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ხელს უწყობს შეცდომის დაშვების საფრთხის თავიდან აცილებას. მსჯავრდებულს არ უნდა შეერაცხოს დანაშაული მანამ, სანამ მტკიცებულებების საკმარისი და დამაჯერებელი ერთობლიობით არ დადასტურდება დანაშაულის თითოეული ელემენტის არსებობა მის ქმედებაში. ამასთან, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი თამაშობს მნიშვნელოვან როლს საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბებაში. სახელმწიფოს ლეგიტიმური უფლება, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ადასრულოს მართლმსაჯულება, არ უნდა იქნეს დასუსტებული ისეთი მტკიცებულებითი სტანდარტით, რომელიც მიუკერძოებელ ადამიანს, საზოგადოებას გაუჩენს ეჭვს უდანაშაულო პირის მსჯავრდების შესახებ.

62. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 4 ოქტომბრის განაჩენი ა.ბ-ის ბრალდების საქმეზე არის კანონიერი და არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი უტყუარ მტკიცებულებათა ისეთი ერთობლიობა, რაც საკმარისი იქნებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

მოსამართლე:

გიორგი შავლიაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

№ 511 2005 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი

გ. შველიაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს
მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული
კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად გიორგი შველიაშვილი დაინიშნოს
თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ.


მიხეილ სააკაშვილი
№ 1



საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 531 2005 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი

მოსამართლე გ. შავლიაშვილის თბილისის საქალაქო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის მე-15¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად
დაინიშნოს გიორგი შავლიაშვილი თბილისის საქალაქო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარედ.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „თბილისის საქალაქო
სასამართლოს მოსამართლე მ. ნოზაძისთვის თბილისის საქალაქო
სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის თავმჯდო-
მარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს
პრეზიდენტის 2005 წლის 3 მაისის N 325 განკარგულება.


მიხეილ შავლიაშვილი






საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

№ 530 2005 წლის 5 ივლისი ქ. თბილისი

მოსამართლე გ. შავლიაშვილისათვის თბილისის საქალაქო
სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების
დაკისრების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის 85² მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად
მოსამართლე გიორგი შავლიაშვილს თბილისის საქალაქო
სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნამდე დაეკისროს თბილისის
საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების
განხორციელება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მოსამართლე დ. დოიჯა-
შვილისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
უფლებამოსილების დაკისრების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის
2005 წლის 3 მაისის N 326 განკარგულება.


მიხეილ სააკაშვილი



საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება
N 323 2006 წლის 9 ივნისი ქ.თბილისი

გ. შავლიაშვილის თბილისის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მოსამართლე გიორგი შავლიაშვილი დაინიშნოს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ.

მიხეილ სააკაშვილი



საქართველოს პარლამენტის დადგენილება

გიორგი შავლიაშვილის საქართველოს უზენაესი
სასამართლოს მოსამართლედ არჩევის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს კონსტიტუციის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად არჩეულ იქნეს გიორგი შავლიაშვილი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე



დავით ბაქრაძე

თბილისი,

2010 წლის 18 ივნისი.

№ 3107 - II

სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის
გიორგი შავლიაშვილის საქმიანობის შესახებ

(2017 წლის 1 ნოემბერი - 2020 წლის 1 ნოემბერი)

I განხილულ საქმეთა რაოდენობა

საანგარიშო პერიოდში¹ გიორგი შავლიაშვილის წარმოებაში არსებულ და განხილულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 947. არსებული 947 საქმიდან 825 ცნობილ იქნა დაუშვებლად, 11 დატოვებული იქნა განუხილველად, 19 დატოვებული იქნა უცვლელად, 14 გაუქმდა და 76 შეიცვალა, შეწყდა 1 და 1 საქმე დაბრუნდა ხელახალი განხილვისთვის;

გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო და განიხილა 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე დაეწერა და განიხილა 114 საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო.

საერთო ჯამში, გიორგი შავლიაშვილის საქმიანობა მოცემულ საანგარიშო პერიოდში უნდა შეფასდეს დადებითად. თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე (დღეში საშუალოდ 1,2 საქმე), რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია.

II საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა - ვადის დაცვით 96,5%, ვადის დარღვევით 3,5%

საანგარიშო პერიოდში მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის მიერ განხილული 1141 საქმიდან ვადის დაცვით განხილულია 1101 საქმე, ხოლო ვადის დარღვევით 40 საქმე.

III გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა - ვადის დაცვით 61,2%, ვადის დარღვევით 38,8%

საანგარიშო პერიოდში გიორგი შავლიაშვილს მიერ სულ მომზადებული და ჩაბარებული აქვს 1137 განჩინება, საიდანაც 1 თვის ვადაში ჩაბარებულია 696 განჩინება, ხოლო 1 თვის ვადის ზევით 441 განჩინება.

სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარე

ირაკლი გოცირიძე

¹ შესაფასებელი საანგარიშო პერიოდი მოიცავს 1095 დღეს, საიდანაც მოსამართლე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებდა 953 დღის განმავლობაში (90 დღე შევებულია და 52 დღე მივლინება), შესაბამისად, წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს მოსამართლის საქმიანობას 953 დღის განმავლობაში.

მ ო წ მ ო ბ ა

მოწმობის მფლობელს უფლება ეძლევა
მოსამართლეობის საკვალიფიკაციო
გამოცდის წარმატებით ჩაბარებიდან
შვიდი წლის განმავლობაში
მონაწილეობა მიიღოს მოსამართლის
ვაკანტური ადგილის დასაკავებლად
გამართულ კონკურსში.

გამოცდის ჩაბარების თარიღი 2002 წლის 23 აგვისტო

მ ო წ მ ო ბ ა

ეს მოწმობა ადასტურებს, რომ


გაბრიელ მარტოშვილი
(სახელი, გვარი)

წარმატებით ჩააბარა მოსამართლეობის
საკვალიფიკაციო გამოცდა.

საკვალიფიკაციო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე



№ 347



საქართველოს უზენაესი სასამართლოს

პ ლ ე ნ უ მ ი

ქ თ ბ ი ლ ი ს ი

21 ივლისი 2010 წ

დადგენილება № 10/9



„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის
მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე გიორგი შველიაშვილი არჩეულ იქნეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრად.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრს გიორგი შველიაშვილს, საქართველოს შემთხვევაში, დროებით, დაეკისროს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, ასევე სამოქალაქო საქმეთა პალატის წევრის მოვალეობა ამ პალატების ქვემდებარე საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მხსაღებად.
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე პაატა ქათამაძე არჩეულ იქნეს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წევრად.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წევრს პაატა ქათამაძეს, საქართველოს შემთხვევაში, დროებით, დაეკისროს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, ასევე სისხლის სამართლის საქმეთა პალატის წევრის მოვალეობა ამ პალატების ქვემდებარე საქმეთა განხილვაში მონაწილეობის მხსაღებად.

5. „საერთო ხასმართლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს უზენაესი სასამართლოსათვის გათვალისწინებული მომდინარე წლის დაფინანსების ფარგლებში, ცუდიდება შევიდეს 2010 წლის 30 მარტის №36-ნ დადგენილების მე-2 პუნქტში და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მომდინარე წლის ივნისის თვეში (გიორგი შაკლიაშვილისა და პაატა ქათამიძისათვის - ივლისის თვეში) დანამატი 300 ლარისა და 900 ლარის ნაცვლად განისაზღვროს ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.


კონსტანტინე კუბლაშვილი
უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე

მაია ოშხარელი
პლენუმის მდივანი,
უზენაესი სასამართლოს მოსამართლე



საქართველოს უზენაესი სასამართლო
პლენუმი

ქ. თბილისი

18 აპრილი, 2019 წ.

დადგენილება №9/პლ-2019

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
სადისციპლინო პალატის წევრის, მათ შორის თავმჯდომარის არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გიორგი შავლიაშვილი არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრად, მათ შორის თავმჯდომარედ, 3 (სამი) წლის ვადით.
2. დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

მზია თოდუა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ეკატერინე გასიტაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე,
პლენუმის მდივანი



საქართველოს უზენაესი სასამართლო
პ ლ ე ნ უ მ ი

ქ. თბილისი

8 მაისი, 2020 წ.

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №10/პლ-2020

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის
მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა
პალატისა და სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე საქმეთა განხილვაში
მონაწილეობის მიღების მიზნით

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ადგენს:

1. საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლების წარმოშობის შემთხვევაში, მხარეთა უფლებების დაცვის, მართლმსაჯულების შეფერხების თავიდან აცილების და საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე გიორგი შავლიაშვილს დაევალოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარე საქმეში მონაწილეობის მიღება.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



საქართველოს უზენაესი სასამართლო

პ ლ ე ნ უ მ ი

ქ. თბილისი

8 მაისი, 2020 წ.

დადგენილება №26/პლ-2020

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის შემადგენლობის
არჩევის შესახებ

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმი

ა დ გ ე ნ ს:

I. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა არჩეულ იქნეს შემდეგი შემადგენლობით:

- | | |
|---------------------------|-------------------------|
| 1. ნინო ქადაგიძე; | 12. ვლადიმერ კაკაბაძე; |
| 2. მზია თოდუა; | 13. ლევან მიქაბერიძე; |
| 3. შალვა თადუმაძე; | 14. გიორგი მიქაულაძე; |
| 4. ბესარიონ ალავიძე; | 15. ნუგზარ სხირტლაძე; |
| 5. ნინო ბაქაქუძი; | 16. ლალი ფაფიაშვილი; |
| 6. მერაბ გაბინაშვილი; | 17. პაატა ქათამაძე; |
| 7. ეკატერინე გასიტაშვილი; | 18. გიორგი შავლიაშვილი; |
| 8. შირანდა ერემაძე; | 19. ქეთევან ცინცაძე; |
| 9. მამუკა ვასაძე; | 20. ზურაბ ძლიერიშვილი; |
| 10. მაია ვაჩაძე; | 21. ალექსანდრე წულაძე. |
| 11. თამარ ზამზახიძე; | |

II. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



3

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

დადგენილება № 11

ქ. თბილისი

30 ივლისი 2011 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
წევრის არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის 65-ე მუხლის „ბ“ პუნქტისა და საქართველოს
მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის
თანახმად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ
იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე
გიორგი შავლიაშვილი.

კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება №4

თბილისი

31 ივლისი 2007 წ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს
არგანული კანონის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტის, 78-ე
მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 88^რ-ე მუხლის
მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა
კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი
შველიაშვილი არჩეულ იქნეს საქართველოს იუსტიციის
მაღლესი საბჭოს წევრად.

ანსტანტინე კუბლაშვილი



საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება №1

თბილისი


6 თებერვალი 2006

წ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს
ორგანული კანონის 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“
ქვეპუნქტისა და 88⁶-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,
საქართველოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი
შავლიაშვილი არჩეულ იქნას საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს წევრად.


კონსტანტინე კუმბაშვილი



საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის
ადმინისტრაციული კომიტეტის

დადგენილება №2


თბილისი

1 ნოემბერი, 2010

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის 24-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა ადმინისტრაციული კომიტეტი

ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი გიორგი შავლიაშვილი არჩეულ იქნეს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის წევრად.



კონსტანტინე კუბლაშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

გორგი შავლიაშვილის
 მოსამართლეობის კანდიდატის ----- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	16	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	92	100

სახელი, გვარი: დიმიტრი გვრიტიშვილი



თარიღი: 28.05.2021 წ.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი დიმიტრი გვრიტიშვილი

2021 წლის 28 მაისი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **გიორგი შავლიაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:


1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - გიორგი შავლიაშვილი. საბჭოს 2021 წლის 5 აპრილის №1/26 განკარგულებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2021 წლის 1 აპრილის ორგანული კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, დადგინდა, რომ ამ პროცედურის ფარგლებში 2021 წლის 6-12 აპრილის პერიოდში მიღებული იქნებოდა დამატებითი განცხადებები. შედეგად, საბჭოს 2021 წლის 15 აპრილის განკარგულებით, ამ პროცედურაში დარეგისტრირდა 2 ახალი კანდიდატი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34² მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. კანდიდატების საჯარო მოსმენა დაიწყო 2020 წლის 10 დეკემბერს. უშუალოდ გიორგი შავლიაშვილის საჯარო მოსმენა გაიმართა 2021 წლის 12 მარტს, რომელშიც მივიღე მონაწილეობა და, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად, ვისარგებლე კანდიდატისათვის შეკითხვების დასმის უფლებით.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით; იმისდა მიხედვით, კანდიდატს გააჩნია თუ არა სამოსამართლო გამოცდილება, შეფასების წესი განსხვავებულია.



ვინაიდან გიორგი შავლიაშვილი მოქმედი მოსამართლეა, მისი შეფასება განვახორციელებთ ორგანული 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო უფლებამოსილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის განსაზღვრული წესით, კერძოდ:

1.5.1. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ცალსახაა კანონმდებლის ნება, რომ შეფასება დაეფუძნოს მონაცემთა ანალიზსა და შეჯერებას, ამიტომ ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონითვე იმავე მახასიათებლისათვის განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯერებას შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი „სრულად აკმაყოფილებს“ მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან რომელიმეს მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი „აკმაყოფილებს“ მახასიათებელს; ხოლო თუ ორი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი „არ აკმაყოფილებს“ მახასიათებელს.

1.5.2. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ამ ქულის დასაბუთების გზით.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

2.1.1. გიორგი შავლიაშვილი 47 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრის აკადემიური ხარისხი, თსუ). სპეციალობით მუშაობს 25 წელია, აქედან - სამოსამართლო საქმიანობას ახორციელებს 15 წელზე მეტია, კერძოდ:

2005-2010 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე (2006 წლიდან თავმჯდომარეც); 2010 წლის 18 ივნისიდან - არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე.


2006-2015 წლებში კანდიდატი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრიც.

2.1.2. რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის - სამართლიანობას, პატიოსნებას, თავმდაბლობას, პრინციპულობას, მაღალ პროფესიონალიზმს, დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობას, თავაზიანობას, კეთილსინდისიერებას და ა.შ. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ „სასურველი იქნებოდა უფრო მეტი მუშაობა აკადემიურ-სამეცნიერო სიღრმის კვლევის კუთხით“.

გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. რესპოდენტების აზრით კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

2.1.3. გიორგი შავლიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ პროფესიულ ღონისძიებებში:

- ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა - GIZ; 2010წ.; დუბროვნიკი, ხორვატია;



- სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში - GIZ; 2011წ. დრეზდენი, გერმანია;
- მოსამართლეთა შერჩევის პროცესი - USAID; 2012წ.; ლოვოვი, უკრაინა;
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია - წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი; 2014წ.; სარაევო, ბოსნია ჰერცეგოვინა;
- შვედეთის სასამართლოებში ევროპული კონვენციის გამოყენებისა და სასამართლო ადმინისტრირების საკითხები - შვედეთის ეროვნული სასამართლოების ადმინისტრაცია; 2015წ.; სტოკჰოლმი, შვედეთი;
- სამხრეთ კავკასიის სამართლებრივი დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან - GIZ; 2016წ.; ჰამბურგი, გერმანია;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - UNICEF; 2016წ.; თბილისი;
- ტრენერთა ტრენინგი ტრეფიკინგის თემაზე - ევროსაბჭო/იუსტიციის უმაღლესი სკოლა; თბილისი;
- ამერიკული სამართლის სკოლისა და ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის ერთობლივი პროგრამა ბიზნეს სამართალში - ამერიკული სამართლის სკოლა და ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლა; 2017-2018წ.წ.; თბილისი;
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „კონსტიტუცია და სახელმწიფოს მოდერნიზაცია“ - ყაზახეთის უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით; 2017წ.; ასტანა, ყაზახეთი;
- ანტიკორუფციული კურსი მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის - ILEA (სამართალდამცავთა საერთაშორისო აკადემია)/ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი; 2018წ.; ბუდაპეშტი, უნგრეთი;
- ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს თავმჯდომარეთა მე-8 კონფერენცია-ლიეტუვას უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით; 2018წ.; ვილნიუსი, ლიეტუვა;
- საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „უმაღლეს სასამართლოთა განსაკუთრებული როლი ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში“ - ეუთო/უზბეკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო; 2019წ.; ტაშკენტი, უზბეკეთი;
- საერთაშორისო კონფერენცია ნარკოტიკების მოხმარებისთვის სისხლის სამართლებრივი სანქციების გაუქმების შესახებ - ევროკავშირი; 2019წ.; ოდესა, უკრაინა;
- ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის სასამართლოს თავმჯდომარეთა მე-9 კონფერენცია - სლოვაკეთის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მხარდაჭერით; 2019წ.; ბრატისლავა, სლოვაკეთი;
- ტესტის შექმნის მეთოდოლოგია - სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი; 2020წ.; თბილისი.

2.1.4. კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:

- 2011 წლიდან არის ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კურსები: პრაქტიკული კურსი სისხლის სამართლის პროცესში; საკასაციო განხილვის თავისებურებანი სისხლის სამართალში;
- 2015-2016 წლებში იყო გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი. კურსი - სასამართლო პროცესის ორგანიზაცია;
- 2015-2018 წლებში-იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი. თემები: ტრეფიკინგი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი);

Handwritten signature

- 2019 წელს - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ტრენერი. თემები: ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა; საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები (სისხლის სამართალი).

2.1.5. გიორგი შავლიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს; აქვს მიმდინარე სესხი (საკრედიტო ბარათი), აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის საკუთრებაშია: 2 ბინა (144 კვ.მ. და 90 კვ.მ), ქ. თბილისში და მსუბუქი ავტომანქანა. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

2.1.6. ბოლო სამი წლის განმავლობაში, გიორგი შავლიაშვილი რამდენჯერმე არის დაჯარიმებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.

მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.

კანდიდატი მხარედ/დაზარალებულად რაიმე საქმეში არ ყოფილა.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.

2.1.7. გიორგი შავლიაშვილმა წარმოადგინა მის მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი რამდენიმე განაჩენი და 2 განსხვავებული აზრი.

მათი შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატი ზოგჯერ სათანადოდ არ იყენებს სასვენ ნიშნებს, ასევე - ხშირადაა გამოყენებული რთული თანწყობილი/ქვეწყობილი წინადადებები, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

2.1.8. კანდიდატის, როგორც მოსამართლის საქმიანობის ეფექტურობის შესახებ:

- 2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე, გიორგი შავლიაშვილის წარმოებაში არსებულ საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა 947, საიდანაც 825 ცნობილ იქნა დაუშვებლად, 11 დატოვებული იქნა განუხილველად, 19 დატოვებული იქნა უცვლელად, 14 გაუქმდა; 76 - შეიცვალა; 1 - შეწყდა; 1 - დაბრუნდა ხელახლა განსახილველად;

- გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მოსამართლემ წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე განიხილა 114 საჩივარი - ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო;

- თუ მოხდება მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მოსამართლეს 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე (დღეში საშუალოდ 1.2 საქმე).

აღნიშნულ პერიოდში, გიორგი შავლიაშვილმა საქმეთა 96.5% განიხილა საპროცესო ვადის დაცვით; გადაწყვეტილებები საქმეთა 61.2%-ში მოამზადა საპროცესო ვადის დაცვით.

2.2. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

2.2.1. გიორგი შავლიაშვილის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: <https://www.youtube.com/watch?v=WHMoHTFclE0>). მას საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. შეკითხვებზე კანდიდატის პასუხები, ძირითადად, თანმიმდევრულ, დასაბუთებულ და სწორ სამართლებრივ შეფასებებს ეყრდნობოდა; თუმცა, იყო ამკარა შეცდომები და ხარვეზები პასუხების დაახლოებით 5% შემთხვევაში (მაგ:

გ. შ. შ.

კანდიდატმა სათანადოდ ვერ გამოიჩინა ერთმანეთისგან საპატიებელი რისკის და მართლზომიერი რისკის შემთხვევები და ა.შ.).

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. გიორგი შავლიაშვილის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნე, რომ:

3.1.1. კანდიდატი, როგორც მოსამართლე და მოქალაქე, არის პატიოსანი, კეთილსინდისიერი, აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, არის სიმართლისმოყვარე; არის კორექტული და ზუსტი სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და ა.შ.

შესაბამისად, მივიჩნე, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

3.1.2. კანდიდატი არის პრინციპული, სამართლიანი, მიუკერძოებელი, პიროვნულად მყარი და შეუვალი, რის გამოც გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ზეგავლენის მიმართ მედეგობის უნარები.

შესაბამისად, მივიჩნე, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.1.3. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, არის თავდაჭერილი; აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამიტომ, დავრწმუნდი, რომ ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნე, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

3.1.4. კანდიდატს აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია/ავტორიტეტი, მისი ურთიერთობის ხასიათი იურიდიულ წრეებთან სრულ შესაბამისობაშია მოსამართლის სტატუსთან; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნე, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

3.1.5. კანდიდატის შემოსავლის წყაროს და ოდენობის, აქტივების, მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ქონების და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ერთობლივად გაანალიზების შედეგად, მივიჩნე, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა მოსამართლის ქონებრივ ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს საფრთხეს მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული „ფინანსური ვალდებულების“ მახასიათებელს.

3.2. ვინაიდან კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5-ვე მახასიათებლის მიმართ კანდიდატი შევავსე სრულად დადებითად, საბოლოოდ დავასკვნე, რომ გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. გიორგი შავლიაშვილის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ:

4.1.1. ზემოთ 2.2.2 პუნქტში აღნიშნული შეცდომების/ხარვეზების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ გიორგი შავლიაშვილი კარგად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, კანდიდატი შევავსე 19 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 95%).

4.1.2. კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების ძალიან კარგი უნარები, რაც ამ მოსაზრებას დამაჯერებლობასაც ანიჭებს. მას აქვს სათანადო პროფესიული გამოცდილებაც.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ გიორგი შავლიაშვილი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შევასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 20 ქულით.


4.1.3. ზემოთ, 2.1.7 პუნქტში აღნიშნული ხარვეზების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ გიორგი შავლიაშვილს ძირითადად გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის კარგი უნარები.

შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული „წერის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით, კანდიდატი შევავსე 16 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.4. კანდიდატს გააჩნია გამართული მეტყველების, სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებული აზრის) მოთმინებით მოსმენის და ღიაობის ძალიან კარგი უნარები.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ გიორგი შავლიაშვილი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული „ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შევასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 15 ქულით.

4.1.5. კანდიდატი პუნქტუალურია, საქმეებს ამზადებს ჯეროვნად და პასუხისმგებლობით, სასამართლო სხდომას წარმართავს სათანადოდ, მხარეებთან მისი კომუნიკაცია შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს; გულმოდგინე და შრომისმოყვარეა, გადაწყვეტილებას იღებს დაუხმარებლად და აქვს დამოუკიდებელი აზროვნების ძალიან კარგი უნარი. აქვს კარგი მენეჯერული



უნარები: სტრესულ სიტუაციებს უმკლავდება სათანადოდ, მიზანდასახულია, პროდუქტიულია და მოქმედებს სწრაფად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აგრეთვე - ზემოთ, 2.1.8 პუნქტში აღწერილი მონაცემების გამო, რაც, საპროცესო ვადების დაცვის თვალსაზრისით, არ მეტყველებს კანდიდატის სასარგებლოდ (გადაწყვეტილებები საქმეთა 38%-ზე მეტ შემთხვევაში მომზადებული აქვს საპროცესო ვადის დარღვევით), მივიჩნიე, რომ გიორგი შავლიაშვილი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - „პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში“ - უნდა შეფასდეს 13 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის დაახლოებით 86%).

4.1.6. კანდიდატი სიახლეების მიმართ ღიაა, აქვს თვითგანვითარების უნარი, შესაბამისი საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, რისთვისაც ხშირად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში, ხოლო შეძენილ ცოდნას და უნარებს წარმატებით იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.


შესაბამისად, მივიჩნიე, რომ გიორგი შავლიაშვილი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული „აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური - 5 ქულით.

4.1.7. კანდიდატი ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (შეხედულებებს) გამოხატავს ღიად და თავისუფლად, იჩენს ინიციატივას და აქვს იდეების/წინადადებების წამოყენების უნარი.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ გიორგი შავლიაშვილი სამეცნიერო საქმიანობას არ ახორციელებს.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 4 ქულით (ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 80%).

4.1.8. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, გიორგი შავლიაშვილს ვანიჭებ 92 ქულას.




საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

გეორგი შველიაშვილის
 მოსამართლეობის კანდიდატის ----- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	3	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

თ. 

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ
პროცედურაში მონაწილე კანდიდატის

გიორგი შავლიაშვილის

შეფასების დასაბუთება

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹, 36³, 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე განვახორციელე კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების ხუთი მახასიათებლის და კომპეტენტურობის შვიდი მახასიათებლის გათვალისწინებით. ჩემი შეფასება ეფუძნება კანდიდატის მიერ წარმოდგენილ და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებულ ინფორმაციას, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ზოგადი ინფორმაცია კანდიდატზე: გიორგი შავლიაშვილი - დაბადებული 1973 წლის 11 აგვისტო, უმაღლესი იურიდიული განათლებით, მაგისტრთან გათანაბრებული (თსუ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე, აქვს სპეციალობით მუშაობის გამოცდილება 24 წელი და 6 თვე, მათ შორის მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება 15 წელი.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 ნაწილის თანახმად კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად ვიღებ ერთ-ერთ დასკვნას:

- ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;
- გ) მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის მესამე პუნქტის თანახმად პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება პირის - როგორც მოსამართლისა და მოქალაქის - პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭირვალობა კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, ასევე საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ კანდიდატ გიორგი შავლიაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, არის ადმინისტრაციულად სახდელდადებული საგზაო მოძრაობის წესების

დარღვევისათვის, ყველა ჯარმა გადახდილია დროულად, გიორგი შავლიაშვილის მიმართ არ დაწყებული დისციპლინური დევნა, რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის პატიოსნებას, თავაზიანობას, კეთილსინდისიერებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოპოვებული მონაცემებით დგინდება, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ან შემომწირველი, მის მიერ განხილულ იქნა საქმეები, რომელიც მოექცა მედიის ყურადღების ქვეშ, კანდიდატმა შეძლო გამოეჩინა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, მედეგობა. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის სამართლიანობაზე, დამოუკიდებლობაზე, მიუკერძოებლობაზე. მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმსაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

მონაცემების მიხედვით კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი არ ყოფილა მხარედ ან დაზარალებულად წარმოდგენილი. მისი გარეგნული იერსახე სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ თანამდებობას. კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა, გასაუბრებისას გამოავლინა თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, კორექტულობა. რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებას კანდიდატის თავმდაბლობასა და პრინციპულობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი და ხარისხი და სხვა.

კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, რეკომენდატორები გამორჩევენ მის თავაზიანობას, ერთ-ერთი რეკომენდატორი მიუთითებს, რომ „სასურველი იქნებოდა უფრო მეტი მუშაობა აკადემიურ-სამეცნიერო სიღრმის კვლევის კუთხით“, აღნიშნული ადასტურებს, რომ მოსამართლის პიროვნული უნარ-ჩვევები, აღნიშნულის შესაძლებლობას იძლევა. შესაბამისად კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია არის საკმაოდ მაღალი.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

5. ფინანსური ვალდებულება:

ფინანსური ვალდებულების მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ. ფინანსური ვალდებულების შემოწმების მიზანია, შეფასდეს, არსებობს თუ არა საფუძველი მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირებისა, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას.

კანდიდატ გიორგი შავლიაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და აქვს მიმდინარე სესხი(საკრედიტო ბარათის სახით), სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, კანდიდატს საკუთრებაში აქვს ორი საცხოვრებელი ბინა და მსუბუქი ავტომანქანა. კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ამ მახასიათებელს.

აღნიშნული მახასიათებლების გათვალისწინებით მივიჩნიე, რომ მოსამართლეობის კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის

მახასიათებლის მიხედვით:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატი

ფასდება ქულებით. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლის მნიშვნელობიდან გამომდინარე თითოეული მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა:

- ა) სამართლის ნორმების ცოდნა - 20 ქულა;
- ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 20 ქულა;
- გ) წერის უნარი - 20 ქულა;
- დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;
- ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - 15 ქულა;
- ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;
- ზ) პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

1. სამართლის ნორმების ცოდნა:

სამართლის ნორმების ცოდნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, ცოდნის დონე. ამ მახასიათებლით მოსამართლის შეფასების მიზნით შემფასებელი ითვალისწინებს მოსამართლის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის, გამოყენების სისწორეს. აღნიშნული მახასიათებლით მოსამართლის შესაფასებლად შემფასებელი აგრეთვე გამოითხოვს მოსამართლის მიერ ჩაბარებული მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგებს და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი სრულყოფილად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატ გიორგი შავლიაშვილს 2002 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს არაერთი კვალიფიკაციის ამაღლების კურსი, მათ შორის ამერიკული სამართლის სკოლისა და ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის ერთობლივი პროგრამა. მის მიერ წარმოდგენილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ სრულყოფილად ფლობს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას, მნიშვნელოვან განმარტებებს, ეცნობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებებს.

სამართლის ნორმების ცოდნის შეფასებისას ასევე განსაკუთრებით გამოვყოფდი მის პრაქტიკულ გამოცდილებას; კერძოდ იგი მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში, შემდგომ კი საქართველოს უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად იხილავდა არაერთგვაროვან საქმეებს, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის ცოდნას სამართლებრივი ნორმებისა.

კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის მიერ წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 1 აგვისტოს განაჩენი, აღნიშნულ განაჩენში მიმოხილულია

საქართველოს სსკ-ის 180-ე, სსკ-ის 342-ე, სსკ-ის 220¹ მუხლები და ქმედების აღნიშნული მუხლი კვალიფიკაციის პრობლემები. განაჩენში მოყვანილი გარემოებები ასევე შეფასებულია საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილ 2017 წლის 13 ოქტომბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენში კანდიდატი, განმარტავს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების გამოყენების მართებულობას და დეტალურად მიუთითებს იმ გარემოებებზე, რაც აღნიშნული ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დადგენილი.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილს სამართლის ნორმების ცოდნას ვაფასებ 18 ქულით.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია:

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა, მოსამართლის ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება.

კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები გამოირჩევა დასაბუთების მაღალი ხარისხით. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხებზე კონცენტრირება და მისი ანალიზი. კანდიდატის გადაწყვეტილებებში ევროსასამართლოს და უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოხსენებულია საჭიროებისამებრ და არ არის გადატვირთული. მის მიერ გაკეთებული განმარტებები, შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკასთან და შეესაბამებიან კანონს. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა გასაუბრების მიმდინარეობისას შეძლო შეკითხვებზე დასაბუთებული, არგუმენტირებული პასუხების გაცემა. მის მიერ სრულყოფილად იქნა განმარტებული შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის სამართლის პროცესში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის სამართლებრივი დასაბუთების უნარს და კომპეტენციას ვაფასებ 19 ქულით.

3. წერის უნარი:

წერის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ, ვასკვნი, რომ აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, სასვენი ნიშნები, გამოყენებულია სწორად. გადაწყვეტილება სტრუქტურულად აგებულია კანონის მოთხოვნათა დაცვით, ნებისმიერი სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება ეფუძნება ლოგიკური მსჯელობის შედეგს.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის წერის უნარს ვაფასებ 20 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი:

ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება გამართული მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა და სხვა.

ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას მხედველობაში მივიღე კანდიდატის გასაუბრება, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი ინარჩუნებდა სიმშვიდეს, იყო კორექტული, აზრს გადმოსცემდა გასაგებად. კანდიდატს შესწევს უნარი დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის ზეპირი კომუნიკაციის უნარს ვაფასებ 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში:

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სასამართლო სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, მიზანდასახულობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა, მენეჯერული უნარ-ჩვევები და სხვა.

კანდიდატის სტატისტიკურ მონაცემზე დაყრდნობით (953 დღეში 1141 დასრულებული საქმე) იკვეთება გიორგი შავლიაშვილის პროდუქტიულობა, შრომისმოყვარეობა, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი, სისწრაფე. გიორგი შავლიაშვილი ასევე ასრულებდა სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საკასაციო პალატაში იყო მხოლოდ ერთი მოსამართლე, შეძლო საქმეთა ნაკადის მართვა, რაც მეტყველებს მის კარგ მენეჯერულ უნარებზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის პროფესიულ თვისებებს, მათ შორის, ქცევას სასამართლო დარბაზში ვაფასებ 15 ქულით.

6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა:

აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამებში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვა.

კანდიდატ გიორგი შავლიაშვილს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგში, მათ შორის: ორგანიზებულ დანაშაულთან და კორუფციასთან ბრძოლა (ხორვატია); სამართლისა და იუსტიციის რეფორმის კონსულტაცია სამხრეთ კავკასიაში(დრეზდენი); საერთაშორისო

ჰუმანიტარული სამართლის იმპლემენტაცია (სარაევო, ბოსნია ჰერცეგოვინა); არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; ამერიკული სამართლის სკოლისა და ჩიკაგო-კენტის სამართლის სკოლის ერთობლივი პროგრამა ბიზნეს სამართალში; „კონსტიტუცია და სახელმწიფო მოდერნიზაცია“-საერთაშორისო კონფერენცია და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის აკადემიურ მიღწევებს და პროფესიულ წვრთნას ვაფასებ 3 ქულით.

7. პროფესიული აქტივობა:

პროფესიული აქტივობის მახასიათებლით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა, ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციები, დამსახურება იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე და სხვა.

კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი 2011 წლიდან არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, კურსები: პრაქტიკული კურსი სისხლის სამართლის პროცესში, საკასაციო განხილვის თავისებურებანი სისხლის სამართალში; 2015-2018 წლებში იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ლექტორი; 2019 წლიდან არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში მოწვეული ტრენერი, თემები: ახლადგამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები.

მოსამართლეთა კონფერენციის მიერ(2006, 2007 და 2011 წლებში) არჩეული იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

მივიჩნევ, რომ კანდიდატი პროფესიულად არის საკმაოდ აქტიური.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის პროფესიულ აქტივობას ვაფასებ 4 ქულით.


კანდიდატის საბოლოო შეფასება:

კანდიდატ გიორგი შავლიაშვილის კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ვანიჭებ 94 ქულას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი თეა ლეონიძე

თარიღი: 28.05.2021

თ. 

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის გიორგი შავლიაშვილის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი:

28/05-2021





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გიორგი შავლიაშვილის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი შავლიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი არის კორექტული, თავდაჭერილი, პრინციპული და აქვს სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენისა და საკუთარი ემოციების მართვის უნარი. ამასთან, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ იგი კოლეგებში სარგებლობს კარგი საქმიანი და მორალური რეპუტაციით და რეკომენდატორები და მასთან პიროვნულ თუ პროფესიულ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	

			ურთიერთობაში მყოფი პირები კანდიდატს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, გიორგი შავლიაშვილის მიმართ დისციპლინური ღვეწა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	გიორგი შავლიაშვილი სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და სამართლის ფილოსოფიას. აგრეთვე, კანდიდატი სისტემატიურად ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ გიორგი შავლიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	გიორგი შავლიაშვილს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	20	20	კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების ¹ შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. ამასთან, გიორგი შავლიაშვილი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახდენს სამართლებრივი ნორმების სწორ განმარტებასა და ფაქტების მართებულად განვითარებას. აღსანიშნავია, რომ

¹ სასამართლო გადაწყვეტილებები: საქმე №262აპ-17, 13.10.2017წ., საქმე №110აპ-19, 01.08.2019წ., საქმე №346აპ-19, 01.11.2019წ., განსხვავებული აზრი: საქმე №113აგ-16, 02.11.2016წ., საქმე № 626აპ.-17, 29.03.2018წ.

			გადაწყვეტილებები აგებულია კარგი სტრუქტურით და მომზადებულია ნათელი გასაგები ენით. აგრეთვე, გიორგი შავლიაშვილის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული და სათანადოდ დასაბუთებული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	გიორგი შავლიაშვილს აქვს გამართული მეტყველების უნარი. ამასთან იგი არის თავდაჯერებული, გაწონასწორებული და ღიად, გასაგები ენით აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კანდიდატი გამოირჩევა სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	გიორგი შავლიაშვილი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური, მიზანდასახული, გულმოდგინე, პროდუქტიული და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში განმავლობაში, კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა - 947. გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში კანდიდატმა წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე, განიხილა 114 საჩივარი - ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. თუ მოხდება კანდიდატის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მას 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე. ასევე, ზემოაღნიშნული პერიოდში, კანდიდატის მიერ საქმის განხილვის საპროცენტო ვადების დაცვის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს - 96,5%-ს, გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის მაჩვენებელი კი წარმოადგენს 61,2%-ს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნის შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ იგი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგსა და კონფერენციაში.

პროფესიული აქტივობა	4	5	კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. ამასთან, იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და წარმოადგენს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს. აგრეთვე იგი იყო გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ლექტორი/ტრენერი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	94	100	
დასაბუთება	<p>უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით</p> <p>„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი გიორგი შავლიაშვილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება.</p> <p>აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით გიორგი შავლიაშვილის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, გიორგი შავლიაშვილის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ გიორგი შავლიაშვილის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას</p>		

კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ გიორგი შავლიაშვილის პირად თვისებებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურებრივი თუ პირადი ხასიათის ურთიერთობა, აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის პატიოსანი, თავმდაბალი, კორექტული და კეთილსინდისიერი. მნიშვნელოვანია, რომ გიორგი შავლიაშვილს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ეს ყველაფერი კი ცხადყოფს, რომ კანდიდატს სწორად აქვს შეგნებული და გაანალიზებული პირადი და პროფესიული მოვალეობები.

რაც შეეხება დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს, კანდიდატის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი გამოირჩევა დამოუკიდებლობით, მიუკერძოებლობით, პრინციპულობითა და ობიექტურობით. ასევე, გიორგი შავლიაშვილის თაობაზე მოძიებული ინფორმაციითა და საჯარო მოსმენაზე მის მიერ გამოვლენილი თვისებების გათვალისწინებით, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი არის პიროვნულად მყარი შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. რაც შეეხება, გიორგი შავლიაშვილის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლენილა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი შავლიაშვილმა საჯარო მოსმენაზე სხვადასხვა პრობლემურ და აქტუალურ სამართლებრივ საკითხებზე მსჯელობისას გამოავლინა, რომ იგი არის მშვიდი, თავდაჭერილი, გაწონასწორებული, თავდაჯერებული და გააჩნია საკუთარი ემოციების მართვის უნარი. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. ამასთან, რეკომენდატორები მას ახასიათებენ როგორც თავაზიან პიროვნებას. აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა.

პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს რაც შეეხება, კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ გიორგი შავლიაშვილი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ძირითადად ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი საქმიანობის, მიღებული ანაზღაურების, განხილული საქმეების შესახებ და სხვ. აგრეთვე, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გიორგი შავლიაშვილი მონაწილეობს მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით, შესაძლებელია აღინიშნოს, რომ გიორგი შავლიაშვილს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე გიორგი შავლიაშვილის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის

შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას.

კანდიდატის მიერ სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი შავლიაშვილი სისხლის სამართლის მიმართულებით სიღრმისეულად ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და სამართლის ფილოსოფიას. აგრეთვე, კანდიდატი სისტემატიურად ეცნობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ გიორგი შავლიაშვილს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 12 მარტს გიორგი შავლიაშვილთან გაიმართა საჯარო მოსმენა.² კანდიდატი გამოირჩეოდა გაწონასწორებულობით, თავდაჯერებულობითა და კორექტულობით. გიორგი შავლიაშვილი სამართლებრივ საკითხებზე საუბრისას ღიად გამოხატავდა საკუთარ არგუმენტებსა და შეხედულებებს. იგი უმეტესად ამომწურავად პასუხობდა დასმულ შეკითხვებს და აწვითარებდა საინტერესო სამართლებრივ მსჯელობას. უნდა ითქვას ისიც, რომ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად კანდიდატი აქტიურად იყენებდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, აშშ-ს უზენაესი სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად არის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლე. გიორგი შავლიაშვილის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების³ შესწავლის საფუძველზე კი უნდა აღინიშნოს, რომ იგი გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. ამასთან, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ახდენს სამართლებრივი ნორმებს სწორ განმარტებასა და ფაქტების მართებულად განვითარებას. ამასთან, გადაწყვეტილებები აგებულია კარგი სტრუქტურით და მომზადებულია ნათელი გასაგები ენით. გიორგი შავლიაშვილის მიერ მოყვანილი არგუმენტები არის თანმიმდევრული და სათანადოდ დასაბუთებული. აღსანიშნავია, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

² იხ. გიორგი შავლიაშვილთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: <https://www.youtube.com/watch?v=WHMoHTFcJe0>

³ სასამართლო გადაწყვეტილებები: საქმე №262აპ-17, 13.10.2017წ., საქმე №110აპ-19, 01.08.2019წ., საქმე №346აპ-19, 01.11.2019წ., განსხვავებული აზრი: საქმე №113აგ-16, 02.11.2016წ., საქმე № 626აპ.-17, 29.03.2018წ.

კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას გააჩნია გამართული მეტყველების, საკუთარი შეხედულებების ღიად, თანმიმდევრულად, ნათლად გადმოცემისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა.

გიორგი შავლიაშვილის პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით, კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში განმავლობაში საკასაციო საჩივართა რაოდენობამ შეადგინა - 947. გარდა აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში კანდიდატმა წარმოებაში მიიღო 80 სხვა კატეგორიის საჩივარი, აგრეთვე განიხილა 114 საჩივარი - ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო. თუ მოხდება კანდიდატის მიერ უფლებამოსილების განხორციელების დღეების მისადაგება მის მიერ დასრულებულ ყველა კატეგორიის საქმეზე, მას 953 დღეში დასრულებული აქვს 1141 საქმე. ასევე, ზემოაღნიშნული პერიოდში განმავლობაში, კანდიდატის მიერ საქმის განხილვის საპროცენტო ვადების დაცვის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს - 96,5%-ს, გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის მაჩვენებელი კი წარმოადგენს 61,2%-ს.

კანდიდატის აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესი. მნიშვნელოვანია, რომ გიორგი შავლიაშვილი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტრენინგსა და კონფერენციაში. ამასთან, იგი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და წარმოადგენს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს. აგრეთვე კანდიდატი იყო გ.თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის, იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოწვეული ლექტორი/ტრენერი. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას მომზადებული არ აქვს სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.

შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ გიორგი შავლიაშვილთან

დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 94 ქულას. შესაბამისად, კანდიდატის ცოდნის, პროფესიული გამოცდილებისა და მის მიერ გამოვლენილი უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს უნარი ღირსეულად შეასრულოს უზენაესი სასამართლოს, მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოს, მოსამართლისთვის დაკისრებული რთული და საპასუხისმგებლო საქმიანობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი:

28/05-2021

